


ლიტერატურული გაზეთი

№81 7 - 20 სექტემბერი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



მამუკა წიკლაური

ჩემი ტკივილი გამეყარა

ჩემი ტკივილი გამეყარა, გარეთ გავიდა —
ამ ვინრო სახლში,
ჩემს გულ-მკერდში, ვერ დაეტია
და კლდოვან გორზე, ტოტებგამხმარ ხესავით დადგა.
მე ჩემთვის ვარ, ის კი — თავისთვის.
ზოგჯერ მხიარულ ჯეულს ვთამაშობ —
ვჯდები სუფრასთან და ვამშრალეჭ ქიქას ქიქაზე,
„ვჯდები საერთო ხასიათში“ და ვფერადდები —
სიტყვებს ვაფხავებ, თვალს ვუმიზნებ ლამაზ დიაცებს;
ისე ვხარხარებ, რომ ქარების ხმასაც კი ვახშობ.
...ჩემი ტკივილი გამეყარა, გარეთ გავიდა,
ის თავისთვის დგას, ყურს არ მიგდებს,
ოლონდ ხანდახან:
— ვის ატყუებო?! — გამომძახებს ხმელი გორიდან...

ვანო ჩხიკვაძე
ტამარა

ძველქუჩის კაკლის მაგიდის ქვე-
მოდან ხვნივით გამომძვრალი ტამარა,
იატაკის სახეხს ნყლიან გეჯაში ჩააჭ-
ყაპუნებს, ტაბურეტზე ჩამოსვენებს და
წინგაშვერილ, მოკლე, ორ ბაჯაჯლა თითს
პაერში გაპარწყავს:

— გრიგორი, ის არ გაქვს?
ღუმელთან მიდგმულ, სახელურებ-
გაცვეთილ, მასიურ სავარძელში ღრმად
ჩაძირული, გაზეთში თავჩარგული კაცი
სათვალის ზემოდან გვიან-გვიან გადმოხე-
დავს.

— არკადიევნა, მკითხეთ რამე? — სა-
პასუხო თავაზიანობას გამოიჩინა გრიგ-
ორი.

— ჰო, ის თუ გაქვს-მეთქი, — თითებს
პირს მიუახლოვებს.

— მაგას რა კითხვა უნდა, ხომ იცი, რომ
შენთვის ყველაფერი მაქვს.

გრიგორი ადგილიდან წამოვარდება,
ნელა, შე შერყენებულ, არ გადმოვარდე
და რამე არ მოიტყუო.

ტამარა კი, უფრო აცმუკდება, ლოყე-
ბანითღებულ, ჩამრგვალებული „მატრი-
ოსკა“, კაბააცდენილ, მომრგვალებულ
მუხლისთავეს ცხვირწინ აუთამაშებს და
ნაუკვირებს:

— *И ё, ё, ё.*
А ё, а ё, а ё.
Ёй ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ... ა, გრიგ-
ორი, ბა, გამოიცანი? თუ თქვენ ეგ პრობ-
ლემა უკვე აღარა გაქვთ? — ამ დროს
„ზრდილობიან“ მიმართვის ფორმაზე
გადადის, — გამოტყდით, მაგნიტები
ემართებათ ასაკიან კაცებს?

— შენ რა გითხარი, ტამარა! — სიცილ-
ით ხეულამტყდარი გრიგორი ჩაბყირდ-
ება.
არკადიევნამ იცის, ასეთ შემთხვევაში
მასპინძელს რაც უკეთესი — ჩამოხტება
სკამიდან და ზურგზე ხელს დაუტყაპუნებს.

— ტამარა, ყავას დალევ? — გამოსა-
ხებს სამზარეულოში მოფუსფუსე გრიგორ-
ის მუღღე.

— არ დაგიმალავ და არც ეგ მეშლება,
— თვალი ჩაუბაჭუნა და მოურიდებლად
ანიშნა ოფიცერს შარვლის უბეზე.

სუთკაციათმა გჯუფმა ერთხმად გადა-
იხარხარა.

— მაგარი ყოფილხარ, დეიდა, მაგარი,
— ისევ დაჰკრა ხელი, — ეს ყველაფერი
კარგი, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მა-
გრამ ერთი ეს მითხარი, იქ, ურალს იქით
არ იყო, მამა-პაპე, ყრუ ლამეში „ძილ-
გატეხილი პენისი“, მის ძიებაში აქამდე რომ
არ ჩამოსულიყავი?

ჯარისკაცებმა სიცილით მოუწონეს
ოფიცერს ენამოსწრებულობა.

ტამარამ აცალა, ვიდრე ჩანყნარდე-
ბოდნენ. ღონიერი ნაფაზი გაუშვა და გან-
ზე „საღდათურად“ გააფურთხა:

— ბატონო ოფიცერი, მაგაში გასაკვი-
რი არაფერია, ქალი ვარ და შეიძლება ასე-
თი რამე მართლაც მოხდეს, „პენისის“ ძიე-
ბამ უფრო შორსაც გამიტყუოს, მაგრამ იმ
გადაკარგულიდან, თქვენ, კაცები რალამ
ჩამოგიყვანათ, თქვენც პენისს ეძებთ?
სამხედროები შეცბუნდნენ,
წინამძღოლს გადახედეს, ველარ გაიგეს,
ახლაც უნდა გაცინათ თუ არა.

ტამარა ოფიცრის პასუხს აღარ დაე-
ლოდა, თფუიო, დაიფურთხა ხელებზე,
მერე ტარი ჩაბლუჭა და დაბომვის დროს,
ტროტუარის გასწვრივ დაფენილ შუშის
ნამსხვრევებს ცოცხი ღონივრად მოუსვა.

ორი თარიღი

1. 1937

გივი ცერაძეს

პაპმა სვენებ-სვენებით ამოიარა ან-
გრულ ქვაფენილიანი ქუჩა. გზაჯვარედ-
ინზე შედგა. ზურგსუკან დანყობილი ხელე-
ბი ისე დაუშვა, თითქოს მხრებზე ძიძმე ხე-
ლნები დაეკიდნენ. წინახრილმა თეთრი,
ქათქათა ცხვირსახოცი დაწამული შუბ-
ლი მოიშრალა და იქვე სალაყბოს ქვაზე
ჩამოსვენა. აქედან უკეთესად ჩანდა ხე-
ლმარჯვნივ აყუდებული აივნისი, ნონო-
ლა სახლი, მუშები რომ ანგრევდნენ.

ფიცარში ჩახვეულ-ჩაყვანებული კოჭ-
ის ლურსმანი ადვილად არ ნებდებოდა ძა-
ლაცინს. ჯანისი ბიჭები სახლს უკან, ხე-
ლისგულისოდენა, გავერანებულ ბაღში
ყრიდნენ სახურავის ბოძებს, ხარხებს,
სტრაფილებს, გაკვამლულ ყავარს და ათა-
სნაირ ხარახურას. დასავლეთის მხრიდან
აყოლებული, დახურული ხის კიბის უკვე
მონგრეული, კვარით ფიცრის კედელი,
გამოფიტულ-გამომშრალი, დაფუტურ-
ოვებული და ნაწილებად დამსხვრეული,
ძირს ეყარა...

დახურული კიბე, მის ბავშვობაში,
დღისითაც კი ჩაბნელებული იყო, როცა
მოიზარდა, მერეღა ამოჭრა პატარა სარკ-
მელი და სინათლემ ოდნავ გაანათა ჯურ-
ღულივით ბნელი ასასვლელი, დამრეცი,
უმოაჯირო, ჭრილა საფეხურები.

ბოლო წლებში უჭირდა დედას კიბეზე
ასვლა, მაგრამ მოხუცებულმა არ გამო-
აცვლევინა, მამაშენის გაკეთებულია, და
ვიდრე ცოცხალი ვარ ხელს ნუ ახლებო.

ბავშვობიდან მოყოლებული, ეს კიბე,
დღემდე აშინებდა, მაგრამ ვერც თვითონ
ელეოდა.



— ყველაფერი არ მინდა, გამა-
ფულივინე მართო, — მსხვილ ტუჩებზე
ღიმილი გაუკრთება.

— ეჰ, კიდევ რომ გინდოდეს, სადღაა!
— ხალათის განიერი ჯიბიდან სიგარეტის
ღერს ამოაძვრენს, — ინებე, მაგრამ
გაფრთხილებ, ხშირმა მონევა რძის გამ-
რობა იცის.

— რაც შენნაირებს ვანოვე, რაღა რძე
შემრჩა, — სიცილს მწვეელი ადამიანის
ხრინიან ხველას ამოაყოლებს.

— ოი, ტამარა, რა ხარ, რა ხარ, რომ
იცოდე!.. მამ ჩემნაირებს, არა?.. მოგინდე-
ბა კიდევ სიგარეტი და მაშინ ისევ დაუ-
ბრუნდები ამ საკითხს, — „დადექრა“ და
კვლავ მრავალგვერდიან ყვითელ პრესაში
ჩარგო თავი.

ტამარა არკადიევნა ორმოცდაათიან
წლებში გამოჩნდა ქალაქში, ბამბულის
კომბინატი გამომწესებულ მქსოველთა
ბრიგადას ჩამოჰყვა კომკავშირული საგ-
ზური.

ჩამოვიდა და ჩარჩა.
ერთხანს რესტორანში ოფიციატობ-
და.

სხვადასხვა ქმრისგან თითო გოგო
დარჩა.

ორივე გაათხოვა, დააოჯახა.
ახლა ნაცნობ ოჯახებში დადის, დიასახ-
ლისებს ხელს აშველებს, თან, დილაადრი-
ან, ქალაქის ცენტრში მეფობოვედ მუშაობს
— ყვითელი ხიფთანი და ტარიანი მალა-
ლი ცოცხით, უთენია უკვე პოსტზეა.

ძველ, წარმოებების ყოფილ დირექ-
ტორებს თუ თანამდებობის პირებს ინ-
ერციით შემორჩათ მამის სახელებით მი-
მართვის წესი (თუ უნესობა!).

ესეც იმპერიული თანაცხოვრების
გასახსნებელი კლიშეა, რომელსაც ნელ-
ნელა გასვლია ყავლი, განელებია იმ-
დროინდელი ამბიციურობის მუხტი და სე-
რიოზულობას უწყინარი იუმორი ჩანაცვ-
ლებია.

დავით გრიგორიანთან შესუმრებულია
ტამარა, ლამის ოჯახის წევრით არის და
თუ კაცი ხასიათზეა, თანაც შემთვრალი (ეს
კი არცთუ იშვიათად ხდება), იცის რაც
უყვარს:

ფანჯრის გასანმენდად ტაბურეტზე
ასული, თავსაფარავით გადმოიქნევს, გა-
მოაფრიალებს გაშლილ მტვრის ტილოს,
აკორიკავებულ სკამზე აათამაშებს ზომით
დიდ, სახლის ჩუსტებში ნაყოფილ ფეხებს
და ახარხარებული, თან შემფოთებული

— რა დროს ყავაა, დოდო, მგონი ქმარი
გეხრჩობა და ქვრივდები...

— დაიხრჩოს და დაიხრჩოს, ორივე
დავისვენებთ, — მაინც გამოვა, ახლა ის
დაჰკრავს ბეჭზე გაშლილ ხელისგულს
ღონივრად და კაცი ჩანყნარდება, გადაყ-
ლაპავს სასულეში გადაცდენილ ნერწყვს.

— იცოდე, ტამარა, ამას თუ რამე დაე-
მართა, შენ იქნები მიზეზი, შენ მოკლავ...

— ეჰ, ეგ რომ შემძლებოდა ჯერ ჩე-
მებს დავხოცავდი, ბავშვებს რომ შემე-
ტოვებს და გაიქცნენ, — ამჯერად უკვე სე-
რიოზულად ამოიხრებს არკადიევნა.

დოდო, ყოველი შემთხვევისათვის,
კიდევ ერთხელ გაიმეორებს „საკონტრო-
ლო“ დარტყმას და, გეყოფა, ქალო, ნუ ჩამ-
ინგრიე ბეჭებიო, შეუღრენს გრიგორი...

შუშა აგვისტოა.
ქალაქში ტამარას თანამემამულეები
დგანან...

ვინ ავლებს, მაგრამ ტამარა, მაინც,
თავის ყვითელ ხიფთანში გამოწყობილი,
ყოველ დღით, გამთენიისას, ერთგულად
მიდის სამსახურში, ხევეტავს ქუჩას და ტრო-
ტუარს.

ახლაც, თავისი ცოცხით, მუნიციპალი-
ტეტის შენობას როგორც კი გასცდა,
სამხედრო პატრული გამოჩნდა.
გჯუფს ცხვირპაჭუა, ჭოროღიანი
ოფიცერი მოუძლოდა.

ოფიცერი შედგა, მეფოვეს დააკვირ-
და, ეტყობა ადგილობრივებს ვერ მიაგ-
ვანა, რალაც მშობლიური ეცნო.

— ეი, დეიდა, *и дѣдѣ ты ш?*

ტამარამ მოხედა, ცოცხის ტარს
დაყრდნობილმა თითებით ანიშნა, ვიდრე
გიპასუხებდეთ, ჯერ მომანევიანეთო.

სიგარეტი მისცეს, მოუკიდეს კიდევ და
ფილტვებში ნიკოტინის ჩამოკრული ბრჭ-
ყალებიც რომ იგრძნო, ჩაილიღინა:

— *И ё, ё, ё.*
А ё, а ё, а ё.
Ёй ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ё ...

— გასაგებია, ჩვენებური ხარ? —
ჩაიროხროხა ბრგე ოფიცერმა და მხარზე
ძველიბჭურად დაჰკრა ხელი.
— ჰო, ურალს იქიდან... ბარნაული გა-
გიგონია?
— რას ჰქვია გამიგონია... ეგ „ჩას-
ტუშკაც“ ციმბირულია.
— ვიცი!
— ისიც გეცოდინება, რას არ სძინავს
ყრუ ლამეში.

ვეტყვიო, მაგრამ, მერე გადაიფიქრა, მოკლევადიანი, ბოსტნეულებზე მოჭრა გზა და ბადრაგით მიმავლებს ხიდთან ჰკიდა თვალი.

იქნებ ტყეში იყოს, მიმავლებს გულამოვარდნილი ნამოენია, თუმცა ახლოს მისვლა მინც ვერ გაბედა. კინოს უკან, გამოტეხილ მესერში გაძვრა, სადგურის წინ, სასურსათო მაღაზიის მეორე სართულზე მცხოვრებ, გაუთხოვრად ჩამობერებულ მამიდასთან ავიდა, ფანჯარას ეცა და მოედანს გადახედა.

აღღებულ ბიჭს ქალმა ვერაფერი ჰკითხა, პატიმრები მოედანზე რომ შემოვიდნენ და სადგურის ყრუ კედელთან მიხროვდნენ, ლოყაში კენესით შემოირტყა ხელი — მამაც იქ იყო, დაღვიძლი „ტელეგრაფიკა“ ეცვა და სადღაც თვალეგამტერებული იყურებოდა. ბიჭს ეგონა მხედარს, სინამდვილეში მზერაგაცივებული კაცს წვერმორეული ნიკაპი ისე ჩაებლუჯა მუჭში, თითქოს რალაცის გახსენება უნდოდა.

ბიჭმა ხელი დაუქნია, ოღონდ ფრთხილად, შიშით, ოღონდ გასასვლელად ჰკერძო და, ეს მოძრაობა, პატარა, ბავშვური, გამხდარი თითების გაფართოვლება არ გამოჩენია მამას, კედელს მოსცილდა, ნაბიჯი წინ წამოდგა, მიაჩერდა შვილს.

არ ასსოვს, რამდენ ხანს უყურებდნენ ერთმანეთს, ორივეს უხმო ცრემლი ჩამოსდიოდა, ბიჭი თუ დაუფარავად იმშრალა და დაწვებს სახელოთი, მამა მალულად გაისვამდა ხოლმე უხესთან ცერს.

უცებ, სადღაც სულ ახლოს, იკვილა დგანდგარით მომავალმა მატარებელმა. სადგურიდან ვიღაც სასმედრო გამოვიდა, ხელით ანიშნა ბადრაგს და ბაქანზე გარეკეს პატიმრები.

მამამ უკანასკნელად მოიხედა, თითქოს გამადიდებელი შუშით მოუახლოვდა, ცრემლჩამდგარი, მოსიყვარულე თვალეებით. მოახლოვდა, და ბიჭში სამუდამოდ ჩასახლდა.

დღე არ გავა, ეს თვალეები რომ არ გაახსენდეს.

შინ რომ დაბრუნდა, დედა ჩაბნელებულ კიბეზე იჯდა. შეხედეს ერთმანეთს და მიხვდნენ, რომ არაფრის თქმა აღარ იყო საჭირო.

მიიმედ, წელმოწყვეტილებმა აიარეს კიბის გვირაბი, ააჭრიალეს მორყეული საფეხურები და შეიკეტნენ ოთახში.

თანაგრძნობის სათქმელად არავინ მისულა, არც უცხო, არც შინაური. გეგონება ავი სული დაეპატრონათ, მეზობლები-საგან ატალახებულმა კიბემ დაისვენა, ერთბაშად დადუმდა.

შიშის გადაულახავი ღობე აღიმართა დედა-შვილსა და დანარჩენებს შორის.

იმ დღიდან მოყოლებული კარს საიმედოდ კეტავდნენ და გამოქვაბულოვით ბნელი, ცივი კიბე უფრო პირქუში ხდებოდა... ეჩვენებოდა, რომ ამ ყიამეთში ვიღაცები მანც მოძვრებოდნენ, დანალული ჩექმებით სრესდნენ ღრიჭობიდან შემოპარულ, საფეხურებზე ცერად დაფენილ მთვარის ზოლებს. ეს ბრაგაბრუვი არ აძინებდა, თვალგამტერებული შეკუყრებდა ნუჭრის ან ლამფაჭერს, ზედ ნაინრაირ, საშიშ გამოსახულებებს რომ ხატავდა და ამოძრავებდა ლამპის გადაქანებული შუქი...

დედასაც ეღვიძა, იმასაც, ალბათ, აჭრიალებული საფეხურების ხმა სტანჯავდა, უხეთქავდა საფეთქლებს...

ორმოცდაჩვიდმეტში მიიღეს რეაბილიტაციის ცნობა.

მამა ორმოცდასამ წელს გარდაცვლილიყო... სკლეროზით. გაუკვირდათ, ისეთი რა უყვეს, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, სკლეროზით გარდაიცვალაო.

მამინ, ოცი წლის შემდეგ, პირველად უთხრა დედას, მამაშენი „ტროიკამ“ რომ წაიყვანა, ლამპით გარეთ გავყე. მაღალმა, შავტყავიანმა, რომელიც უფროსობდა, მხარზე ხელი წაჰკრა, ჩქარა, ჩქარაო. ამ დროს თვითონ აუცდა საფეხურზე ფეხი და კი არ დაგორდა, თითქოს გაისროლესო, ჰერში გაფრინდა, საყრდენ ბოძს შუბლით დატაკებულმა წარბი გადაიხსნათ.

მამაშენი პირველი მივარდა წამოსაყენებლად, იმან კი ჯავრი პატიმარზე იყარა — სისხლით სახედადღაბნილმა, გაუქანა გაშლილი ხელისგული... დაადო მაუზერი მუჭულზე და გამეყინა სისხლი, მაგრამ არ ესროლაო... „სამეულიდან“ ახლა ის ერთი-დაა ცოცხალი, ოღონდ ვინც არის ვერ გეტყვიო.

არც ჩასძიებია, ზედმეტი ჯავრის გარ-

და, ამის ცოდნა რას მისცემდა...

დედა გარდაიცვალა თუ არა, სახლი გაყიდა.

დღეს გაიგო რომ ახალი პატრონები ანგრევდნენ და მიაკითხა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, ძალაყინებითა და წერაქვებით შეიარაღებულმა მუშებმა უცებ გამოაცალეს დაფუტუროებული საყრდენები, კიბე გვერდულად გადაემხო და მზემ, თავიდან ბოლომდე, პირველად შეხედა კირით შეთეთრებულ კედელს.

კაცი ფეხზე წამოდგა, ქუდმოსხილი გაირინდა.

ხომ სძულდა, ხომ მთელი ბავშვობა ამინებდა სახლს სარკოფაგივით მიკრული ხუხულა, მანც აეწვა თვალეები — რალაც საბოლოოდ დაიფშვანა, დასამარდა და იმ რალაცამ მისი ტკივილებიც თან ჩაიყოლა...

მტვერი რომ გაიფანტა და კიბის ნამტვრევებს შესაყრელად ბორტგადახსნილი მანქანა კატაფალკასავით მოაყენეს, კაცი უკვე თავდადამართზე მიუყვებოდა ქვანდის და მოხდილი ქუდი ისევ ზურგსუკან დანყობილ ხელებში ეჭირა.

სახეჭორფლიანმა, ცეცხლისთმიანმა ქალმა კიდევ ერთი ტაშტი ნარეცხი გადმოაღვარა ქუჩას.

2. 1997

იღბა ზამთრის მინურული. ცივი, ძალღვივით აღრენილი თებერვლის ქარი ლოკავდა ციხის ფერდობზე შეფენილ ქუჩების ხვეულებში ჩარჩენილ, გაქვავებულ თოვლის ნარჩენებს.

ასეთ გაავებულ ამინდში კვდებოდა, ქალაქში ყველაზე ხანდაზმული, ცას-გამოკიდებული, ასი წლის კაცი.

კვდებოდა და აღარც კვდებოდა, მეორე კვირა უგონოდ ხრიალებდა.

დაიღალა შინაურიც და გარეულიც. ხრიალი მანც შეწყვიტოს, ისეთი ხმები ამოსვლი, ბავშვებს შიშით გული უსკდებოდა — ჩიოდა რძალად.

დიდი მორწმუნე ეგ არა გვყავდაო, მაგრამ მანც დაუნთეს სანთლები.

მამაოც მოუყვანეს, ახალშემდგარ, ურბნელ მღვდელს აზიარებინეს.

სადარბაზოდან გამოსვლისას, მღვდელს, ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა, ოჯახის ახლობელმა, მხრებში აწურულმა, ანგაღმა ბიჭმა, ყურში ჩასწორებულ, მაგის ცოდვებს როგორ ასწევ, მამაო, თუ თვითონ მიქელგაბრიელი არ დაუდგა თავდე-ბადო... ხომ ხედავთ, არ მიჰყავს, მაგისთვის ჯოჯოხეთსაც კი ვერ მიტეხსო...

უკეთი რა ცოდვები აქვს, ასი წლის მიხრწნილ ბერიკაცსო...

ცოდვები ასი წლისას ექნება, აბა, ახალშობილ ორი დღის ბავშვს ხომ არა... ეს მანც გამორჩეულია, მე და შენ დაბადებულები რომ არ ვიყავით და აქაურობას „ტროიკა“ რომ ახანზარებდა, იმთაგან, ნიმუშად ესლა გვყავდა დარჩენილი და ესეც, ეს სამუხუუმე ექსპონატიც გვიცლება ხელიდანო.

რას მეუბნებიო — გაუკვირდა მღვდელს.

მამ, ცოტა კი დაუგვიანდა, მაგრამ... — თუთუნის ბოლით მოკუჭული თვალეები ცისკენ ალაპყრო ბიჭმა.

ღმერთს ნუ სცოდავო, იმან ჩვენზე უკეთესად იცის, ვინ რამდენ ხანს უნდა იცოცხლოსო — ხელჩანთა ჩამოართვა და საბჭოური გადმონაშთის, დაფეხვილი „მოსკვირის“ კარი მიიჯახუნა.

— კეთილი, მამაო, კეთილი, მაგრამ ეგ უდანაშაულო ხალხს აბეზლებდა, ზვრეტდა და კიდევ მე ვცოდავ? — ტალახში დაბუქსავებული მანქანის ბლილიში, მღვდელს ბიჭის ნათქვამი აღარ გაუგონია...

ორ კვირას ორიც მიემატა, ამოდ ეჯავგურა, გაუჭირდა სულთამხუთავს ძლივსმფეთქავი ყანყაროდან სულის ამოძრობა, იმ ძველი კიბის საყრდენ ბოძში ყანგივით ჩადულბეული ლურსმანივით ძვრა ვერ უყო.

მოკლედ, არც სიკვდილს უნდოდა, არც — სიცოცხლეს.

მკითხავიკა სცადეთო, ურჩიეს გაბეზრებულ შინაურებს.

სცადეს, მოუყვანეს ახალდაბელი ბებერი, შავი, დაღუღილი დედაკაცი, მეტსახელად „კუნაპეტა“.

დახედა კუნაპეტამ, შეულოცა და, ცუდად შეიქნა, თითქოს ალი შემოენთო სახეზე, დაბარბაცებული სკამზე ჩამოსვს. აზრზე რომ მოვიდა, ჩარგო ხელისგულში აცახცახებული ნიკაპი.

ჩარგო და გაირინდა, მილულა თვალეები.

კაი ხნის შემდეგ ხელი წაჰკრეს, ხმა ამოიღო, რა ხდება ჩვენს თავს, გვეშველება თუ არა, ან კარგი გვითხარი, ან ავიო.

ალაპყრო ჭერისკენ თვალეები კუნაპეტამ და ამოილულულა, — გულით რაც უყვარდა ის მიეცით და გეშველებაო.

ნეტავ რა უყვარდაო, მიეცენე საფიქრალს.

ვიდრე კბილები ჰქონდა სულ მზესუმზირა ეყარა ჯიბეშიო.

ბოლოს ტკბილს ეტანებოდა, განსაკუთრებით კონახურის კარამელსო.

ალბათ, სისხლისფერი როა, იმიტომაო, — ნაიანგლა ახლობელმა ბიჭმა და მერე გამეტებით შემოირტყა შუბლში ხელი, — მოიტათ მაუზერიო!

ხომ არ გაგიჟდი, რა მაუზერიო — ვითომ დაანოცეს ოჯახის წევრებმა.

მაუდით რომ აპირებოდა და ესიყვარულებოდა ხოლმე, ისაო...



დაფაცურდნენ, კარადის თავზე ნაჭერში გადახვეული ჩამოიღეს, მისცეს ბიჭს და თან გააფრთხილეს, ცარიელი კია, მაგრამ მანც ხომ იცი, ერთხელ ცოცხიც გაისვრისო...

ფეხზე შევაყენო თუ ეგრევე მივცეო, კიდევ ერთხელ წაეანგლა ბიჭი მკითხავს. ეგრევე, ეგრევეო, ხელები გაატატანა „კუნაპეტამ“.

აბა, თუ უშველის, ამან უნდა უშველოსო — მომაკვდავს ძლივს გაუხსნა კლანჭა თითები და მაუზერი ხელში ჩაუღო. სულთმობრძავმა როგორც კი იარაღი იგრძნო, მოცოცხლდა, ამ ხნის განმავლობაში პირველად შეირხა, ქუთუთოები მაღლა აუცივდა, ტარს ჩაფრენილს საჩვენებელი თითი ინერციით სასხლეტისაკენ გაექცა, მაგრამ აღარ დანცალდა, ამოიგმინა და გაეყვარა ერთმანეთს განამებულ სული და ხორცი...

მიცვალეულს, ნაიარევიტ გადახაზულ შუბლზე, ღრმა ნაოჭები წურბელებივით დაეკიდნენ.

კალათა ბალი

დავით კაპანაძეს

ეგეთი კაცი იყო, ზამთარ-ზაფხულ ყრონტამდე ჰქონდა საროქკა შეკრული, ოღონდ მუცელზე გაფარფარებული, არ ჩაიტანდა კალთებს შარვალში... როგორ იკადრებდა, ახლა ფლოსტებით რომ დაიარებინა ამხელა, ზონზროსა პირუტყვეები...

თან მშრომელი, მშრომელი, თოხიც უყვარდა და პურის ჭამაც... ამოვიდოდა სარწყავიდან მხარზე ბარგადებული, გადახედავა ქუჩისპირზე, კოპიტის ჩრდილში, წელზემთო დაშიშვლებულ, სოფლის უქნარებს და მათ გასაგონად ხმამალა ჩაილაპარაკებდა, ახლა რომცა ოხრახინოვის მათარახი და ესენი ჩემს გემოზე გამაჟვეპინაო.

იცი, ვინ იყო ოხრახინოვი?

რეკოლუციამდელ საქართველოში, ქიათურაში, მეფის რუსეთის დანიშნული, მაზრის უფროსი ყოფილა. მკაცრი, უჯიათი ლეკი, პოლიციის სამსახურში ჩამდგარი ჯინჯილებიან-ეპოლეტებიანი მოხელე, ის რომ ჩაივლიდა, თურმე ყველაზე აბეზარი ძაღლებიც კი ჩერდებოდნენ...

მტრისას თუ ვინმეს თავის მათარახს გადაჰკრავდა, ხოლო როცა მუქარით ჩექმაზე გაიტყვევებდა, იმის ხმა საშვეარდნოზე ისმოდა.

იცი შენ საშვეარდნო? იქიდან არის ჩვენი სახელოვანი გრიგოლ აბაშიძე... ჰო, ჰო, პეტეფის მთარგმნელი...

ჰოდა, ამ ყრონტამდე საროქკაშეკრული ბიძაჩემის ბაბუა იყო, დედის მხრიდან ცოცხნარელი გლეხი ერმილე ჭილაძე.

ამ ჩვენს ერმილეს ძაან საამაყო ჰქონდა წერეთლებთან ნათელმირონობა.

პირველი ხილი, ნადრევი მისის ბალი რომ ჩამწიფდებოდა, მოარჩევდა მსხვილ-მსხვილებს, დამკრახლებს, თავს მოუდგამდა ხელკალათს, მოაკრავდა სატინის ან ჩითის ნაჭერს, და ბაღს სხვიტორში, წერეთლების ნებიერ ქალებს მოუკითხავდა.

ხომ ყველამ იცოდა, კალათში ხელგაყრილი საითაც მიდიოდა, მაგრამ მანც გადმოსახებდნენ ხოლმე მეზობლები, საით გაგინევია, ერმილე ბატონოვო.

წერეთლებში, თავად ბატონოვო! ჩვენი მოკითხვაც გადაეცო!

გადაეცემ, აბა, რას ვიზამო, დააიმედებდა მეზობლებს უფრო ომახიანი ხმით.

ერთხელაც, თავადების ჭიშკარი რომ შეაჭრიალა, შეეხმინა მასპინძლებს, გამოწარწარდნენ, გამოეგებნენ თურმე წერეთლის ქალები, მოიკითხეს, როგორც სჩვეოდათ, მდებალი თავმალლობით, მედიდური, მოწყალე ღმილით მიიღეს გლეხი ჭილაძის მირთმეული ნობათი და მოახლე გოგოს სამზადისში შეატანინეს, თან ცალკებად შეიპატიყეს, სახლში შემობრძანდი ნათლიამაო.

გლეხმა შორს დაიჭირა, თუ ასე შეგანუხეთ, რალა პატივისცემა იქნება, თქვენ ეგ ხელკალათი დამიცალეთ, მე კი აგერ, ბჟოლის ჩრდილში ცოტას შევიარაქათებ და ჩემს გზას ვენევიო.

იცოდნენ მისი ხასიათი და აღარ ჩააჯინდნენ, დაბრძანდით და ჩვენც მალე გეახლებითო. დატოვეს სტუმარი და გატუსტუსდნენ სამზადისაკენ, რა თქმა უნდა, დინჯად, აუჩქარებლად, როგორც თავადის ქალებს ეკადრებოდათ.

სამზადში კი, კალათს საფენი რომ მოხადეს და შემოსცინათ ჩამტკბარმა კუნწულეებმა, დაავინყდათ გვართ ნაბოძები თავდაჭერილობა, სიდარბაისლე, იცოცხლე, გული იჯერეს ნაყოფით და მერე საინზეც გადაიღეს, პიტნის ნაყენის არაყს სირჩა მიუდგეს და მოახლე გოგოს თანხლებით სტუმართან დაბრუნდნენ.

ბჟოლის ქვეშ, პატარა მაგიდასთან, ერმილეს შინაურულად მიუსხდნენ, წრუტში არაყი ჩამოუნანკარეს, მიირთვი, დაილოცე ჩვენი ბატონოვო, თან ბაღს სპეციალურად მოკაკული მავთულით კურკას აცლიან და თავშეკავებულად მიირთმევენ.

გაუკვირდა გლეხ ჭილაძეს, ასე რატომ წვალობთ, ეგ ეშმაკის მანქანა რად უნდა ბლის დაგემოვნებასო.

ეს რა ბრძანებია, მეტად და მეტად გაიოცეს წერეთლის ქალებმა, ჩვილი ტურჩების აბზუებით გადახედეს ჯერ ერთმანეთს, მერე — ნათელმირონს, კი მაგრამ განათქვენი დედაკაცები ასე არ მიირთმევენ ბალსაო?

არაო, გაცეინა ჭილაძეს, თქვენი თავი ნუ მომიკვდება, ჩვენმა უბირმა დედაკაცებმა მაგ იარაღის არაფერი იცოდნენო.

მამ როგორაო, უფრო მეტად შეიცხადეს ქალბატონებმა, მაღალ საზოგადოებაში ასეა მიღებული და ვერ წარმოგვიდგენია, სხვანაირად როგორ უნდა მიირთვა ბალიო.

არაყით ყელჩამწვარმა, პირმოძუნულმა ჭილაძემ ამოისუნთქა და ღმილით შეატოკა უღვაშის ბოლო.

როგორ მიირთმევენ ბაღს ჩვენი უბირი ქალები, ჩემო ძვირფასებო და, ზუსტად აი, ისე, თქვენ რომ შეექცეოდით სამზადშიო...

შეცბნენ თავმომწონე წერეთლის ქალები, ჯერ კოპები შეჰყარეს, მაგრამ ალალი ღმილით გაბადრულ ჭილაძეს რომ შეხედეს, თვითონაც სიცილი აუტყდათ, შენ არ მეისპე, ერმილე, შენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებს ადამიანიო.

ამ მთისა თქვეს, იმ — მთისა, ერმილე ჭილაძემ მიიღო, გამოცალა კიდევ რამდენიმე სირჩა, ჩადო ოთხად დაკეცილი საფენი ხელკალათში, გაუყარა მკლავი და მომავალ ბლობამდე ღიღინით გაუყვავა ცოცხნარისკენ მიმავალ გზას.

ერმილეს ყრონტამდე საროქკაშეკრული შვილიშვილი რომ შესწერებოდა ამ ამბავს, ხომ ინატრებდა ოხრახინოვის მათარახს და კუდაბიკა თავადიშვილ ქალბატონებს მსუბუქ-მსუბუქად აკადრებდა...

ანდა, რომელი ოხრახინოვის მოსაძებნად დასჭირდებოდა შორს წასვლა.

იქვე იყო, ქიათურაში, მაზრის უფროსად მოვლინებული.

მამუკა ნიკლაური

თეთრი ყვავილი

მე იმ თეთრ ყვავილს ვერასოდეს ვერ დავივიწყებ!
 იდგა სათიბში, ჩახჩახებდა, თეთრად ღვიოდა.
 სხვაც ბევრი იყო იქ ყვავილი, მაგრამ იმ ერთმა
 თითქოს მომთიბა, იმგვარ მზერით შემომაცქერდა.
 მის სანახავად მოსულიყვნენ მაღალი მთები —
 პირჯვარს იწერდნენ, სანთლით ხელში ილოცებოდნენ;
 წამოშლილიყვნენ ფრინველებიც — ევედრებოდნენ:
 — ფრთები გაშალე, ამო ჩვენთან, ამოფრინდიო;
 ხოლო თეთრ ყვავილს მწვანე ნიაგი
 რალაც მწვანე ლექსს უკითხავდა, უნანავებდა.
 ახლოს ვერ მივე... და ვფიქრობდი დაბნედილივით:
 — ნეტავ ისაა?! თუ ისაა, ხმას რად არ იღებს?!
 განა ვერ ხედავს, რა გრიგალი დაჰქრის ჩემს გულში?!
 ახლოს ვერ მივე... ველზე ვეგდე მოთიბულივით:
 — ნეტავ ისაა?! თუ ისაა, ხმას რად არ იღებს?!
 ...იდგა, ათრობდა იმ მიდამოს და ამუწვებდა
 და მე ვკვებდობდი — იმ ყვავილის ქროლვა და თრთოლვა
 ულამაზესი სიმთვრალით და სიკვდილით მკლავდა,
 ვკვებდობ-ვკვებდობდი, მივდიოდი, ძირს ჩავდიოდი
 და ბილიკებზე გულუბრყვილო ფირებს ვიფენდი:
 — აი, ასეთი სილამაზე ამოდის ზევით
 იმ სიბნელიდან, იმ სიღრმიდან — მინის გულიდან
 და რატომ უნდა მაძრწუნებდეს იქ ჩასვლის შიში?!
 მინა კი არა! დამმარხველი მინა კი არა! —
 ულამაზესი ყვავილების დედაა იგი...

ეპ, გაზაფხულო, გვალვა მოდის ყვითელ ცხენებით

ეპ, გაზაფხულო, უსაზღვროა შენი მშვენიერება
 აყვავილებით, ამღერებით, აღმოცენებით,
 მაგრამ ცოტა შორს გაიხედე — ყვითელ ცხენებით
 ზაფხული მოდის, დაინვები, გაიქელები!
 ...
 ახლაც, როდესაც ხმა გაკმინდეს ცაში ეფენებმა,
 პეიზაჟიდან გაიკრიფნენ ვარდი და ია
 და კედლებიდან ფარდაგები უკვე ჩამოხსნეს;
 ახლაც, როდესაც გაიფანტა ლურჯი მირაჟი,
 მაინც მგონია, რომ სალომე ცის ქალი იყო,
 ცაში ეკიდა ნანწავებით, ცაში ენთო და
 ცისფერი ფრთებით დაფრინავდა ვარსკვლავებს შორის.
 ხან ჩემთან იყო, ხან ვარსკვლავებთან;
 როცა აქ იყო, ზესკნელიდან იყო მოსული,
 როცა არ იყო — ისევ ზეცას უბრუნდებოდა.
 ...მაგრამ ერთხელაც გაფრინდა და აღარ დაბრუნდა,
 ვარსკვლავები რომ თხოვდებიან, ისე გადაჰქრა —
 ცისა და მინის შესაყართან გაუჩინარდა;
 ჩემსკენ მომავალს, ალბათ, დევი გადაელობა
 და ნაიყვანა, თავის სახლის ბოძზე დააბა,
 ფრთებიც დააჭრა, რომ ცაში ვერ გაფრენილიყო,
 შავად შეღება, ღამეში რომ ვერ ეციმციმა.
 ...
 ეპ, გაზაფხულო, გვალვა მოდის ყვითელ ცხენებით,
 ისევ ულმობლად გაითელებ-გაიქელები.

ღაბრუნდი უკან...

დაიკარგა და დაიმარხა შენი გზა-კვალი,
 უკან დაბრუნდი! ბურუსიდან გამოდი გარეთ!
 თუ ცაში ახვე — ციდან ჩამოდი,
 თუ ქვესკნელში ხარ — ქვესკნელიდან ამოყვავილდი!
 ხომ ჩამოდიან ცის სიღრმიდან ცისარტყელები!
 ხომ ამოდიან ქვესკნელიდან გაზაფხულები!
 ლეგენდებში და თქმულებებში ხომ ცოცხლებიან
 და მთვარესავით ანათებენ მკვდარი ქალები.
 შენ კი გადაჰქრი,
 გადაფრთხი,
 განისლელდი
 და სხვა რა დამრჩა უსასოო ძახილის გარდა...
 — სად ხარ? დაბრუნდი!
 ან ამოდი და ან ჩამოდი!
 ნუთუ შენი გზა ღამეებმა ისე ჩახერგეს,
 რომ შენს დამფერვლავ თვალებსაც კი არ შეუძლიათ,
 ისევ ორ ჟამად — დღედ და ღამედ გახლიჩონ ჟამი!..

პავი ღამის ირავი

ცისკენ მწვანედ აფრენილი მთებიდან
 ალესილი კითხვებილა დარჩნენ:
 — რატომ, რატომ, სალომე,
 რატომ დავიტანჯენით
 და სხვათა სიძულვილში რატომ ჩავიხარშენით?
 სისხლში რატომ გავგრიეს,
 ძეძვზე რატომ გვათრიეს?
 რატომ გავინირენით, რატომ ჩავიძირენით



სიძულვილის ხანძარში?
 ბუებივით ერთმანეთს
 შავ ღამეში გაეძახით:
 რატომ, რატომ, სალომე,
 რატომ დავიტანჯენით,
 ჩვენი სიყვარულისთვის სხვათა დიდ სიძულვილში
 რატომ ჩავიხანძრენით?
 რატომ კენესის, რას კენესის
 შავი ღამის ირემი,
 რატომ ჩავიძირენით, რატომ გავინირენით
 და საავდრო ღრუბლებით
 რატომ დავიჯანლენით?
 რატომ, რატომ, სალომე,
 რატომ დავიხანჯლენით?..
 სიძულვილის კბილებში რატომ ჩავიხარჯენით?
 ვერასოდეს გავიგებთ, ვერასოდეს მივხვდებით —
 ვინ მოფინა ჩვენს გზაზე ალესილი კითხვები,
 ვინ აავსო ჩვენი გზა საგინებელ სიტყვებით...
 ვერასოდეს გავიგებთ, ვერასოდეს მივხვდებით.
 ...
 მწვანე ფრთებით აფრენილი მთებიდან
 აღმასივით ალესილი კითხვებილა დარჩნენ...

ზღაპარში

მოდი, ზღაპარში ჩავსახლდეთ, სალომე,
 ვთქვათ, „ნიქარაში“, „კონკიაში“,
 ან უკვდავების მძებნელ ჭაბუკში.
 იქ გვიჩვენია, იქ არიან ჩვენიანები —
 სიყვარულისგან ნანამებნი და დატანჯულნი.
 ნუ გეშინია, ფრენას ხომ ვერ აგვიკრძალავენ! —
 ლამაზ-ლამაზი ფასკუნჯები მიმოფრინავენ
 დღიდან — ღამეში, ღამიდან — დღეში;
 იქ სულ სალხინო სალამურის ხმები გაისმის;
 როგორც მზეს უყვარს დედამინა, იქ ისე უყვართ —
 დილ-დილაობით მზე რომ მოდის დედამინისკენ,
 აი, იმგვარად მიცურავენ ერთმანეთისკენ;
 იქ არც კვდებიან. — თუ ვინმე მოკვდა,
 ყამარის ბალახს ნახავენ და გააცოცხლებენ.
 მფრინავ ხალიჩით, მოგინდება, ზეცას ეწვევი,
 მოგინდება და ჩაფრინდები ისტორიაში —

თამარს ნახავ იქ, დავითს ნახავ, რუსთაველს ნახავ...
 იქ არც შურია, არც ბოლშა და არც განირვა,
 შეყვარებულებს სალანძღავად არ იმეტებენ,
 იქ სიყვარული არც ბერდება, არც სადმე მიდის...
 აგერ, ამირანს შეუგდია ზღვაში თეთრონი
 ოქროსფერი თმა ყამარისა ქარში ლივლივებს...

გათენდა

გათენდა — ნუხელ დანყობილი ცა დაიშალა
 და ვარსკვლავები უფრო მაღალ ცაში აფრინდნენ,
 წავიდა მთვარეც, გაეკიდა თავის ვარსკვლავებს —
 ცა გამოვიდა სიმთვრალიდან, ცა გამოფხიზლდა.
 ...
 გახსოვს მთვრალი ცა,
 მთვრალი მთვარე, მთვრალი ჰაერი,
 მთვრალი თვალები, მთვრალი სისხლი,
 მთვრალი გულები?..
 მაშინ დავმთავრდით,
 სანთლებს როცა წაერთვა შუქი,
 როდესაც მთვარე დაენია თავის ვარსკვლავებს,
 როდესაც მთვრალთა ქალაქიდან გამოგვაძევეს.
 ...გამოფხიზლდი და დავინახე, რომ ჩვენს სიყვარულს
 ქარისგან ჰქონდა დამწვარი და დაშლილი სახე,
 ქარდაქარ მკვდარი ფრინველივით მიფრიალებდა
 და უსაშველო ქართან ბრძოლით იყო დაღლილი.
 თავზე დამჭკნარი ყვავილების გვირგვინი ედგა.
 მინდოდა, მეთქვა...
 რალაც მეთქვა სანუგეშებლად,
 მაგრამ მალევე გადავიფიქრე,
 რადგან დგება დრო —
 სიტყვაც კვდება, კარგავს ფუნქციას...
 და მხოლოდ დუმისს,
 მხოლოდ დუმისს ალაპარაკებს...
 ...გათენდა — ნუხელ დანყობილი ცა დაიშალა...

გულამაყრის მთავი

მანდ დამრჩა პირველი სუნთქვა,
 პირველი დანაბიჯები,
 მე, ემაგ მთების იმედით,
 დევსაც კი დავეჭიდები,

ძმებივით გადმომყურებენ შავარაგველი ბიჭები.

ჯავრში და ჯანღში მოდიან, მაგათ ბედ-წერა ესეა, ხან ელვას ეომებიან, ხან გულის კვნესით კვნესიან, ზოგჯერ მგონია, რომ ჯავრი მთების ჯიში და ფესვია.

მეც ცრემლმა დამიჩოლოვტა, ცრემლი ზედ შემდგა ფეხებით; დღეს თუ ხვალ, მოჭრილ ხესავით ამ ცრემლში ჩაიჩიჩებები გამითავდება სიცოცხლე — მტრებისგან დანაყვედრები.

ამაოდ ვუხმობ საშველად პირიმზეს — ცეცხლისლახტიანს... მკვდარს მთები დამიტრებენ, გლოვით ცის კიდეს ახდიან... რა, ცრემლი აკლდათ?! — მეც მაგათ დასატირალი გაეხდია.

ბრუნოდან ხევისპირამდე

„ბუნების ურყევ, მარადიულ კანონ-წესებში ჩვენ ღმერთს დავეძებთ“ — ამბობდა ბრუნო. დაახლოებით ამას ამბობდნენ: ფრენის ბეკონი და ნიუტონი,

ჰაინენბერგი, მაქს ბორნი და აინშტაინი... მოკლედ, ამ დიდმა მეცნიერებმა თავის მისიად ღმერთის ძებნა გამოაცხადეს. ღმერთის პირისპირ, ღმერთის გვერდით იდგნენ და მაინც ეუბნებოდნენ — შენ დაგეძებო. ღმერთს „პოულობდნენ“, ღმერთს „კარგავდნენ“ და ღმერთისაგან დამტკიცებულს

კვლავ „ამტკიცებდნენ“...

...ჩვენს ხევისბერს კი „ღმერთის კვალი“ არ უძებნია, ის თვითონ უფლის კალთაში გაჩნდა — მან ჩამაგონა — უფალი დგას უღელტეხილზე, რომ ავსულები ქედის აქეთ ვერ გადმოვიდნენ; მან ჩამაგონა — შენთან მუდამ უფალი არი, როცა მარტო ხარ, შენ მაშინაც არა ხარ მარტო; მან ჩამაგონა — უფლის წყალი წყაროს წყალია, რაც უნდა პირი გიშრებოდეს წყურვილისაგან, სხვა წყალს ნუ დაღევე, ამღვრეულ წყალს არ მიეკარო... ნურც სიტყვას დასძრავ ეშმაკისგან არეულ ენით... ბრუნო კი თითქოს ცხვარს ეძებდა — ტყეში დაკარგულს, ისე ამბობდა — ღმერთს დავეძებო...



ლადო კილასონია

დამწვარი სახლი

სუშრბ აივანზე იყო გაშლილი, თეთრ გადასაფარებელზე განყოფილ პატარა მელნისფერი ორნამენტებით მორთულ თევზებზე საჭმელი ელაგა, მაღალ გამჭვირვალე მინის გრაფინებში მძიმედ ლივლივებდა თეთრი ღვინო.

ბიჭები ფეხბურთზე და პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ, თამადა ზუბოს ბიძაშვილი სოსო იყო, ფეხზე დგებოდა, რიხით გაიძახოდა სადღეგრძელოებს, ბოლომდე ცლიდა სასმისს და იმ დროს მისტიროდა, როდესაც სოფელი სავსე იყო მოსანევით.

ის კი ჩუმად იჯდა, სასმელს უკვე გაეკეთებინა თავისი, მორეოდა, დაედუმებინა და ახლა სიამოვნებით იგონებდა დღევანდელ დღეს.

ნამოსვლა, როგორც ყოველთვის, ზუბომ აიტყხა, ამოვიდა ამდენი თბილისი ყელშიო, ჩემს ბიძაშვილს კიდე მაგარი სოფელი აქვსო და ასე გაიტენა კონოს მწვანე ჯიპი.

ზუბოს ბიძაშვილის, სოსოს სახლი სოფლის განაპირას, ზედ მთის ძირში იდგა. ქვის სახლი იყო, ორსართულიანი, დიდი ხეებით დაბურული ეზოთი, რომელიც მთას უერთდებოდა და უღრან ტყეში გადადიოდა, მხოლოდ დაჟანგული და თითქმის გამქრალი მავთულის ღობე რომ მიგანიშნებდა ბუნების ამ სიღრმეში თავის დროზე ადამიანის შემოჭრახე.

მერე იმ მომენტში ავიდნენ, ქვიშისფერი არნივივით რომ დაჰყურებდა მთის ძირში გაშლილ პატარა სოფელს. ნახეს მაღალი, გამხდარი მამაო, ეკლესიის უკან პატარა მდელსავით მოტიტვლებულ ადგილზე რომ ჩებდა შეშას: გრძელი თითები შემოეჭდო ნაჯახის სქელი ტარისთვის, ხმელი ხელებით სწევდა მაღლა, სწრაფად უშვებდა კუნძზე, ორად აპობდა, ნახლეჩებს იღებდა და იქვე გვერდით დახვავებული დაჩეხილი შეშის მოზრდილ გროვაზე აგებდა, შავი თმები კიკინად შეეკრა კეფაზე, კეხიან ცხვირზე და ხშირ შავ წვერზე ოფლის წვეთები ეკიდა. მაღალი კლდიდანაც გადმოიხედეს, რომლის ქვემოთაც დაკლაკნილი ხრეშიანი გზა დაღმა მიუყვებოდა ტყიან ფერდობს, დაბლა კი მწვანე საფარზე დილის ნამივით ილო სახლების ვერცხლისფერი სახურავები.

ახლა აივანზე ისხდნენ, სვამდნენ, იცინოდნენ, ირგვლივ მწვანე გალავნად ერტყათ ხეების შეფოთილი კენწეროები, ცა კი ნელ-ნელა კარგავდა ფერებს და როდესაც ჩამოხვდებოდა, ნათურების გრძელი რიგი ვერცხლისფერი ხანჯალივით შეიჭრა ღამეში და წყვილიდან წყალქვეშა ნავივით ამოყვინთა სოფელმა.

ზუბომ რომ თამადას სადღეგრძელო სთხოვა, ჭიქას ხელი დაავლო და ფეხზე წამოდგა, მიხვდა — ბოლო იყო, რომ სულ რამდენიმე წამში ხასიათი გაუფუჭდებოდა, რადგან შეცდა, შეეშალა, იფიქრა, ეს დღე რაღაცით განსხვავებული, გამორჩეული იქნებოდა, დღე რომელიც არ დაემსგავსებოდა სხვა დღეებს, ის კი იგივე აღმოჩნდა, კიდევ ერთი მოსაწყენი ეპიზოდი უთავბოლო ბრაზილიური სერილისა, რომელიც აღარც კი ახსოვს, როდის დაიწყო და რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

და ზუბომაც არ დააყოვნა, ჩვეული ბოხი ხმით ამოყარა პირიდან მამაოჩვენოსავით გაზეპირებული, ტრადიციად ქცეული ნაცნობი სიტყვები მათ სამმაკაცოზე, რომ მიუხედავად ბევრის თქმისა — აგერ ნახავთ გაიზრდებით და დაიშლებითო, ისინი (ანუ მათი სამმაკაცო) დროსაც მოერივნენ, გაუძლეს და დღესაც ერთად არიან, ზუსტად ისეთები, როგორებიც იყვნენ ადრე.

ის საღამო გაახსენდა, როდესაც თბილისში, ზუბოს სახლში, სუფრაზე ველარ მოითმინა და პირში მიახალა ყველას: მომბეზრდითო!

მაგრად გაუტყდათ ბიჭებს, არ მოელოდნენ და სახეზეც დაეტყოთ, მაშინ არაფერი უთხრეს, მაგრამ მერე რამდენიმეჯერ ნაკბინეს, შენ ხომ გებზრდებითო!

მას კი სულ სხვა რამის თქმა უნდოდა, სულ სხვა ჰქონდა აზრად, მაგრამ როგორც ყოველთვის არ გამოუვიდა (ფიქრში გენიალური აზრები, ამოთქმისთანავე კარგავდნენ ყველანაირ სიბრძნეს — გაახსენდა ფრაზა ნაკითხული რომანიდან), უნდოდა ეთქვა, რომ აღარ შეეძლო მეტი, რომ თვითონ ბიჭები კი არა, საკუთარი ყოფა, ცხოვრების წესი მობეზრდა, რომ ცოტა ხანი მაინც აღარ უნდოდა მათთან ერთად დაღევა, არც დასასვენებლად წასვლა, არც ღამით დარჩენა, რადგან წინასწარ იცოდა ყველაფერი, ყველა ხუმრობა, ყველა სადღეგრძელო, ყველა თემა, რაზეც ილაპარაკებდნენ.

მას ახალი უნდოდა, ცვლილება, სულ პატარა, ერთი ციცქნა ნატეხი რაიმე უცნაურის, აქამდე უცნობის, რომელიც წამით მაინც დაავიწყებდა ამ გულისრევამდე ნაცნობ, საყვარელ სახეებს და ხანდახან პოულობდა კიდევ.

ქალაქი დნებოდა, ნურ-ნურით ჩამოსდიოდა შხამიანი ოფლი, ის კი მანქანით მოდიოდა ერთ-ერთ ვინრო ცარიელ ქუჩაზე, როდესაც პატარა ქერათმიანი შიშველი ბიჭი დაინახა, მხოლოდ მაღალი წითელი რეზინის ბოტები რომ ეცვა, სვლა შეანელა და კარგა ხანს უყურა, ისეთი უცნაური და ლამაზი იყო ამ ნაცრისფერი ასფალტის აუზში უეცრად გაჩენილი, არსაიდან ამოზრდილი, ოქროსფერი, წითლად დაწინწკლული წერტილი. როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი, გენიოსია — აბა, რა არი?!

ფეხით მოუწინა სიარული, სუფრიდან წამოდგა, ტუა-

ღეტი საითააო, ქვის კიბეზე დაეშვა, სახლის უკან გავიდა და მაღლა აჰყვა ხეებით დაფარულ ფერდობს. ეგონა აქ მაინც გაექცოდა, დაემალებოდა ფიქრებს, მაგრამ მოტყუვდა.

ირგვლივ ყველაფერი შავი იყო, სიბნელე მძიმედ იწვა ეზოზე, მხოლოდ მაღლიდან ხეების შეფოთილი თავებით დაფარული, დაბზარული გუმბათიდან მუქ, მუქ ლურჯ ლაქებად ჟონავდა ღამის ცა. ისმოდა თრითინების ხმა, ჩამოვარდნილი ნაყოფი ტყლაპუნით ეცემოდა მინას, სადღაც შორს ყეფდნენ ძაღლები, ის კი მაინც ბიჭებზე ფიქრობდა.

ფეხქვეშ რალაცამ გაიხრაშუნა, ფიქრიდან გამოერკვა, მიმოიხედა, სიბნელეში მაღალი შავი კონტურები გაარჩია, ხელი მიადო — დამწვარი ხე, ძირს დაიხარა იქაც იგივე. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მინა მშრალი თოვლივით ახრასუნდა, ცას ახედა: ჩამონგრეული ფიცრები, სახურავის ჩონჩხი. დამწვარ სახლში იყო. უეცრად ხველა მოესმა, მარჯვნივ მიაბრუნა თავი და სიბნელეში, სულმებერილი ნაკვეთხალივით გაღვივდა წითელი წერტილი.

— არის აქ ვინმე? — იკითხა შეშინებულმა.

პასუხი არავინ გასცა, ნაკვეთხალი ოდნავ მიინავლა, ისევე გაღვივდა და წყვილიდან გაჩენილი ნაცრისფერი კვამლის ქვეშ ადამიანის სახე ამოტივტივდა.

— კი არის, — თქვა სახემ და ისევე ჩაიძირა სიბნელეში.

— მე... მე... — დაიბნა ბიჭი, — არ ვიცი, აქ თუ ვინმე...

— არა უშავს, შვილო, მოდი, გვერდზე დამიჯექი, რამდენი ხანია სტუმარი არ მყოლია, — გაისმა ხმა, კვამლი ისევე მოედო სიბნელეს, დამწვარ ხის კედელთან, პატარა კუნძზე მოხუცი კაცი იჯდა, მარჯვენა ხელით შავ ჯოხს ეყრდნობოდა, გაპარსულ, დანაოჭებულ სახეზე, ნიკოტინისგან ჩაყვითლებული თეთრი უღვაში ედო, იჯდა და გაზეთში გახვეულ თუთუნს ეწეოდა.



— მოდი, შვილო, დაჯე, — უთხრა ბიჭს და მის გვერდით დადებულ მორზე ანიშნა.

— გამარჯობა, — ბიჭი ჩამოჯდა.

— გაგიმარჯოს, შვილო! მონევ? — დამტკნარი ხელით თუთუნი გაუნოდა მოხუცმა.

— არა.

— რა გქვია?

— ირაკლი.

— მე — გრიშა.

— აქ ცხოვრობთ? — ჰკითხა ბიჭმა და დამწვარ კედლებს მოავლო თვალი.

— ხანდახან, — მოხუცმა თამბაქო მოქაჩა, წითელმა შუქმა წამით გაანათა მისი უბრალო, ძველი სპორტული შარვალი და რეზინის გადაჭრილი ბოტები.

— ეს თქვენი სახლია, გრიშა ბაბუა?

— კი ჩემია, მარა აქეთ აღარ ვცხოვრობ, ეს სახლი ბაბუაჩემის სიმამრის, მათე შალამბერიძის იყო ადრე. ბიჭი არ ყავდა მათეს, მარტო ერთი გოგო და სწორედ ეს გოგო შეირთო ბაბუაჩემმა, ანრი მხეიძემ. მხეიძეები გეგუთელი თავადები იყვნენ, იქიდანაა ჩვენი წარმოშობა.

მოხუცმა ისევ მოქაჩა თამბაქო, ბიჭს შეხედა, ნახა, რომ ყურადღებით უსმენდა და გააგრძელა:

— შალამბერიძეებს დიდი მიწები ჰქონდათ. ჩვენი სახლიდან იქით, საითაც ახლა სამანქანო ტრასა მიდის, პარალელურად მდინარიდან გამოყვანილი არხი მიუყვებოდა, ორი კილომეტრის მერე შალამბერიძეების ნისქეილი იდგა, იქიდან დაახლოებით სამას მეტრში კი დადიანების.

ადიდდა ერთხელაც მდინარე, გადმოვიდა ნაპირებზე და გაბიძნა არხი. ანრიმ პართე დადიანს შესთავაზა, მოდი ჩვენი ხალხი ერთად გამოვიყვანოთ და ერთად ვამუშაოთ არხის გასანმენდად, უფრო ნაკლები ჯაფა და ხარჯი დაგვადგება და საქმეც უფრო სწრაფად წავაო. უარი უთხრა დადიანმა, არ მიღირს ამდენ წვალუბად მაგ ნისქეილი და აღარ ვაპირებ მაგის ამუშავებასო.

გამოიყვანა ანრიმ თავის ხალხი, განმინდა არხი თავის ნისქეილამდე და ამ დროს მოუვიდა ცნობა — დადიანი თავის გლეხებით წყლის არხს წმენდსო.

ძალიან ფიცხი კაცი იყო ბაბუაჩემი, გაცოფდა ამ ამბავზე და ჩაუვარდა თურმე მდინარის პირას დადიანს. აქეთ ნაპირზე ანრია, იქით დადიანი.

რატომ მომატყუე, აკი აღარ ვამუშავებ ნისქეილსო? დაუყვირია ანრის.

შენი რა საქმეა, ვამუშავებ მე ნისქეილს თუ არაო, უპასუხია დადიანს.

დაუძვრია ანრის ტყავის ბუდიდან დიდი ბარაბნიანი

დავით კლდიაშვილი — 150



— არ შეიძლება ასე, ყმანვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხარ! — შეუძახებდა ხოლმე მოთმინებადაკარგული ქალბატონი ქეთევან ჟურული ოციოდე წლის დავით კლდიაშვილს ბათუმის სცენისმოყვარეთა დასის რეპეტიციებზე. რა მადლიერნი უნდა ვიყოთ ბათუმის პოლიცემისტერის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანისა, რომელიც დაუზარლად, ათჯერ-თხუთმეტჯერ ამეორებინებდა როლს ბათუმში განწესებულ ახალგაზრდა ოფიცერს, „დამწყებ“ მსახიობს და მომავალ დიდ მწერალსა და დრამატურგს.

გრიგოლ კიკნაძე, რომლის ნაშრომები კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, აკაკი განერელიას თხზულებათა დარად, დავით კლდიაშვილისადმი მიძღვნილ საუკეთესო გამოკვლევათა რიცხვს მიეკუთვნება, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მწერალმა ერთხანს ცუდად იცოდა ქართული, ვინაიდან რუსეთში აღიზარდა, მაგრამ მისმა შემოქმედებამ არ იცის რუსულის კალკი.

მართლაც რომ ასეა და განსაცვიფრებელი არის. კიევსა და მოსკოვის სამხედრო სასწავლებლებში ძალდატანებით გარუსებულმა დავითმა, 20 წლის ასაკში რომ დაბრუნდა საქართველოში, თავიდან შეისწავლა ქართული; უფრო ზუსტად თუ ვიტყვი — „დაიბრუნა“ მშობლიური ენის ცოდნა.

გერონტი ქიქოძე ამ ფენომენს შემდეგნაირად ხსნიდა: სოფლად, პატრიარქალურ ოჯახში გატარებული ბავშვობის პირველი წლები იყო განმსაზღვრელი იმისა, რომ გარუსებულმა ჭაბუკმა სულ მოკლე ხანში ბრწყინვალედ აღიდგინა ქართული: „იქ გაეცნო ის ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, არაკებს, სიმღერებს და ჯანსაღი ხალხის გონებამახვილ დიალოგს; იქვე შეისწავლა ის სადა, ძალდაუტანებელი ქართული ენა, რომელიც მას შემდეგვერ დაავინა ვერც კიევის სამხედრო გიმნაზიამ და ვერც ბათუმის ყაზარმებმა“.

დავით კლდიაშვილი პროფესიით სამხედრო პირი გახლდათ. სამხედრო განათლებას, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის არმიაში სამსახურს მან 30 წელზე მეტი შეაღია. ეს იყო შფოთში, შეუწელებელ აღლევებში გატარებული წლები, როცა მეფის არმიის „პაგონებით“ დამძიმებულ ოფიცერს — ამასთან უზადო მოქალაქესა და დიდ ქართველ მწერალს ბენვის ხიდზე უხდებოდა სიარული: ერთის მხრით, პირნათლად რომ მოეხადა სამსახურებრივი მოვალეობა (ამისათვის მას გასამრჯელოს უხდიდნენ), მეორე მხრით — შეენარჩუნებინა და არ შეებღალა ადამიანური და ეროვნული ღირსება.

სიყრმიდანვე ჯერ მწერლობით, ხოლო შემდეგ კი „ქართლის ბედი“ დაღდასმულ დავით კლდიაშვილს სხვაგვარად ესახებოდა მომავალი. „როგორც ორ წელიწადს სამხედრო სასწავლებელში ნამყოფს, მე უნდა შემსახურნა სამი წელიწადი, რის შემდეგ ვფიქრობდი სამხედრო სამსახურიდან გასვლას და სხვა დარგში მოწყობას, ვაპირებდი ჩემს გუნებაში საზღვარგარეთაც წასვლას“.

უსახსრობის გამო (კიევსა და მოსკოვში იგი სახელმწიფო ხარჯით იყო) დავით კლდიაშვილმა ვერ შეისრულა ნაოცნებარი; ხოლო შემდეგში კი, დაწვრილში ვიღებულს, როცა 1908 წელს უცერემონიოდ დაითხოვეს სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის ჩინით, მწირი პენსიით, ცხოვრების სახსრის ძებნა მოუხდა.

„გათავდა ჩემი სამხედრო სამსახურიც. ეს არაფრად მანუხებდა. სამწუხარო ის იყო მხოლოდ, რომ ჯანმრთელობა ძლიერ შემერყა“ — წერდა მოგვიანებით დავით კლდიაშვილი.

იგი მართლაც დაუნებლად გამოეთხოვა სამხედრო სამსახურს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, 1915 წლისათვის, სწეული და ჯანგატეხილი, 53 წელს მიტანებული, ოსმალეთის ომონტზე გაიწვიეს (პირველ მსოფლიო ომში ოფიცრები თურმე 54 წლამდე გაჰყავდათ).

თავის დროზე, 1905-1907 წლებში, დავით კლდიაშვილმა ბათუმში ისე იმსახურა, რომ არც მას და არც მის გუნდს თოფიც კი არ ჰქონდა გასროლილი, მაშინ, როცა ბათუმის ფილაქანი შინაური „მტრის“ სისხლით იყო მორწყული.

1 მსოფლიო ომის დროს კი, უკვე შეხნიერებულ მწერალს, მისივე სიტყვებით, „ღრმად შეზარდა ომი, საცხებით წარმოუდგა მისი საშინელება, მისგან ადამიანის წარმოდგენილი გამხეცება“: რუსეთის დეგრადირებული არმია ლაზებით დასახლებულ ადგილებში ქვას ქვაზე არ ტოვებდა, დიდი და პატარა ძარცვა-გლე-

ლალი ავალიანი ბედნიერი თვალისა და სიყვარულით გამთბარი გულის მწერალი

ჯაზე, უაზრო წგრევასა და ცეცხლის ნაკედებზე იყო გადასული... ამას ისიც დაერთო, რომ ლაზების გამოსარჩლებისათვის პოდპოლკოვნიკ კლდიაშვილს სავსე სასამართლო მოულოდა.

ბედმა გაუღიმა მწერალს: ნიკოლოზის გადადგომამ და დროებითი მთავრობის დაფუძნებამ იხსნა იგი დიდი ხიფათისაგან. აქ კი დავითმა წრფელი სიხარულით, საბოლოოდ დაუსვა ჯვარი თავის მოღვაწეობას რუსეთის არმიას.

„უკუღმართი და მკაცრი იყო ცხოვრების სკოლა. ...როგორ შეეძლო ასეთ გარემოცვაში დავით კლდიაშვილს შეენარჩუნებინა სიყვარულით გამთბარი გული, ადამიანის პატივისცემა და ნდობა, რომელიც მას ახასიათებს მთელი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე?“ გერონტი ქიქოძის ამ რიტორიკულ შეკითხვას თავად დავით კლდიაშვილმა გასცა პასუხი თავისი პიროვნული თუ მოქალაქეობრივი ყოფით, შემოქმედებით, ცხოვრების წესით. დიდი მწერლის შინაგანი ბუნება, სადა და უპრეტენზიო პირადი ცხოვრება, საზოგადოებრივი აქტიურობა, ცნობილია არა მხოლოდ მისი თანამედროვეებისათვის, არამედ, საბედნიეროდ, ჩვენთვისაც; უწინარეს ყოვლისა — მისი მოგონებებით. ავტორის სურვილი ერთგვარად ჩრდილში ყოფნისა და, უპირატესად, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მოვლენათა გადმოცემა, მის მოგონებათა თავდაჭერილი სისადავე, ღირსებისამებრ, კიდევ უფრო დიდად წარმოგვიჩენს დავით კლდიაშვილს — შემოქმედს და მოქალაქეს, მთლიან, გაუზზარავ პიროვნებას.

ჩვენში კლინცდამაინიც არ ჩანს დიდი ინტერესი კლდიაშვილსა პირადი, ინტიმური ცხოვრებისადმი, არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასალის სიმწირე დიდ და უმადურ შრომას მოითხოვს (რაც „ნიჭიერ“ ქართველთა უმრავლესობას არ ეხერხება), არამედ ქართველის თანდაყოლილი დე-

ლიკატურობისა და მორიდებულობის გამოც (რაც, შესაძლოა, მალე წარსულს ჩაბარდეს).

მაგალითისათვის: ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები საგანგებოდ არასდროს დაინტერესებულან აკაკის განსაკუთრებით ყურადღებიანი დამოკიდებულებით მშვენიერი სქესისადმი, ილიას სიბარბუტე მიდრეკილებებითა თუ აზარტული თამაშით, მამია გურიელისა თუ გრიშა აბაშიძის ბოჰემური ცხოვრების წერილმანებით...

თუკი ბაირონის სასიყვარულო ურთიერთობებზე მრავალი წიგნია დაწერილი, ხოლო ალექსანდრე პუშკინის „დონჟუანურ სიაზე“ დღემდე თავს იმტვრევდა მკვლევარნი, თუკი ბლოკის, ბელისა და ლიდია მენდელეევის ან მაიაკოვსკის და ოსიპ დალილი ბრიკების „სიყვარულის სამკუთხედებს“ უკვე დიდი ხანია იკვლევენ, ამგვარი ნაშრომები ქართველ მწერალთა შესახებ თითქმის არ მოიპოვება. თანაც ინტიმური სფერო მარტო სატრფიალო ურთიერთობით ხომ არ ამოიწურება! როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი, ვისურვებდი, რომ ჩვენც მიგვებაძა იმ ჩინებულ უცხოელ მეცნიერთათვის, მწერალთა პირადი ცხოვრების წერილმანებს რომ იკვლევდნენ დიდი გულმოდგინებითა და წარმატებით.

დავით კლდიაშვილი, თავის ინტიმურ თავგადასავალს, ქართული ტრადიციისა და საკუთარი შინაგანი ბუნების შესაბამისად, ცხადია, საქვეყნოდ არ „გამოჟენდა“.

მწერლის ესა თუ ის პიროვნული თვისება, ბევრწილად, თითქოს ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ღირსსაცნობი წერილმანებით ამოიცნობა! ამ მხრივ ყოველთვის მაინტერესებდა დავით კლდიაშვილის ადამიანური თვისებები, მის პიროვნულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყოველი დეტალი.

თუ როგორი იყო მისი პიროვნული ბუნება, ამაზე, გარდა დავით კლდიაშვილის მემუარებისა, თანამედროვეთა მოგონებები მიგვანიშნებენ. მათ შორის ბევრია სანდოც და საყურადღებოც. განსაკუთრებით ღირსსაცნობია სერგო კლდიაშვილის უნიკალური წიგნი მამაზე. ეს ყველაფერი ცნობილია.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მიწვივა არა მოგონებათა ავტორებს, არამედ დავითის ორ თანამედროვეს, რომელთა დამოკიდებულება დიდი მწერლისადმი გაცხადებულია მინაწერებით ორ სხვადასხვა წიგნზე.

როგორც მკითხველი თავად დარწმუნდება, ეს მინაწერები ძირფესვიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ჩემი განსაკუთრებული ინტერესი მათადმი ძირითადად ამ პოლარულობამ განაპირობა.

გიორგი ლენინის სახელობის ქართული ლიტერატურის მეზუემში, ბევრ სხვა ძვირფას რელიკვიასთან ერთად, ინახება დავით კლდიაშვილის ორ ტომად დასტამბულ თხზულებათა პირველი ტომი, გამოცემული ბათუმში, 1911 წელს. ეს წიგნი, უწინარეს ყოვლისა, იმით არის ღირებული, რომ მასში დავითს ფაქტით ჩაუსწორებია ან შეუცვლია ზოგიერთი ფრაგმენტი. თავის დროზე, როცა დავით კლდიაშვილის ორტომეულის (1980-1981 წწ.) რედაქტორი გახლდით, გარდა თხზულებათა პირველნაბეჭდისა, სერგო კლდიაშვილის რჩევით, გავეცანი დავითის ამ სწორებებსაც. როგორც ჩანს, დიდ მწერალს წლების გადასახედიდან სხვაგვარად, უცხო თვალთ შეუხედავს თავისი ადრინდელი ნაწერებისათვის და ზოგი ადგილის გადახალისება მოუწადინებია.

ტექსტოლოგიის სპეციალისტები ან დავით კლდიაშვილის თხზულებათა გამომცემელი ალბათ იცნობენ ამ წიგნსაც და მასში მოგვიანებით შეტანილ ავტორიულ ცვლილებებსაც. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩასწორებების დიდი უმრავლესობა არ აღმოჩნდა მისაღები.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ არა ტექსტოლოგიურ მხარეს, არამედ დავით კლდიაშვილის ზემოხსენებული წიგნის მოხდენილ გარეკანს და მიძღვნიან-წარწერას (წარწერა რუსულ ენაზეა).

წარწერის ავტორს ი. გერშონს, რომლის ვინაობა უცნობია, ჩანს, საკუთარი ხელით ჩაუსვამს მდიდრულ გარეკანში დავითის სადა, ვარდისფერი მუყაოს ყდიანი წიგნი და გულთბილი წარწერით მიუძღვნია მწერლისათვის.

„ძვირფას დავით სამსონის ძეს. დიდი ხანია მსურდა, რითიმე გამომეხატა თქვენდამი ჩემი სიმპათია, ჩასახული ჩვენი ნაცნობობის პირველივე მომენტებიდან. და აი, ახლა, თქვენი ლიტერატურული დღესასწაულის — თქვენი ნაწარმოებების გამოცემის ჟამს — ვსარგებლობ ხელსაყრელი შემთხვევით და გაახლებთ საკუთარი ხელით ყდაში ჩასმულ, თქვენთვისაც და ჩემთვისაც ძვირფას წიგნს, ძღვენს, ერთობ მოკრძალებულს, მაგრამ გაცისკროვნებულს გულწრფელი სიყვარულითა და სიმპათიით თქვენდამი, როგორც „ადამიანისადმი“, რომლის ბადალი იშვიათად თუ შემხვედრია ჩემი ცხოვრების გზაზე. თქვენი გულწრფელად მოყვარული და პატივისცემელი ი. გერშონი.“

VI. 1911. ბათუმი“.

წარწერის ავტორი, რომელსაც მოურთავს უბრალო გამოცემა, წიგნის მკაზმათა ან მკინძავი არ უნდა იყოს, მას, როგორც ჩანს, უფრო ინტელექტუალური პროფესია უნდა ჰქონოდა. ამაზე მიგვიბრუნებენ წარწერის შინაარსიც და სტილიც.

გერშონს, ამ წარწერის მიხედვით, დავითთან საკმაოდ ახლო ნაცნობობა უნდა აკავშირებდეს. მას უთუოდ კარგად აქვს გაცნობიერებული საერთოდ მწერლობის ფასი, ისიც, რომ თხზულებათა კრებულის პირველი გამოცემა ავტორის „ლიტერატურული დღესასწაული“, ხოლო დავითის თხზულებათა ტომს „თქვენთვისაც და ჩემთვისაც ძვირფას წიგნს“ უწოდებს.

გერშონი საგანგებოდ შენიშნავს, რომ საკუთარი ხელით გაუკეთა წიგნს ყდა; პროფესიით მკინძავი ამის აღნიშვნას ზედმეტად მიიჩნევდა (სხვათა შორის, წიგნის კინძვას კიევის სამხედრო გიმნაზიამ დავითსაც ასწავლიდნენ). იგი საოცარ სიყვარულსა და მონივნებას ავლენს დიდი მწერლის მიმართ. ყოველივე ეს გამოით-

ქმულია ძალზე ღირსეულად და ინტელი- გენტურად.

გერმონის აზრით, დავითი გამორჩეუ- ლი პიროვნებაა: „ადამიანი“ — ერთ-ერთი საუკეთესო, ვისაც იგი შეხვედრია ცხოვრე- ბაში.

დავით კლდიაშვილის უცხო თვალთ დახარული „სულიერი პორტრეტი“ ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა, რომ გერმონი ეროვნებით ქართველი არ გახ- ლავთ.

ისეთი დახვეწილი სულისა და მაღალი კულტურის ადამიანი, როგორც იყო დიდი ქართველი მწერალი, ცხადია, ანტისემიტი არ იქნებოდა (ქართველი — ანტისემიტი დღემდე, ღვთის მადლით, სანთლით საძე- ბარია).

შეიძლება გავიხსენოთ ერთი ფრაგმენ- ტი დავითის მოგონებებისა, რომლებიც იულოფოზიის მიმართ — რისხვის, ხოლო ებრაელი ერისადმი დიდი სიბოძის გამოხ- ატყველია.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს „რუსეთიდან საზარელი ამბები მოდიოდა, განსაკუთრებით საზარელი ამბები იყო ებრაელების დარბევის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ბევრს ქალაქში. აბოპქრებული ბრბო, შავრაზმელების ხელმძღვანელობით უმოწყალოდ ჟლეტ- და, შეუბრალებლად აცამტყვერებდა ებრაელებს, არ ზოგავდა არაფრით. ეს ჟლეტა წარმოებდა, როგორც შემდგომში გამოიჩინა, მთავრობის ნებადართვით და ხელშეწყობით. ებრაელების ამგვარი ჟლე- ტა მოხდა ოდესაში — რაღაც განსხვავე- ბული მხეცური — უდანაშაულო ხალხის სრესა. სურათი იმის, რაც იქ ქუჩაში ხდე- ბოდა თურმე, პირდაპირ ზღაპრული რამ იყო... დაილუპა უთვალავი ხალხი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერი, ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტი ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილი. ხალხის საზარელი ჟლეტის მასურებელს ვერ მოეთმინა სახ- ლში ყოფნა და საცოდავთა მისაშველე- ბლად გამოვიდა ქუჩაში და ისიც შეუ- ბრალებლად ყაზახების ნასროლი ტყვიით გამოსალმებულ იქნა ნუთისოფელს.

...ბათუმი დიდად ეშხადებოდა მოკლე- ლის ცხედრის მისაღებად. დილა იყო, როცა გემი მოადგა ნაპირს. გემიდან გად- მოასვენეს მიცვალებული. მახლობლების გარდა აქ არავის უშვებდნენ, მაგრამ, რაღაც ხერხით, ერთ ჯარისკაცს მაინც მოეხერხებინა და მიიჭრა კუბოსთან. კარ- გად მახსოვს მისი აღლევებული სახე, მისი აკანკალებული, ათრთოლებული ხმა, რომ- ლითაც მან მიმართა მიცვალებულს:

— ძვირფასო ადამიანო, შენ ჩვენთვის გასწირე შენი სიცოცხლე, შენი მეცნიერე- ბა, შენი ყველაფერი. ჩვენი საცოდავი ხალხის მისაშველებლად გამოხვედი... შენც იგი გხვდა, რაც ჩვენებს და ჩვენ არა- სოდეს არ დავივიწყებთ შენს ჩვენდამი გულკეთილობას, შენს სახელს, ჩვენთვის ძვირფას სახელს! გმადლობთ, ძვირფასო ადამიანო! შეჩვენება შენს მკვლევებს, ჩვენ მტარვალებს.

მწარედ აქვითინებული იგი გაშორდა კუბოს.

იგი იყო ებრაელი ჯარისკაცი. გემის სადგომიდან კუბო გადაასვენეს აზიზის მოედანზე, სადაც იყო მომზადე- ბული საგანგებო ადგილი. მოედანი სავსე იყო ხალხით. შემალმებულზე დასვენებულ კუბოსთან ამართული იყო მაღალი ტრი-

ბუნა ორატორებისათვის.

...მთავარი ხელმძღვანელი იყო ვეკილი დინინი, ებრაელი. ბათუმის მთელი ებრაელობა მოვიდა მიცვალებულის პა- ტისაცემად და მათ ხმამაღლა ტირილს დასასრული არ ჰქონდა, როცა ტრიბუნაზე ასულმა რაბინმა დავით ზილბერმისტრმა მიმართა თავის მხურვალე სიტყვით მიცვალებულს“.

ვეკილმა დინინმა, რომელიც თავკა- ცობდა საბა კლდიაშვილის ბათუმში დას- ვენების (ცერემონიას, სულ მალე გაიზი- არა მისი ბედი. ერთ-ერთი არეულობის დროს ბათუმში დაპატიმრებული დინინი მოკლეს, ვითომდაც გაქცევის მცდელო- ბისას.

დავით კლდიაშვილი განასხვავებდა ოდენ „რიგან“ და „ურიგო“ პიროვნებებს — ეროვნების, სარწმუნოებისა თუ სო- ციალური მდგომარეობის მიუხედავად. ეს იყო მისთვის ადამიანის ღირსების განმ- საზღვრელი ერთადერთი კრიტერიუმი.

მეორე მინანქრი თან ერთვის დავით კლდიაშვილის 1919 წლის იუბილესთან დაკავშირებით დასტამბულ პატარა ნიგ- ნაკს (დაცულია საჯარო ბიბლიოთეკაში). მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ 1920 წელს გამოცემული, თვით მკვლე- ვართათვის ნაკლებად ცნობილი და დღეს ბიბლიოგრაფიულ იმედიანობად ქცეული ნიგნაკი — „დავით კლდიაშვილის საიუბი- ლეოდ“ — ერთობ საყურადღებოა. მასში თავმოყრილია მწერლის ოცდაათი წლის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექსები და მისალმებები. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა თვით დავითის მიერ მოთხრობილი ავტობიოგრაფია, ჩანერილი და გადმოცემული არტემ ახნაზაროვის მიერ.

ამჯერად მხოლოდ ნიგნაკის ბოლოს ფანქრით მიწერილი, უცნობი მკითხველის „ორიგინალური“ ლექსი მაინტერესებს:

*დიდო დავითო, დიდი ყოფილხარ,
ჩინ-მენდალებით გამონყობილხარ,
ერი ჩაგრული, უკან გიგდია
და შენ კი სული კიდევ გიდგია.*

„პოეტი“ საკუთარი სახელისა და გვარის გამჟღავნებას მორიდებდა და „ნამ- კითხველის“ ფსევდონიმს ამოფარებდა, მაგრამ ნიგნის ნაკითხვისა და ლექსის თარიღი კი ალუნიშნავს — ივნისი, 1927 წელი (დავითი 1931 წელს გარდაიცვალა). ლამის თვალებს არ დაუფერე! ამ პო- ეტურ „შედეგს“ კიდევ ორი მინანქრი ახ- ლავს: ერთი — „უთარილო, ანონიმური — „ამის დამწერი შეგნებული მავნებელია“; მეორე — ანონიმის თანამაზრის, „ლ.ს.“- ს ხელმოწერილი, 1943 წლით დათარიღე- ბული — „მეც გეთანხმები“.

ნეტა რამ გაამეტებინა ასე დავით კლ- დიაშვილი „ნამკითხველს“? ასეთი რა ამ- ოიკითხა მან დიდი მწერლისა და უზადო მამულიშვილის ავტობიოგრაფიაში?

ეს მდებო სულის ადამიანი უთუოდ ღვარძლის ამონთხევის სურვილმა აამე- ტყველა „პოეტურად“; მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი, თუმცა „ჩაგრული ერის“ ქომა- გობას იჩემებდა, ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსით დავითის ანტიპოდი უნდა ყო- ფილიყო. გავიხსენოთ ნიგნაკის გამოცე- მის თარიღი — 1920 წელი, წარწერისა — 1927.

ერთ შემთხვევაში — 1920 წელს —

თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართვე- ლო; 1927 წელს — ძალით გასაბჭოებული, ანექსირებული, 1924 წლიდან საბოლოოდ ნამოწოქებული, დამცირებული სამშობ- ლო...

რამ გააბოროტა „ნამკითხველი“? დავ- ითის ამ სიტყვებმა ხომ არა?

„...ბენდინერი ვარ, რომ ჩემის ძვირფა- სის სამშობლოს განთავისუფლებას მოვესწარი და ეს დიდებული, ყოველის ქართველისათვის სანატრელი და ბედ- ნიერი დღე ჩემის თვალთ ვიხილეო.

ასე დაამთავრა თავისი ნამშობი ჩვენ- მა პატივცემულმა იუბილარმა და თვალე- ბში სიხარულის ცრემლი მოერია“.

ალბათ ცოტამ თუ იცის (რადგან ეს ფაქტი დიდხანს იყო მიჩქმალული), რომ დავითი კინალამ ემსხვერპლა 1924 წლის რეპრესიებს. 1924 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი მკურნალობდა ბორჯომში, სადაც სახალხო აჯანყებისა და ბოლშე- ვიკების ვანდალიზმის ამბავმა დაგვი- ანებით ჩააღწია. მწერალს თავისიანებზე ფიქრი არ ასვენებდა; სიმონეთში იმყოფე- ბოდა სერგო კლდიაშვილიც ცოლითა და ჩვილი ქალიშვილით. დავითი ბოლო წლებ- ში, სწეულებისა თუ ახალ მთავრობასთან „შუთავსებლობის“ გამო, ჩამოშორებული იყო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იშვი- ათად ჩიდებოდა საჯაროდ. მან მიატოვა მკურნალობა და სიმონეთს მიაშურა, სა- დაც სვირის სადგურზევე დააპატიმრეს, სარდაფში შეაგდეს და უდიდრადაც მოექცინე. იქვე აღმოჩნდა სინდიკირი ოფიცერი, რომელმაც შეატყობინა იქაუ- რი ჯარის ნაწილის მეთაურებს ქართველი მწერლის დაპატიმრების ამბავი. მათ, დიდი ყოყმანის შემდეგ, უაღრესად შეურაცხე- თილი, უკვე საკმაოდ ხანდაზმული დავ- ითი დროებით სახლში გაუშვეს.

საფრთხე დიდი იყო, სერგო კლდიაშ- ვილს ერთადერთ გამოსავლად მიუჩნევია ქუთაისში პარტიულ მუშაკთან ვალია ბახ- ტაძესთან მისვლა, რომელიც აჯანყების ლიკვიდაციისათვის ყოფილა მივლინებუ- ლი დასავლეთ საქართველოში.

სერგო კლდიაშვილი ღამით, მალე- ლად, გამოსულა სახლდან; ქუთაისში ნა- შუაღამევს ფეხით ჩასულს, დიდი წვალები- თა და ტანჯვით, როგორღაც მოუხერხე- ბია ვალია ბახტაძესთან შეღწევა. ვალია ბახტაძე (როგორც ზოგი სხვა იმდროინ- დელი პარტიული იდეოლოგი) კრიტიკო- სობდა კიდევ და, ცხადია, კარგად იცნობ- და კლდიაშვილებს. მან მაშინვე მისცა სერ- გოს დავითისა და მისი მეუღლის ხელშეუხ- ებლობის „ფირმანი“.

ეს ამბავი დანერგვით მომიყვა ბა- ტონმა სერგომ 1979 წლის 4 ივნისს, მო- ნათხრობი ჩავინერე იმ დღესვე, გამოვა- ქვეყნე მხოლოდ 1990 წელს (1979 წელს ცენზურა ჯერ კიდევ მძლავრობდა).

დასასრულს, გადმოგცემთ ბატონი სერგოს მოთხრობილ კიდევ ერთ ეპიზოდს, დავით კლდიაშვილსა და გრიგოლ რობა- ქიძეს რომ ეხება.

გრიგოლ რობაქიძეს მეოცე საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისიდან უკვე მტკი- ცედ ჰქონდა დამკვიდრებული ჩინებული ლიტერატორისა და ლექტორის სახელი. დიდად აფასებდა მას დავით კლდიაშვილი. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა შე- მოგთავაზოთ სერგო კლდიაშვილის მონა- თხრობი ამ სამ პიროვნებას შორის წარმო- ქმნილი ერთი ინციდენტის თაობაზე. თვით ბატონ სერგოს ბევრი რამ არ დაუ- ზუსტებია, ცხადია, ვერ გადმოცემ მის ცინცხალ იუმორს, მეტყველების გამორ- ჩეულ „ძველმოდურობას“, ხან დარბაის- ლური, ხან კვიმატი იმერულით შეზავებულ კილოს... ყოველივე ეს ქალაქის მიღმა დარჩება.

საქმე კი ასე ყოფილა: ქუთაისის ერთ- ერთ საკრებულოში ლიტერატურულ სალ- ამოზე გრიგოლ რობაქიძეს ნაუკითხავს ლექცია ბესიკის პოეზიაზე. სერგო კლ- დიაშვილს სახელდახელოდ შეუთხზავს საკმაოდ მწარე პაროდია რობაქიძის ამა- ლებული განწყობილების ლექციაზე; იქვე, საჯაროდ ნაუკითხავს, რითაც დამ- სრე საზოგადოება გვარიანად გაუმხ- იარულდება.

როგორც ჩანს, საღამოზე მონაწილე- ობდნენ სხვადასხვა თაობის მწერლები, მათ შორის იყო დავით კლდიაშვილი.

ალფოთებულ გრიგოლ რობაქიძეს თავი ვერ მოუთოკავს, რატომღაც სერგო კლდიაშვილისათვის გვერდი უქცევია და გაცეცხლებული დავითთან მიჭრილა.

დავითი, უკვე წლებით საკმაოდ დამ- იმებული და ჯანგაბეხილი, ორივე ხელით ჯოხს დაყრდნობილი, შენუხებული სახით მდგარა კულისებში.

დავით კლდიაშვილისათვის სრულიად



გრიგოლ რობაქიძე

უცხო და მიუღებელი იყო ადამიანის დაც- ინვა, გამასხრება, თვითმიზნური ენამახ- ვილობა; როგორც ჩანს, იგი არ თანა- უგრძობდა ვაჟიშვილის „გამოხდომას“, პირიქით, ძლიერ უხერხულობას გრძნობ- და.

მამ ასე, გაგულისებული მიჭრილა გრი- გოლ რობაქიძე თავის სათავყვანებელ დიდ მწერალთან და სერგო კლდიაშვილის გან- მაქიქებელი ვრცელი ტირადა, ჩანს, დავი- თის მიმართ მონივნის გამოსახატავად, ამგვარად დაუსრულდება: „ბატონო დავ- ით! ის (—ამ ნაცვალსახელში მე ვიგულისხმებოდიო — ეშმაკურად „მისხ- ნიდა“ ბატონი სერგო — ჩემი სახელის სხენებაც კი არ სურდაო!) არ არის თქვენი შვილი, ის არის პლებსი!“ ეს აზრი, მცირე- დი სახეცვლილებით („ის არ შეიძლება იყოს თქვენი ვაჟი, ის არის პლებსი!“ „მე ვერ დავიჯერებ, რომ ეს პლებსი თქვენი შვილია!“ და ა.შ.) რამდენჯერმე დიდი გაცხარებით ყოფილა გამოთქმული.

საოცარი კომიზმი იმაში გამოიხატე- ბოდაო, კმაყოფილებით იცინოდა ბატონი სერგო, რომ ეს გამოთქმა — თითქოსდა მე, პლებსი, არ შეიძლებოდა ვყოფილიყავი არისტოკრატი დავითის ვაჟი — გრიგოლ- ის განზრახვის წინააღმდეგ, უნებურად ჩრდილს აყენებდა ჩემს მშობლებს! ამას ვერ გრძნობდა ჩემი კვიმატი პაროდით გააღმასებული და წყობიდან გამოსული გრიგოლი; პირიქით, ფიქრობდა — დიდი დავითის მიმართ მოკრძალებას გამოვხატ- ავო!

დავით კლდიაშვილი, ძლიერ შენუხებუ- ლი ცალკერმ ვაჟიშვილის უსაქციელობით, ცალკერმ კი ასე უხეიროდ გამოთქმული „ქათინაურთა“ თუ „ბრალდებით“, თავჩა- ქინდრული, ხმაამოუღებლად უსმენდა თურმე რობაქიძეს.


მხოლოდ, იცოცხლეთ, მოგვიანებით კი უყრია ჯვარი ენაკვიმაც ვაჟიშვილზე და ძალიანაც გაუჯგოვავს იგი, ერთი მხრით, რობაქიძის ლექციის გაბიაბრუებისა, ხოლო მეორე მხრით, დავითის ასეთ შავ დღეში ჩაყენებისათვის.

მინანქრი: ჩემი ღრმა რწმენით, დავით კლდიაშვილი ბადალი მწერლით, მისი უნიკალური ბიოგრაფიითა და ასევე უნი- კალური შემოქმედებით ნებისმიერი ერი იამაყებდა; ჩვენ კი მისი თხზულებების სრული და სრულყოფილი აკადემიური გამოცემაც კი არ გაგვარჩნია.

ცხადია, საბჭოურ იდეოლოგიებს დი- დად არ ეპიტანავებოდათ დავით კლდიაშ- ვილის ცხოვრებისა და შემოქმედების განუხრელი ეროვნული გეზი და მისი „გან- დეგილობა“ სიმონეთში ანექსიის შემდგომ პერიოდში; სამწუხაროდ, ეს მისი თხზულე- ბების გასცენიურების (თუ ეკრანიზების) თვითნებური ინტერპრეტაციით, აგრეთვე, პროზაული თუ მემუარული ნაწარების კონიუნქტურული „ჩასწორებებითა“ და გაუმართლებელი კუპირებითაც გამოვ- ლინდა. სერგო კლდიაშვილი, მამის ლიტ- ერატურული მემკვიდრეობის მეურვე, დიდად განიცდიდა ტექსტის შერყვნის ფაქტებს და თავის უძლურობას ამის აღმო- საფხვრელად.

ეს ხარვეზი უთუოდ უნდა გამოსწო- რდეს.

ამჯერად შევეცადე, დროსა და გარე- მოების, „გლობალური ფრაგმენტაციის“ ეპოქის შესაბამისად, ქრესტომათიული პენის გარეშე წარმოემჩინა დიდი იუბი- ლარის ცხოვრების ნაკლებად ცნობილი, მაგრამ უთუოდ ღირსსაცნობი ზოგი ეპი- ზოდი.



სერგო კლდიაშვილი

დასასრული
დასაწყისი №80

იკავ თვალგაზრ
(მინანური ერთი წლის შემდეგ)

არასოდეს უნდა იფიქრო, რომ სათქმელი ბოლომდე ამოსწურე და დაწერილზე, არსებითად არაფერია დასამატებელი. ძნელია განსაზღვრო, როდის რას ნაწყვეტი და ასეთ დროს ყველაფერი უეცრად შეტრიალდება – რომელიღაც შემთხვევა ძველ კალაპოტში დაგაბრუნებს და იძულებული ხდები, ადრე გაველილი გზა ხელახლა გაიარო, ოღონდ სხვანაირად, იერშეცვლილად, თუმცა ვერც ეს მოგცემს უეჭველ რწმუნებას – გალმა გახვიდე და შეგულებულ ნაპირს მშვიდობიანად მიადნო. ბევრმა რამემ, შენს განაზრახთან აშკარა თუ ფარული კავშირი რომ აქვს, მოგვიანებით იცის მესხიერების ზედაპირზე ამოტივტივება და მანამ არ მოგასვენებს, სანამ თავის ადგილს არ მიუჩენ. ეს სიამოვნება არაერთხელ მაქვს გამომაცადია.

არაფრით არ მეგონა, ჩემს ისედაც აბურდულ, დაულაგებელ ჩანანურში რუსი ფუტურისტების („ბუდეტლიანების“) მამამთავრის, ყოვლად უცნაური, განსაცვიფრებლად ნიჭიერი პოეტის (სიცოცხლეშივე აღიარებდნენ გენიოსად, მერე და მერე განმტკიცდა ეს აზრი), „დედამიწის თავმჯდომარის“, ველიმირ ხლენიკოვის დასახლება და დამონებმა თუ დამჭირდებოდა.

ბოლო ათეულ წლებში ხლენიკოვის ფიგურა შესამჩნევად გაიზარდა და სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს, მრავლდება მისი თაყვანისმცემლების რიცხვი, მასზე დანერული გამოკვლევები, მონოგრაფიები.

არ იფიქრებ იმასაც, რომ ასეთი გაქანების პიროვნება მძიერ, ჩაუცემელ-დაუხურავ ბოგანოდ აღესრულა. როგორც პოეტს, „უმშვენიერესი და უპატიოსნესი რაინდი“ უნდადეს, მაგრამ პეტერბურგში მხოლოდ ერთმა გახუთებამ გამოაქვეყნა ცნობა მის გარდაცვალებაზე.

პოეტური სახეების სითამამითა და ველური მომხიბლავობით ველიმირ ხლენიკოვის ცოტა ვინმე თუ შეედრება. გავიხსენოთ მისი უაღრესად თავისებური, ნოვატორული პოემის – „სამხეცის“ – თუნდ ერთი შედარება გრძელ მწკრივში, სადაც სხვადასხვა ცხოველ-ფრინველთა დამახასიათებელი გარეგნობა და მოძრაობა ახახული; იმ ერთ აბზაცში ასეთი რამ არის ნათქვამი: „სპილოები ისე დრეკენ სხეულს, როგორც მთები იდრიკებიან მინისძვრის დროს...“ ბევრი აღნიშნავს (ამას დიდი დაკვირვება არც ჭირდება), რომ ხლენიკოვის ლექსებსა და პოემებში საკმაოდ მძლავრია წარმართული მსოფლმეტყველების ნაკადი. ასევე თვალსაჩინოა ალოგიკურობა, ზაუმში, მაგრამ მისი პოეტური ხატები ძირადად ბნელი, აუხსნელი არ არის, ყოველთვის იცავს ზღვარს, ზომიერებას. ისიც აღუნიშნავთ – სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ენასთან, მის პირველყოფილ ნიალთან, სიტყვები ცოცხალ არსებებად ესახებოდა.

ვერავინ გახდის საცილოდ, რომ „ვერცხლის საუკუნის“ დიდი რუსი პოეტების პლედამში (ინოკენტი ანენსკი, ალექსანდრ ბლოკი, ანდრეი ბელი, ბორის პასტერნაკი, ოსიპ მანდელშტამი, ანა ახმატოვა, მარინა ცვეტაევა, ვლადიმირ მაიაკოვსკი, სერგეი ესენინი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი...) ხლენიკოვის ყველაგან გამორჩეული ადგილი უკავია.

ხლენიკოვისგან (ისევე, როგორც ანდრეი ბელისგან) დიდად იყო დავალებული მაიაკოვსკი, მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ მათი პოეტური სამყარო, ტემპერამენტი მკვეთრად განსხვავებულია. ცნობილია – სილატაკში ჩაფარდნილ ხლენიკოვის მაიაკოვსკიმ ზამთრის პალტო აჩუქა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ აღმამფოთებელი გულქვაობა გამოიჩინა, მხარი არ დაუჭირა (ფული ნაშოვნის იყო) ასეთი შემოქმედის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემას. „ქალაქი და პურიც მხოლოდ ცოცხლებს!“ – საკვევნოდ განაცხადა. „შარვლიანი ღრუბლის“ ავტორის ეს საქციელი მომდევნო თაობათა პოეტებს უპატივებლ მკრეხლობად მიაჩნიათ.

ხლენიკოვის ერთ უმთავრეს თავისებურებად იმას თვლიან, რომ ყველაფერი მთლიანობაში ჰქონდა წარმოდგენილი, არ სცნობდა ისტორიის ცალკეულ ეტაპებს და, საერთოდ, სძაგდა ისტორია, აჩემებულ ჰქონდა მთელი მსოფლიოს კულტურათა ერთიანობა, რაც განუხორციელებელი ოცნება, უტოპია იყო.

გამოჩენილ რუს ენათმეცნიერებს, პოეტებსა და ლექსმცოდნეებს – რომან ია-

ემზარ კვიციანი

პოეზია – სულთა ნათესაობა

ლიტერატურული კამეა



ველიმირ ხლენიკოვი

კობსონს, გიორგი ვინოკურს, იური ტინიანოვს, ოსიპ ბრიკს, ნიკოლაი გუმილიოვს, ოსიპ მანდელშტამს, ლიდია გინზბურგს, დავიდ სამოილოვს, ვიარესლავ ივანოვს, მიხეილ გასპაროვს, ეფიმ ეტიკინდს და სხვებს საგულდაგულოდ ჰქონდათ შესწავლილი ხლენიკოვის ფენომენი და თითქმის ყველანი აღიარებდნენ, რომ იგი იყო სრულიად ახალი ხედვის პოეტი.

ველიმირ ხლენიკოვმა ზედმიწევნით კარგად იცოდა თავისი ნიჭის ძალა და ფასი. ამიტომაც დანერა ასე ამაყად, შემართულად: „ჩემი თეორი, ღვთაებრივი ტვინი შენ გიძღვენი, რუსეთო!“

მიუხედავად ამისა, მძაფრად განიცდიდა „საკუთარი დაუნახაობის საშიშროებას“. აღმატებულად ნიჭიერ პიროვნებებს თანამედროვენი რომ ვერ ამჩნევენ და ვერც საკადრისად აფასებენ, ახალი ამბავი როდია. ეს ადამიანთა მოდგმის თანდაყოლილი თვისებაა და არა ერთი ან ორი ეპოქის ნაკლი. ბევრჯერ დანერია, რომ ჩვეულებრივ მოკვდავებს უჭირთ ცოცხალ შემოქმედთა ქმნილებების ჯეროვნად აღქმა.

სწორედ ამ დაუნახაობამ თუ ვერ შემჩნევამ დანერინა ხლენიკოვის თავისი ერთერთი უცნაური ლექსი „მარტოეული თვალითმაქცი“, რომელთანაც ერთგვარი კავშირი აქვს შოთა ჩანტლაძის ადრე განხილულ პროზაულ მინიატურას და მთავარი აქ პოეტური სახის შესაქმნელად თვალების გამოყენება. ხლენიკოვის ეს თავისუფალი ლექსი ასე თავდება:

E ñ òe àñ ì
β ï ï ÿ ÿ, ÷ ò ï é è ð ñ í á à è à è ì,
× ò ï í ò è ï ñ ÿ ð ù ï ÷,
× ò ï ù è à ñ ñ ÿ ð à è ù ï ÷ ð è!

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შექმნილი ამ მისტიური სახის გამო ხლენიკოვის ხშირად უნოდებენ „თვალის მთევრებს“. აქ ალბათ ისიც უნდა ვიგულისხმოთ – ბუნების წესის კვალობაზე, ერთი დათესილი თვლის ადგილას თვალეობი დაზუნძილული ხე აღმოცენდებოდა, რათა პოეტის ღირსებები და დამსახურება შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო.

შეიძლება ეს პარალელი თუ შედარება ვინმეს ნაძალადევი მოეჩვენოს, მაგრამ საამისო საფუძველი მაინც არსებობს. შოთა ჩანტლაძეს სიცოცხლეში, ახლობელთა მცირე წრის გარდა, თითქმის არავინ იცნობდა (ერთი ლექსიც არ გამოუქვეყნებია) და, ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა არ იყო მისგან იოლი მოსათმენი. სულ სხვა გარემოში აღზრდილს, ცხადია, ვერ ექნებოდა ხლენიკოვისნაირი კოლოსალური განათლება (ეს მთლად მისი ბრალიც არ იყო, არ ჰქონდა არავითარი ხელშეწყობა, ცხოვრების პირობები), სამაგიეროდ, არ აკლდა ინტუიცია, გუმანი, სიახლეთა მიგნებისა და შეგრძნების მძაფრი უნარი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა, თავისი შესაძლებლობანი თუნდაც სანახევროდ გამოეკვლინა.

ხლენიკოვის შემოქმედებაში ხშირად იხსენიება თვლის და მზერასთან დაკავშირებული მომენტები; თვალის უმთავრესი ორგანო, იარაღია, რისი მშვეობითაც იგი სამყაროს მთელ მრავალფეროვნებას იწოვს, უმცირეს წვრილმანებად აღიცავს. აქ უნდა მოვიხილო მისი პროზის შედევრი – „ესირი“ (არაზუსტად ყმას, მონას ნიშნავს), რომელსაც, ერთდროულად, ვაჟა-ფშავე-

ლას მოთხრობების გამჭირვალეობა, სისადავე და რედიარდ კიპლინგის „ჯუფტლებ“-ის წიგნის“ ექსპრესია, ეგზოტიკურობა დაჰყვება.

მოქმედება იწყება ვოლგისპირეთში, ასტრახანის მიდამოებში. ხლენიკოვს სიუჟეტად გამოუყენებია ა.ნ. შტილიკოს წიგნაკი „ასტრახანის ვაჭრობის ისტორიიდან“ (1884). მინიშნებულია დრო – მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი, როცა დონელ კახაკთა ატამანმა სტეფანე რაზინმა გლეხთა დიდი აჯანყება მოაწყო. მოთხრობაში გრიალებს სტეფანე რაზინი, რაც მომზობს – ამბოხების მეთაური ჯერ კიდევ არ არის შეპყრობილი, მოსკოვში ჩაყვანილი და თავმოკვეთილი. ქვეყანაში ქაოსია, მილეის ხალხი ირევა. გზადაგზა ჩანან ხანთართით მოვაჭრე მეთევზეები, ხან – მეჯოგები, მწყემსები. ბევრი რამ მოთხრობის მთავარი გმირის ისტომას თვალთ არის დანახული. დიდი ნავით მიცურავენ და შედიან თეთრ ქალაქში, რომელიც რაზინის ხელშია. ისტომა ერთი მოხუცი ინდუსის მონაყოლ საკვირველ ამბებს ისმენს. ჩათვლემილს ესიზმრება ორმოში ჩაგდებული ტყვე, რომელსაც სახეზე გომბემო დანაცოცავს, ამას ენაცვლებიან ჯალათი მმართველები, რომლებთანაც დათხრილი თვალეობით სავსე კალაპოები მიაქვთ...

ჯერ კიდევ „ჩრდილოეთის პატარძლის“ – ვოლგის ნაპირებს მიუყვებიან. ბოლო არ უჩანს უკიდევანო სტეპებს. ვის აღარ გადაეყრებიან გზაზე. ვილაც ყირგიზს ტყვე მოჰყავს, მოედანზე შესარკინებლად გამოსული მოჭდავები სელაპის ქონით იპოხავენ ტანს... გრიგალივით მიექანებიან ფეხმარდი ველური ცხენები. მიმავლები „ოქროს ურდოს“ სამფლობელოს უახლოვდებიან. ერთგან მათ თავს ესხმიან ყაჩაღები, ისტომას გათოკავენ, ატყვევებენ. გზადაგზა ჩანს მინასთან გასწორებული, დაღუნული აულები, დახოცილთა ძვლებითაა იქაურება გადაათეირებული.

გამოჩნდება ტყვეთა დიდი, ახალი ქარავანი, მრავალეოვანი. აქ არიან „ქართველები, შვედები, თათრები, რუსები, ერთიც ინგლისელი“. საკვირველი შემადგენლობაა. ვისაც სად ნაასწრებენ, იქ იჭერენ ყაჩაღები, რათა დატყვევებულნი მონათა ბაზრებზე გაყიდონ.

ირგვლივ შემოხარული შამბნარი იმსიმალეა, აქლემებს ფარავს. აქლემთა დარწმუნული კუხები ხილით დაფარულ გორაკებთანაა შედარებული. ასეთი მეტყველი სახეები თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება. აბეზარ მწერებს, ავად მორიალად კრახანებს გარიდებული კამეჩები ტბაში ჩაყრილან, „მხოლოდ ნესტოები და თვალეობი უჩანთ.“

ხლენიკოვი ჩინური და ინდური ფილოსოფიის, მითოლოგიის, საერთოდ, აზიის ქვეყნების წეს-ჩვეულებათა, რიტუალების უძირო ცოდნას ამჟღავნებს. მის გმირს, ვინც ინდოეთში ხუთი წელი გაატარა, ყველაფერი ილუზიად – „მაიად“ ეჩვენება.

მოულოდნელი არაა, ასეთ მოთხრობას ფინალიც პოეტური ჰქონდეს. ისტომა იხსენებს, მწვანეში ჩაფლული ტაძრის სვეტზე როგორ დაჯდება ფარშეკანგი. მანამდე ამ ზღაპრული შესახებაობის ფრინველის ფრთების მხუილი შემოესმება და ეს ფრთები შეეფეთება, როგორც „პატარა და დიდი თვალეობის ნაკადი.“

თვალზე როცა მიდგება საქმე, ყოველთვის მახსენდება ჩემი უსაყვარლესი რეჟისორის, გენიალური ფედერიო ფელინის რამდენადმე სკანდალური ფილმი „კახანოვა“, რომელიც დიდი ხნის წინ ვნახე, მაგრამ შთაბეჭდილებები დღემდე არ გამნელეობია.


ფელინის ფილმმა მრავალთა უკმაყოფილება გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა, კახანოვას პიროვნების გაშარყების, მისდამი ზედმეტად სარკასტული მიდგომის გამო. მართლაც, დანტესა და არიოსტოს თავგადაკლულ მკითხველს, ვისაც „რენესანსის ადამიანად“ მოიხსენიებენ და ვისი „მემუარებშიც“ ამ უნარის შედეგად არის აღიარებული, შეუძლებელია ისეთი გამოთავყვანული გამომეტყველება და სასაცილო გარეგნობა ჰქონოდა (ცნობილ ინგლისელ მსახიობს თმა შუამდე აქვს გადაპარსული, რაც კომიზმს აძლიერებს), მაღლა აძგიბულ-აქაჩულ ნარბები გიგანტურ კალიას ამსგავსებს.

ხშირად მახსენდება ის ეპიზოდები, მარია მაგალინიელად ცნობილ, ავზორცობით განთქმულ მონაზონ ქალთან (მისი ვინაობა „მემუარებში“ დამიფრულია) კახანოვას ურთიერთობას რომ ასახავს.

პარიზის, დრეზდენისა და ვენის მონახულების შემდეგ კახანოვა მომლოდუნო ვენეციაში ბრუნდება. 1754 წლის თებერვალია. ირგვლივ კარნავალური განწყობილება სუფევს. მოჩანს გაჩაჩახახებული რიალტოს ხიდი და იქვე ხომალდი, რომლის ფერდზეც ურჩხულის ლურჯი თვალია მიხატული. ადამიანთა უმრავლესობას ნიღბები უკეთიათ, მხოლოდ თვალეობი უჩანთ. ერთერთი შავნილიანი არსება კახანოვას ბარათს აწვდის, პაემანს უნიშნავს. ფუტქდება ნაირფერი შუშუნები, ტორტმანობს ფოიერვერკების ზღვა. ვისმის აფეთქების ხმა და ვგონებ ის ხომალდი არხის ფსკერზე იძირება. სიღრმიდან ანათებს თევზის მავარი ურჩხულის ვეება, ლურჯი თვალი, რომელიც ნელ-ნელა ჩაიბუჟდება. ეს დეტალი შემთხვევითი არაა.

მაღე კახანოვა იმ ქალის კერძო ბინაში მიდის, მისივე მონასტრის მახლობლად რომ მდებარეობს კუნძულ მურანოზე. მარია-ელეონორა მიშიელს (ასეა დადგენილი მისი ვინაობა) ათასგვარ ფუფუნების საგნებთან ერთად, უმდიდრესი ეროტიკული ბიბლიოთეკა აქვს. ნიგნებიდან, როგორც „მემუარები“ გვატყობინებს, ბუღდარში ნებიერად მოკალათებული კახანოვა პიეტრო არეტინოს „ავზორცულ სონეტებს“ გამოარჩევს.

ფელინიმ მეტისმეტად გაამარტივა ეს ეპიზოდები, ვინაიდან ყველაფერი რომ აესახა, ამას ცალკე ფილმი დაჭირდებოდა. სამაგიეროდ გახდომ, თეთრქუდიან მონაზონთან გახურებული ორიგინი დიდოსტატურად არის ნაჩვენები. ცნობილია, რომ ის ქალი ამავე დროს იყო საფრანგეთის ელჩის (შემდგომში იგი კარდინალი გახდა) დე ბერნის საყვარელი. როცა კახანოვა და აღვირახსნილი მონაზონი ყირაზე გადადიოდნენ, ეს ფრანგი გვერდითი ოთახის საიდუმლო ჭურჭრუტანიდან ყველაფერს აკვირდებოდა და ენით აუნერულ ნეტარებას განიცდიდა. ფილმში კედელზე ჩანს თევზის მოზრდილი მონაზონი და ნიღბად გამოყენებულ იმ თევზის თვალიდან უმზერს დე ბერნი მოუქნაცავ კახანოვას (მაღე ისინი დამეგობრდებიან და ერთად ვახშობენ, საყვარლებსაც ცვლიან).



ფედერიო ფელინი

რეჟისორმა ამ ეპიზოდებში ველარ გამოიყვანა თხუთმეტი წლის საყვარელი კახანოვასი კატერინა კამპანა, ვინც ჯაკომო კახანოვას დანიშნული ჰყავდა და ცოლადაც უნდა შეერთო, მაგრამ გოგოს მამა შეენიხააღმდეგა ამ არასახარბილო ქორწინებას, ქალიშვილი მონასტერში მიაბარა. რა იცოდა საცოდავმა, რომ იქაური მონასტერი მისი ოჯახის ღირსებას ვერ დაიცავდა. კატერინა სენაკში მასზე შვიდი წლით უფროს მარია მიშიელთან მოხვდა, მის გველენაში მოექცა და გარყვნილების მორევეში გადაეგვა. ისინი საათობით ეძლეოდნენ ლესბოსურ სიყვარულს, რაც „მემუარებში“ დაწვრილებითაა აღწერილი. კახანოვა ხშირად აკითხავდა მონასტერში კატარინას და ამ დროს იგი უგონოდ შეუყვარდა მარია მიშიელს. მათ დაახლოებას ყოველნაირად უწყობდა ხელს თავად პატარა კატარინა. ორივეს თავდავიწყებამდე უყვარდა კახანოვა და სამეული ხშირად აწყობდა ერთობლივ სექსს. დე ბერნი მოხიბულ კატარინას სილამაზემ და ისიც საყვარლად გაიხიდა. ოთხივენი უსახლგროდ კმაყოფილებით იყვნენ, ოდნავადაც არ ეჭვიანობდნენ ერთმანეთზე. ხელისუფლებას რომ გაეგო – მარია მიშიელი უცხოელი დიპლომატის საყვარელი იყო, სიკვდილით დასჯა განაღდებული ჰქონდა, მაგრამ

დასასრული მე-15 გვერდზე

ფორს-მაჟორი

გამოაცხადეს მოსალოდნელი წყალდიდობების და უეცარი წყალმოვარდნების შესახებ. მივედი მდინარესთან და დავინწყე ლოდინი. ჩამოიარეს ფესვდაკარგულმა ხეებმა, მომეცით ჩემი ფესვები-მეთქი, ვთხოვე, ზედაც არ შემომხედეს — თავის ფესვებს მისდევდენ. ჩამოიარეს გზებდაკარგულმა ხიდებმა, მომეცით ჩემი გზები-მეთქი, ვთხოვე, ზედაც არ შემომხედეს — თავის გზებს მისდევდენ. ჩამოიარეს სახლდაკარგულმა კედლებმა, მომეცით ჩემი სახლი-მეთქი, ვთხოვე, ზედაც არ შემომხედეს — თავის სახლებს მისდევდენ. ჩამოიარეს მკვდრებდაკარგულმა საფლავებმა, მომეცით ჩემი მკვდრები-მეთქი, ვთხოვე, ზედაც არ შემომხედეს — თავის მკვდრებს მისდევდენ. ჩამოიარეს ხავსდაკარგულმა ლოდებმა, მომეცით ჩემი ხავსი-მეთქი, ვთხოვე, ზედაც არ შემომხედეს — თავის ხავსს მისდევდენ. ...ყველაფერი წაიღო წყალმა, დამტოვა წყალდიდობაჩაველილი, ქვიშასავით გაცრილი... როგორც ასახდენი სიზმარი.

*** ისეთი სუფთა სიყვარულია, როცა მოდიხარ, დგება სახლში თოვლში გამშრალი, გახამებული თეთრეულის კამკამა სუნი. ისეთი თბილი სიყვარულია, როცა მოდიხარ, მე — თეთრეულზე ბამბის ძაფით ამოქარგული, გაყინული, თეთრი ყვავილი ვდნები, ვიშლები. სხვა არაფერი შემიძლია, ვიშლები-მეთქი, ნელ-ნელა ვქრები. ისეთი დიდი სიყვარულია.

სამშობლო

— რა არის სამშობლო? — ვიკითხე ერთხელ, გაცხარებული კამათის დროს. — სამშობლო აკვიატებული მელიდიაა, დილიდან აგყვება და რომც გინდოდეს, ველარ იშორებ, — თქვა ჩემმა მეგობარმა მუსიკოსმა. — სამშობლო გზაჯვარედინია, წინ სამი გზაა და სამივე გზა მის მთებში მიდის, — თქვა ჩემმა მთამსვლელმა მეგობარმა. — სამშობლო ის ანდაზაა, თუ გული გულობსო... ქადასავით, ორივე ხელით შემოგვეჭამა, — თქვა ჩემმა ფოლკლორისტმა მეგობარმა. — სამშობლო ჩემი ეზოს ალუჩაა, კბილს მჭრის და მაინც ვერ ვეშვები. — თქვა ჩემმა უპროფესიო მეგობარმა. — დე-და, — თქვა ამ დროს პირველი სიტყვა ჩემმა შვილმა.

მე არაფერი მითქვამს — ჩემმა შვილმა დედა დამიძახა.

სინათლე ორისთვის

აი, ის დროა — ღამის პირი, როცა ბავშვთან ერთად ვბრუნდები სახლში. ბავშვს ნოტების ჩანთა უჭირავს — მინის ქილასავით გამჭვივრავლე. ნოტები მწერებს ჰგვანან: ზოგს ფრთები აქვს, ზოგი უფრთოა. დაცოცავენ მინის ქილაზე, ფუსფუსებენ, როგორც მინიატურული ორკესტრის წევრები კონცერტის წინ, აწყობენ უხილავ საკრავებს: ტრომბონებს, არფებს, ვიოლინოებს, ჰობოებს, ფლეიტებს... და მაშინ, როცა ჩვენი მზერა თითისწვერებზე აინევა და მეექვსე სართულს შესწვდება, იწყებენ დაკვრას. შენ ამ დროს ყოველთვის სახლში ხარ, ენევი, ხატავ, გესმის ხმა — მინდვრის სიმფონია. ეს ხმა გახსენებს იმ დღეებს, როცა მინდორში გავდიოდით. მე და ბავშვი პეპლების საჭერი ბადით დავსდევდით მწერებს, მინის ქილაში ვაგროვებდით და მერე, ერთად ვუშვებდით, სამნი.

ლელა ცუცქირიძე

ერთხელ ბავშვმა გკითხა: — რატომ ვიჭერთ მწერებს, თუ ისევე უნდა გავუშვათ? — იმიტომ, რომ მათ უფრო მეტად ეყვარებათ სიცოცხლე, — უთხარი ღიმილით. ეს დღეები გახსენდება ორკესტრის ხმაზე და ბოლო, ყვითელ ფერს ადებ ნახატს, რომელზეც (ბევრი არაფერი) ხატია ფანჯარა მეექვსე სართულზე და ჰქვია (ბევრი არაფერი) — “სინათლე ორისთვის”. ეს ხდება კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს, შაბათს, ღამის პირზე, როცა მე და ბავშვი შენზე გვიან ვბრუნდებით სახლში, მე — ბავშვით, ბავშვი — ნოტების ჩანთით.

აი, ის დროა, ღამის პირი, ჩვენ ყოველდღე შენზე ადრე ვბრუნდებით სახლში, მე — ბავშვით, ბავშვი — ჩანთით, ვუყურებთ ფანჯარას მეექვსე სართულზე, რომელსაც ბოლო ფერი აკლია — ყვითელი. ხშირად ვფიქრობ: — რატომ ვუშვებთ ჩვენგან ადამიანებს... იქნებ იმიტომ, რომ უფრო მეტად გვიყვარდეს... უფრო მეტად, ვიდრე გვიყვარდა...

დაცლა

დაცალეთ ეს ტყე ავეჯისგან! გამოიტანეთ იქიდან კომოდები, სკამები, მაგიდები... სანოლებიც გამოიტანეთ — ჭრელი ბუმბულის ბალიშებით. ბალიშებს სიზმრის ნარჩენები მოაყოლეთ — ჭორფლიანი კვერცხებით და ფრთებს შერჩენილი ცის ნაგლეჯებით.

დაცალეთ ეს ტყე! დაასწარით, სანამ ხსენებით, ფისი გაუშრება, სანამ დაჩეხილ შვილებს გამოიგლოვებს და მათ გვამებს მდინარეებზე დააცურებს ელდანაცემი ფრინველების ნატირალით.

დაცალეთ ეს ტყე! ნაართვით ხავსში გამოხვეული, უკვე უძლური სულიც და ჯადოსავით დანვით ბუხარში, რომ საბოლოოდ, კვამლად და ფერფლად ამოუვიდეს!

დაასწარით!

... თქვენ არ იცით, რა შურისძიება იციან ხეებმოკლულმა ტყეებმა:

მოვლენ ზურგიდან, მოვლენ ჩუმად, მოვლენ უხმოდ და თქვენს სოფლებზე, თქვენს ქალაქებზე, თქვენს ეზოებზე, თქვენს სახლებზე თქვენს მაგივრად, სამუდამოდ დასახლდებიან...

თიხის ჩიტი

ვდგავარ უთავბოლო მდინარის პირას. უთავბოლო მდინარის პირას ჩავიკეცე ხელები. მდინარის წყალს ვსვამ და თავს მალა ვწვე, რომ მზე და ცა ჩამივარდეს ბავშვის პერანგზე მიკერებულ ღილისხელა თვალეში, მერე ისევე მინას დავხედო — უთავბოლო მდინარის ნაპირს და ენასავით დაშაშრულ ღამზე, ჩიჩახვში ჯერ კიდევ როდის ჩარჩენილი, ცერცვის მარცვალი გადმომივარდეს, დავანვეთო უთავბოლო მდინარის წყალი. ღილისხელა თვალეში ვუყურო, ღილივით მიკერებული გულით ვიგრძნო, როგორ გაჯირჯვდება, მინიდან შვებით ამოისუნთქავს და სხეულიდან ჩემს ქრონიკულ ავადმყოფობას — თონესავით გავარვარებულ მეტაფორებს ამოიყოლებს.

გამოისხამს გადახლეჩილ ბრონეულებს: წვენი მისი — მენამული შარბათი და კანი მისი — ახლად მოხარშული, მენამული რაჰათლუკუმი... გრილსურნელოვან ფოთლებსაც გამოისხამს, ყინულის კუბებში გახარებულს — პიტნისას და როზმარინისას, ტოტები დრაკონის ცეცხლოვან ენებად გაეშლება, მერქანზე ბრინჯის მარცვლისხელა სიბრძნე დააყრის...

.. მაგრამ ჩემს ხორხზე, როგორც სამაროვანში გარინდებულ უენო სალამურზე, რჩებიან გენეტიკური მეტაფორები — უფრო მეტად ვარვარა და ცხელი ბგერები, ხორხის ხაოზე ჩანასახად მიწებებულნი. მათი ჩქამით ვიკვებები ძარღვდაბზარული თიხის ჩიტი.

ვდგავარ უთავბოლო მდინარის პირას. უთავბოლო მდინარის პირას ჩავიკეცე ხელები. სვატით დამსკდარ ზურგზე კოტოშებად მიკიდი ქვამარილივით გალეული საფლავის ქვები, ნანგრევები, ნასახლარები... მდინარის წყალს ვსვამ, რომ ყელზე დამდგარი მინის ლუკმა ჩაიტანოს და დახრჩობას გადამარჩინოს მე — თავად ეს მინა, თიხის ჩიტი.

საშველს ვეძებ, ჩემი საშველი ვიცი.



აქტი

ცირა ბარბაქაძე

ცირა ბარბაქაძე წლების წინათ გავიცანი, როგორც პოეტი და ფოტოხელოვანი. რამდენიმე ფოტო-პეიზაჟი და პოეტური კრებული „დუმბილის ა(მ)ბები“ მისახსოვრა. პოეტის ლირიკული ლექსები და ფოტო-ეტიუდები ბუნებრივად ესადაგება ერთმანეთს. ზოგიერთი ფოტო მისი პოეტიკიდანაა ამოზრდილი, თითქოს საერთო რაკურსი აკავშირებს და ეს სრულიად ბუნებრივია. ახლა იგი ოთხი პოეტური წიგნის ავტორია: „ლექსები“, „გამოაღეთ სარკმელი“, „დუმბილის ა(მ)ბები“ და „უცხოქალაქი“. ცირა ბარბაქაძის ფოტოგალერეას კი ბევრი საინტერესო ნამუშევარი შეემატა: „უცხო ქალაქი“, „ბედურები“, „თოვლი თბილისში“. თავად მიაჩნია, რომ ფოტოხელოვნება მხოლოდ გატაცებაა, მაგრამ დიდი სიყვარულითა და ხალისით აგრძელებს ამ საქმეს. მრავალი წელი სემიოტიკის შესწავლას მიუძღვნა, მეცნიერებას ნიშნებზე და ნიშანთა სისტემაზე. 2006 წლიდან უფრო „სემიოტიკას“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელია. მისი ინიციატივით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა პოეზიის კლუბი სახელწოდებით „ანყვეტილი ღილები“, სადაც ხშირად იმართება შეხვედრები თანამედროვე ავტორებთან. ცირა ბარბაქაძის აზრით მეცნიერება, პოეზია თუ ფოტოხელოვნება გზები შექმენებისთვის, ერთ მთლიან, განუყოფელ, მრავალფეროვან სამყაროს რომ ქმნის და ყოველ ჯერზე ახლებურად აღიქმება.

— ოთხი პოეტური კრებულის ავტორი ხარ, „ლექსები“, „გამოაღეთ სარკმელი“, „დუმბილის ა(მ)ბები“ და „უცხოქალაქი“, სადაც ბოლოდროინდელი ლექსებია შესული. შენი პოეზია სისადავით, გულწრფელობით, ბუნებრივობით და ლირიზმით გამოირჩევა. მკაფიოდ ჩანს მაძიებელი სულის ლირიკული გმირი, მკითხველთან რომ მართავს უშუალო და პოეტურ დიალოგს, მრავალ ეგზისტენციურ საკითხსა თუ ნიუანსზე.

— ძალიან კარგი, თუ ასეა... საერთოდ, „მკითხველი“ ძალიან აბსტრაქტული ცნებაა ჩემთვის. მე ვწერ ადრესატისთვის და ამ დიალოგში ვეძებ საკუთარ თავს. თუ მკითხველი ამ დიალოგში პოულობს საკუთარ სათქმელს, ძალიან კარგია. ეს ის მდგომარეობაა, როცა ტექსტი გადის ავტორის საკუთრების საზღვრებიდან. ვფიქრობ, რომ გულწრფელობა ერთ-ერთი და არა ერთადერთი ნიშანია იმისათვის, რომ შედგეს დიალოგი ადრესატთან (როგორც საკუთარ თავთან) და მკითხველთან.

— დიალოგიც მრავალგვარია. ლირიკაში ავტორის ან ლირიკული გმირის „შინაგანი“ დიალოგი ზოგჯერ „გარეთ“ გრძელდება. ცხოვრებაში და პოეზიაშიც მზა პასუხები არ არსებობს, ამიტომ ის სტრიქონებია საინტერესო, რომელიც საფიქრალს აღძრავს, ყოველდღიურობიდან ამოგვადებს, დეტალებზე გადაიტანს ჩვენს ყურადღებას, ან სულაც: კონფლიქტში ჩაგვადგებს. მთავარია, რომ ლექსში „რადაცას წამოვედოთ“, ამისთვის კი განსაკუთრებულად გამოთქმაა საჭირო. განსაკუთრებულობას ემოციათა სიღრმე სჭირდება. ასეთი ამოუწურავი ემოცია, განცდა და აზრი ჩემთვის სიყვარულია. როცა გიყვარს ბუნება, ადამიანი... ყველაფერი იცვლება და როგორც გიყვარს, იმის მიხედვით იცვლება. ყველაზე მრავალფეროვანი და ამბივალენტური გამოხატვის თვალსაზრისით ხომ ისევე სიყვარულია. ჩვენ არ ვიცით, როგორია ის, რადგან არა აქვს მკვეთრი კონტურები, რადგან შეუძლებელია დახასიათდეს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ნაწილობრივ გამოვთქვათ ემოცია და მაშინვე ვხვდებით, რომ გამოთქმული გამოსათქმელს ოდნავდაც არ შეესაბამება. სიზიფეს შრომას ჰგავს, მაგრამ ამ სამყაროში იმისათვის, რომ გააცნობიერო, აუცილებელია გამოთქვა.

— მოდი, „უცხოქალაქზე“ ვისაუბროთ, რომელშიც ვცხოვრობთ და „მისი საზღვრები კილომეტრებით არ იზომება...“

— „უცხო ქალაქი, რომელშიც დაგეძებ როგორც დაეძებენ ქარები ფოთლებს... უცხოა ქალაქი, რომელშიც ვცხოვრობთ, მისი საზღვრები კილომეტრებით არ იზომება.“



— ძნელია, მეტაფორებზე საუბარი. „უცხოქალაქი“ მეტაფორაა, რომელიც ჩემთვის შეექმენი და გამოვიგონე. მხოლოდ პოეტებს არა, ნებისმიერ ადამიანს აქვს თავისი „ქალაქი ქალაქში“, — რაც ნიშნავს, რომ ჩვენ, ადამიანები, ერთმანეთისაგან განვსხვავდებით ალქმით, ემოციით, გრძნობებით, განცდებით, აზროვნების სტილით... ამიტომ ერთსა და იმავე საგანს, მოვლენას და ქალაქსაც განსხვავებულად აღვიქვამთ. პრინციპში, ყველაფერი ჩვენი წარმოსახვაა... იმის ჩათვლით, შენ როგორს აღმიქვამ მე (ან პირიქით) და აქვს თუ არა კავშირი შენს წარმოსახვას ჩემს რეალობასთან? ასეთ შემთხვევაში რეალობის საკითხის განსაზღვრაც ჭირს.

— „უცხოქალაქი“ საზღვრებდაკარგულია, როგორც წარმოსახვა, ამიტომ ადვილია მისი შეცვლა, გადაწყობა, ფორმების ცვლილება. შესაბამისად „ლია“ ყველათვის, ვინც ხედავს, რომ ეს ქალაქი არსებობს. „და ვინ თქვა, რომ ის უფრო რეალური არ არის, ვიდრე ათასი მტვრით ნაგები ქალაქი, საზღვარშემოვლებული...“

ლი...?“
— „ქალაქში ქალაქი შენი და ჩემია და ისევე გიმღერებ, დღეს თუკი გადავრჩი, შენ, ჩემო, ქალაქში დაკარგვა გჩვევია... მე კი ვიკარგები შენში, ვით ქალაქში.“

— როგორც ვიცი, „უცხოქალაქის“ ელექტრონული ვერსია lib. ge-ს საიტზე განთავსდა.

— დიახ, ასე იყო... „24 საათში“ ამის შესახებ დანერა ჟურნალისტმა ბელა ჩეკურიშვილმა: „ცირა ბარბაქაძის „უცხოქალაქი“ ვირტუალურ სივრცეს ირჩევს“, — ეს ტექსტი მოჰყვა იმას, რომ არ მიყვარს ჩემი წიგნის პრეზენტაციები, პოეზიის საღამოები და შეხვედრები. ამიტომ თითქმის ყოველთვის უარს ვამბობ. ჩემთვის ჩემი პოეზიის წაკითხვა-შეფასების ყველაზე საუკეთესო გზა არის ელექტრონული სივრცე, სადაც ვისაც უნდა, წაკითხავს შენს ლექსებს და არ იქნება ვალდებული, „სადაღერძელო“ თქვას, ან — პანეგირიკები მოგიძღვნას. თუმცა გულწრფელი კომენტარები ყოველთვის სასიამოვნოა.

ელექტრონულ სივრცეს ბევრი უპირატესობა აქვს: სწრაფად მიდის მკითხველამდე, „უცხოქალაქივითაა“ და მისი

„ მთავარი მკითხველთან დიალოგია “

საზღვრებიც არ იზომება, ანუ გაუქმებულა გეოგრაფია. ავტორისთვის ყველაზე მოსახერხებელია ასეთი ურთიერთობა. შეგიძლია, წიგნის გამოცემამდე გაავრცელო შენი შემოქმედება, თან ისე, რომ ამაში თანხა არ დახარჯო. სულაც წიგნის გამოცემა შეგიძლია ელექტრონულ ფორმატში საგამომცემლო საქმიანობის გვერდის ავლით, ან შეგიძლია, მცირე ტირაჟით დაბეჭდო, მით უფრო, რომ პოეზია მინცდამაიცი არ იყიდება დღეს.

— პოეტი, ლინგვისტი, ფოტოხელოვანი, ასე იწყება შენი ბიოგრაფია. მაინც რომელი პროფესიაა შენთვის ყველაზე ახლობელი? თუ სამივე დარგი ქმნის ერთ მთლიან მეს?

— ეს ის სფეროებია, რომელშიც ჩემს აზრებს ფორმებს ვაძლევ. ეს ფორმები განსხვავებულია, მაგრამ სამივე აზრის გამოხატვას ემსახურება. ერთ შემთხვევაში, ლირიკა, მეორე შემთხვევაში, ანალიტიკა და სხვა შემთხვევაში — ვიზუალური გამოხატვა.

როგორც ვითხარით, ის, რაც სამივეს აერთიანებს, არის აზრი... ფორმა განსხვავებული და ის ალბათ უფრო მეტია, ვიდრე სამი... სხვებიც შეიძლება არსებობდეს. ვფიქრობ, რომ განსხვავებული ხედვები შემოქმედს უფრო მრავალფეროვანს ხდის. თუმცა ასეთი დამოკიდებულება არის: მეცნიერებისთვის ვარ პოეტი და ფოტოხელოვანი, პოეტებისთვის — მეცნიერი და ფოტოხელოვანი და ფოტოხელოვნებისთვის: პოეტი და მეცნიერი. ამ დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს, რომ მე სამივე ვარ და, ამავე დროს, არცერთი არა ვარ...

— ამბობ, რომ ფოტოს გადაღება მხოლოდ ჰობია და სხვა არაფერი. არადა ამ სფეროში შენი ხანგრძლივი გამოცდილება საპირისპიროს მეტყველებს. ულამაზესი პეიზაჟები ფოტო ალბომიდან: „უცხო ქალაქი“, „ბედურები“, „თოვლი თბილისში“, და კიდევ წლებისწინანდელი ფოტოების ციკლი, პროფესიონალის თვალთ დანახული და აღქმული სამყაროა.

— ჰობი არ აკნინებს იმ შედეგს, რაც გამოიმდის. უბრალოდ, ფოტოგრაფია არ არის ჩემთვის პროფესია, მხოლოდ ამას

ვგულისხმობ. თანაც ის, რაც ჰობია, მეტი სიყვარულით და სიხალისით სრულდება. საყოველთაო კლიშეს მიხედვით: სავალდებულოს მოსაწყენად ქმნიან ადამიანები. ის, რისი გაკეთებაც სავალდებულოა და ის, რასაც სიამოვნებით აკეთებ, სხვადასხვაა. თუმცა მე გამონაკლისი ვარ და რაც სავალდებულოა, იმასაც სიყვარულით ვაკეთებ (მაგალითად, ლექციები).

— მრავალი წელი მიუძღვნე სემიოტიკის შესწავლას, ნიშნის ბუნების შეცნობას, მეცნიერებას ნიშნებზე და ნიშანთა სისტემაზე. ალბათ, ამ სფეროში მუშაობა მომბაძევადა და საინტერესოა. ნიშანთა კვლევა ხომ დაუსრულებელი, ამოუწურავი პროცესია და ყოველ ჯერზე ახლებურად გააზრებას და შეცნობას გულისხმობს.

— „სემიოტიკა“ — ეს ის დარგია, რომელსაც კიდევ ძალიან ბევრ წელს მიუძღვნე, რომ შევისწავლო. ჩემთვის მეცნიერება, პოეზია თუ ფოტოხელოვნება გზები შექმენებისთვის. მონაცვლეობა და გადართვა-გადმართვა მეხმარება, რომ არასდროს დავიღლო და არ დავიშვამპო ერთი რომელიმე მიმართულებით. ერთი დარგი უკეთ მანახვებს სხვა დარგის პრობლემებს. სემიოტიკაც ამას გულისხმობს, ნიშნები, რომლებსაც აქვთ უსუსური განმარტებები, სინამდვილეში, ამოუწურავები არიან მნიშვნელობების წარმოებაში. რომ არა სემიოზისის უნვეტი პროცესი, გამოხატვის მრავალფეროვნება არ იარსებებდა.



— ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობ, შენი ინიციატივით დაარსდა პოეზიის კლუბი სახელწოდებით „ანყვეტილი ღილები“. საგულისხმოა, რომ ამ კლუბში ხშირად ეწყობა შეხვედრები მწერლებთან. როგორც ვიცი, სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე შემოქმედებთან შეხვედრაა, ისინი წინასწარ ეცნობიან მათ წიგნებს და კითხვებს სვამენ საინტერესო თემებზე...

— ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიბერალური განათლების პრინციპები საშუალებას მაძლევს, სტუდენტებს შევთავაზო არჩევითი კურსები და აგრეთვე თავად განვსაზღვრო ლექცია-სემინარების ფორმატი. ასე შეიქმნა საბაკალავრო კურსი „რა არის პოეზია?“ ჩემთვის მოულოდნელად კურსმა ბევრი მსმენელი მოიზიდა. „არგუსის“ გახსნისთანავე 100 კაციანი ჯგუფი იხურება. კურსის ასეთი პოპულარობა განაპირობა ფორმატმაც. პირველი ლექციის შემდეგ სტუდენტები ინაცვლებენ „ლიგამუსში“ შეხვედრებზე, სადაც საშუალება აქვთ, პირადად შეხვედნენ და გაეცნონ თანამედროვე ავტორებს, დაუსვან კითხვები და მიიღონ პასუხები. ეს შეხვედრები საინტერესოა როგორც ავტორებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, თანაც პოეზიის აქციებმა პერფორმანსის სახეც მიიღო. ეს გზა ცოდნის მიღების საუკეთესო გზაა.

— ხარ უფრო „სემიოტიკის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი. თუ არ ვცდები ეს უფრო წელი გავიდა, რა შეიცვალა ამ უფროსში დაარსებიდან დღემდე?

— საერთოდ, მეცნიერების განვითარებისთვის სტაბილურობა და სისტემურობა აუცილებელი პირობაა. ცვლილებები კარგია, როცა ხდება განვითარება და წინსვლა. 2006 წელს დაარსდა უფროსი, ანუ მაშინ, როცა შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღემდე გამოცემულია 10 ნომერი და გამოსაცემად მზადდება შემდეგი. ვამზადებთ სემიოტიკის მე-3 საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ეძღვნება გზების სემიოტიკას ენასა და კულტურებში. სემიოტიკის კონფერენციები ერთგვარი „მოხეტიალე კონფერენციებია“, პირველი კონფერენცია ჩატარდა ბათუმში, მე-2 — ქუთაისში, მე-3 კონფერენცია გაიხსნება ილიაუნში (ოქტომბერში) და გაგრძელდება თელავში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა აგრეთვე სემიოტიკის კვლევითი ცენტრი, რომლის მუშაობაში აქტიურად არიან ჩაბმული დოქტორანტიები და სტუდენტები. ითარგმნება და გამოიცემა სემიოტიკური ნაშრომები, რამდენიმე საინტერესო ვიდეო-პროექტი ხორციელდება,



აომატი

სალომე ბენიძე

როგორც თავად ამბობს, ერთი ჩვეულებრივი გოგონაა. ძალიან უყვარს მოგზაურობა და ამას მისი ლექსებიდანაც მიხვდებით. უამრავ ქვეყანაშია ნამყოფი, როსტისაც ცხოვრების მადლობელია. დაიბადა ქუთაისში. იქვე დაამთავრა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი, ქუთაისის მესამე სკოლა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აირჩია, მოგვიანებით კი მაგისტრატურა საბერძნეთში გაიარა. საზღვარგარეთ რამდენიმე წელი სწავლობდა. ეს წლები ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თუნდაც იმიტომ, რომ მოგვიანებით მისი შემოქმედების საფუძვლად იქცა. ლექსების წერა, უფრო სწორად, ლექსების დაპარაკი ძალიან პატივად, ვ წლის ასაკში დაიწყო. დედა მიხვდა, რომ ეს ის არ იყო, რაც შეიძლება სადმე ესწავლა და ამ ყველაფრის ჩანერგა დაიწყო. პირველი, რაც გარკვევით ახსოვს, ქარზე შთახული ლექსია, თუმცა მერე ხანგრძლივი დუმილის პერიოდი დადგა. დროდადრო რითმებს ეთამაშებოდა, მაგრამ ამისთვის სერიოზული სახე არ მიუცია. ნამდვილი პოეზია მის ცხოვრებაში ტკივილით შემოვიდა — აგვისტოს ომის შემდეგ. „ბალადა ომზე ანუ ჩემი ჯარისკაცი ქმარი“ მისი მაშინდელი განწყობის გამოძახილია. ამას მოჰყვა ლექსების ციკლი ქალაქებზე და საჯარო მოხელის „მოხსენებითი ბარათი“, კრებული, რომელმაც ლიტერატურული პრემია „საბა“ მოუტანა. სალომე ბენიძეს სწორედ ამ წიგნზე სასაუბროდ შევხვდები.

— შენი ლიტერატურული დებიუტი ფეხბედნიერი გამოდგა — პირველივე კრებულმა „საბა“ მოგიტანა. ლექსთან ურთიერთობა როგორ დაიწყო?

— ჩემს ბავშვობას ომები და რთული პერიოდი დაემთხვა. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ამ ყველაფერზე ვთხზავდი ლექსებს. ჩემი ურთიერთობა ლექსთან უცნაურად უკავშირდება ომებს: სკოლასა და უნივერსიტეტში იშვიათად ვწერდი. მერე ევროკავშირის სტიპენდია მივიღე და მაგისტრატურაში სასწავლებლად საბერძნეთში გავემგზავრე. სწორედ ამ დროს დაიწყო აგვისტოს ომი. ის დღეები რომ ჩათავდა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ დავეუბრუნდი ლექსს. პირველი, რაც დავწერე, იყო „ომის ბალადა ანუ ჩემი ჯარისკაცი ქმარი.“

— შთამბეჭდავი ოპუსია, ემოციური. თუ არ იცი, ვერც იფიქრებ, რომ ეს ყველაფერი თავად არ განგიცდია.

— სხვათა შორის, ბევრს ჩემი რეალური ისტორია ეგონა. ხშირად უკითხავთ, ვისზე დავწერე. არადა, კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს. „ომის ბალადა“ ყველა იმ ადამიანს ეძღვნება, ვინც ამ ომში იბრძოდა და მათაც, ვინც მათ ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში ვიყავი, ეს დღეები ჩემთვის კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა, რადგან არ ვიცოდი, რა ხდებოდა. ხუთი დღის განმავლობაში ალბათ ხუთი საათი მეძინა. მოგვიანებით ემოციურმა სტრესმა სიტყვებში იპოვა გამოსავალი და ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამას მოჰყვა ქალაქების ციკლი, რომელიც წიგნში თითქმის სრულად შევიდა. ამ ციკლის პირველი ლექსები იტალიას მიეძღვნა, სადაც სააღდგომო არდადეგებზე იქაურ მეგობარს ვესტუმრე. მაშინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ მოგზაურობებს შედეგად წიგნი მოჰყვებოდა. ძალიან კარგად მახსოვს სასტუმროს ოთახი ფლორენციაში, სადაც მეგობრებთან ერთად ვისხედით, ფანჯრიდან ჩანდა სახურავები და მე ვწერდი.

იტალიაში დაინერა კიდევ ერთი ლექსი — „ბრინდისი. ტარანტატა“. ლეგენდა ტარანტატაზე რამდენიმე წლის წინ მიამბო ჩემმა იტალიელმა მეგობარმა. მას შემდეგ ეს ისტორია ძალიან მიყვარს და სულ ვფიქრობდი, ოდესმე დამეწერა, მაგრამ კონკრეტული მუხტი სწორედ ბრინდისში ჩასვლის შემდეგ გაჩნდა. ასე დაიწყო ეს ციკლი. მოგვიანებით იმ ქალაქებზეც დავწერე, სადაც მანამდე ვიყავი, მაგალითად, ვილნიუსსა და ბერლინზე.

— „ვილნიუსი. სადგურის“ — ასე ჰქვია ლექსს, რომელიც თავისუფლებადაკარგულ თაობას ეძღვნება:

„ჩვენ დავიბადეთ გალიაში. საერთო იყო ის გალია, ყველას გვიტყვდა. ჩვენ დავიბადეთ გალიაში ფეხზე შებმული უხილავი

ბორკილებით, რომ ვერასოდეს მივხვდარიყავით — ჩვენ მონები ვართ.“


რატომ გაგიჩნდა ეს განცდა სწორედ ამ ქალაქში ყოფნისას?

— იმიტომ, რომ სწორედ მაშინ მიხვდები, რა განსხვავებაა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში გაზრდილ ბავშვებსა და სხვა დანარჩენებს შორის. იყო რაღაცები, რაც ჩვენ გვესმოდა, მათ — არა. მაგალითად პოლონელებს, ჩეხებს და ბალტიისპირელებს არ უკვირდათ, რომ სამოქალაქო ომის დროს ქუჩაში ისროდნენ, სხვებისთვის კი ეს უცნაური იყო. რეალურად ამ მსგავსებასა და განსხვავება-

ზეა ლექსი.

— მსგავსებებისა და განსხვავებების გარდა, თითქოს შენი თაობის ემოციასა და ტკივილსაც გამოხატავს, ემიო ექოა.

— ექოს ნებისმიერი გაიგონებს, ვინც ამ საკითხზე დაფიქრებულა. ვილნიუსში სწავლისას ერთ-ერთმა ლექტორმა თავის



„არასოდეს ვასწორებ ნანერს“

მაგისტრანტებთან მიმიყვანა, რათა საქართველოსა და მისი განვითარებაზე მე-საუბრა. მახსოვს, როგორ გამაოცა თავად ფაქტმა, რომ 19 წლის გოგონას ჩემზე უფროსებისთვის საჯარო ლექცია უნდა წამეკითხა. ლექციის შემდეგ ერთი კანადელი ბიჭი მოვიდა და დიდი მადლობა გადაგიხმდა — ძალიან უცნაური და სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ ველაქცა შეიძლება ასე უყვარდეს თავისი ქვეყანა.

— მათთვის ეს უცნაური იყო?

— როგორც ჩანს. სამშობლო ყველას უყვარს, მაგრამ ჩვენ ეს განცდა ომებმა გაგვიძაფრა, რაც შემდეგ სხვადასხვაგვარად გამოიხატება: ზოგისთვის — პოეზიით, ზოგისთვის — მუსიკით...

— შენს ლექსებში სევდა და ტკივილი იგრძნობა. ვიზუალურადაც შეიძლება წარმოვიცი ეს ყველაფერი — გახუნებული, გაცრეცილი ფეხები მოდის.

— ნიგინც ასეთია — გახუნებული. საერთოდ, დიზანი ცალკე თემაა. მინდოდა, ყდაზე ყოფილიყო ის მისამართები, სადაც სწავლის პერიოდში ვცხოვრობდი და მითითებულიც არის, თუმცა გაფორმება სხვაგვარად წარმომედგინა — მეგონა, საფოსტო მარკების ხაზს გავეყვებოდი. ნინო რუხაძის ესკიზი იმდენად მომეწონა, სხვა ვარიანტზე აღარც მიფიქრია.

— კრებულის სახელწოდებაზეც მინდა გკითხო, რომელიც მაინცდამაინც პოეტურ ასოციაციას არ იწვევს.

— თავიდან „ქალაქების“ დარქმევას ვაპირებდი, თუმცა მერე მეგობრის რჩევა გავითვალისწინე. მოგეხსენებათ, საჯარო სამსახურში ყველაფერზე მოხსენებითი ბარათი იწერება. ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრს ვწერდი. ვხუმრობდი კიდევ — ველარაფერს ვწერ მოხსენებითი ბარათების გარდა-მეთქი. სხვათა შორის, ძალიან კონცეპტუალური გამოვიდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრი მოგზაურობა მივლინებითაც იყო განპირობებული. ჩემი ნიგინის სათაური სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო, ვერ იქნებოდა ძალიან პოეტური. მინდოდა, მასში ჩემი ორმაგი ცხოვრება ასახულიყო, რისთვისაც ეს ვარიანტი საუკეთესოა.

— ვინ არიან „მოხსენებითი ბარათის“ ადრესატები?

რაც შეეხება ფრაზის შეცვლას ან აზრის სხვაგვარად განვითარებას, მსგავსი არაფერი მახსენდება. ჩემი ლექსები ასე არ იწერება.

— სალექსო ფორმაც წინასწარ გაქვს განსაზღვრული, ვერლიბრს ვგულისხმობ?

— ეს ყველაფერი თავისით ლაგდება ტვინში და მერე გადამაქვს ფურცელზე. კრებულში არის ასეთი ლექსი — „სტამბულის აეროპორტი. სამი განზომილება“, რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი: ცხადა, სიზმარი და ფიქრი. ეს იმიტომ, რომ აეროპორტში ძალიან მეძინებოდა. ვეღარ ვანალიზებდი, ცხადში ვიყავი თუ სიზმარში. ნახევრად დახუჭული თვალებით ვიჯექი სკამზე და ტვინში ლაგდებოდა ლექსი, რომელიც მერე უბრალოდ კლავიატურაზე აკრიფე.

— რასაც გონებაში თხზავ, გამახსოვრდება?

— დაწერამდე მახსოვს, მერე — აღარ. თითქმის არცერთი ლექსი ზეპირად არ ვიცი. მხოლოდ ადგილები მახსოვს.

— პირველი შემფასებლები ვინ არიან?

— ჩემი მეგობრები, რომლებიც ძალიან გვიან იძინებენ. როგორც წესი, ნაშუალამევს ვწერ და მერე აუცილებლად ვაკითხებ ერთ ადამიანს მაინც. შეფასებისა და განვითარების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო ლიტერატურული პორტალი literatura.ge, სადაც დღემდე ვდებ ახალ ლექსებს. პრინციპში, პირველი შემფასებლები ამ პორტალის მომხმარებლებიც არიან. რასაკვირველია, ლიტერატორთა აზრი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩემი არალიტერატორი მეგობრები იმდენად მკაცრი არიან, მათი მოსაზრება განსაკუთრებით მაინტერესებს. ამით ვხვდები, როგორ აღიქვამს ჩემს პოეზიას ჩვეულებრივი მკითხველი.

— ლიტერატურულ წრეებში როგორ გაფასებენ?

— ყველაზე დიდი გამოხმაურება „ომის ბალადას“ მოჰყვა, თუმცა ჯერჯერობით რეცენზიები არ ყოფილა. უფრო კერძო საუბრებში გამოთქვამენ აზრს.

— ცოტა ანინი წინ ლიტერატურულ კონკურს „საბას“ ლაურეატი გახდი. რამ-

დენად საპასუხისმგებლოა ეს საკითხი, ხომ არ იქნება ტვირთი მომდევნო კრებულის გამოცემისთვის?

— ტვირთი არის, მაგრამ უფრო სტიმულია. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, სტიმულად ვაქციო. რასაკვირველია, პასუხისმგებლობასაც ზრდის, რადგან თუ მეორე კრებულში პირველზე უარესი იქნება, ისინი, ვინც ჩემი „საბა“ დაუმსახურებლად მიჩნია, აუცილებლად აღნიშნავენ ამ ფაქტს.

— კრებულის წინასიტყვაობაში პოეტი დიანა ანფიმიადი შენს შემოქმედებას „პოეზიის გეოგრაფიას“ უწოდებს. რას ნიშნავს ეს სიტყვები?

— ეს ტერმინი პირველად ჩემმა მეგობარმა პოეტმა ქეთი თუთბერიძემ ახსენა და ისე მომეწონა, ვაპირებდი წიგნის სათაურად გამომეყენებინა, თუმცა მერე ძალზე ხმაურიანად მომეჩვენა. პოეზიის გეოგრაფია არის ყველაფერი ის, რაც ამ კრებულშია წარმოდგენილი. თითოეული ქალაქი, სადაც ვყოფილვარ, ადამიანივით მიყვარს. ყველას თავისი ფერი, სუნი, გემო, ხასიათი აქვს. არსად მიმოგზაურია წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით. მიყვარს, როდესაც თავად აღმოვაჩენ ქალაქის ხასიათს. პრინციპში, დავწერე ის, რაც მოგზაურობების პერიოდში აღმოვაჩინე.

— „ეს ნიგინი ნიგინი რომ არ იყოს, ფოტოალბომი იქნებოდა — ერთი ავტორის ფოტოჩანახატებით სახე — ფოტოისტორიები, ფოტოპორტრეტები, ფოტოგანწყობები, ფოტომოგონებები, ფოტოაღმორჩენები, ფოტოსახლები, ფოტოქალაქები და ფოტოადამიანები“ — ესეც დიანა ანფიმიადის სიტყვებია.

— ხშირად ვხედავ ჩემს ნანერებს კადრებად და, როგორც ჩანს, სხვებიც ხედავენ. ერთ ახალ ლექსში ასეთი ფრაზა მაქვს — „ეს სურათი მხსიერების ჩარჩოში ჩავსვი“. ასეთი სურათების რიცხვი ძალიან დიდია. მათ შორისაა ეს ლექსებიც.

— მინდა კიდევ ერთი ლექსი გამოვყო ამ კრებულიდან — Made in China, რომელიც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც თანამედროვე სამყაროს ერთგვარდობას ეხმაურება.

— რასაკვირველია, ეს ლექსი ჩინურ კეტებზე არ არის. პირველ რიგში, ადამიანურ ურთიერთობაზეა. ბოლო დროს ხშირად ვხედავთ, რომ გრძნობები გაუფერულდა, სიტყვებმა მნიშვნელობა დაკარგა. რაც მეტს დადინარ და მეტ ადამიანს ხვდება, მით თვალმისაცემია ეს ყველაფერი. სულ მეჩვენება, რომ ამაზე არ ვფიქრობთ, ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც უნდა ვფიქრობდეთ. ზედაპირული დამოკიდებულება ღირებულებებისადმი საზოგადოებისთვის ჩვეულებრივი გახდა, რაც არ არის სწორი. რალაც წერტილში უნდა გავჩერდეთ და მივიხედ-მოვიხედოთ.

— თანამედროვე პოეტებზე მინდა გკითხო, 2000-იანების შემდგომ თაობაზე. თუ გიფიქრია, რა არის მათთვის დამახასიათებელი, როგორია მათი მახასიათებელი?

— ვფიქრობ, თანამედროვე პოეზია ძალზე მრავალფეროვანია, თუმცა ნამიკითხავს მოსაზრება, რომ ყველა ერთნაირად წერს. ჩემთვის გასაოცარია, როგორ შეიძლება ერთნაირად ვწერდეთ მე და პაატა შამუგია. ჩვენი თაობის დამახასიათებელია ის, რომ ყველაფერზე ვწერთ. ეს არ არის მხოლოდ გრძნობების პოეზია, ეს ყოველდღიურობის პოეზიაა. თითქოს კლიშეების დესაკრალიზაცია ხდება და ყოველდღიურობა ლექსებში გადადის, რაც ძალიან კარგია, რადგან კარგად ჩანს ჩვენი ცხოვრება, გარემო და ადამიანები, ვისთან ერთადაც ამ გარემოში ვცხოვრობთ.

— ანუ პოეზიამ საბოლოოდ დაკარგა ერთგვარი ამაღლებულობა და რომანტიული მარმი, რომელიც მეოცე საუკუნეში ნელ-ნელა ინგროდა?

— ეს ბუნებრივია, რადგან ნებისმიერი პოეტი ჩვეულებრივი ადამიანია სრულიად ჩვეულებრივი განცდებით. თუ ვინმე იტყვის ჩემს ლექსზე — ამას ხომ მეც დავწერდიო, გამეხარდება. ჩავთვლი, რომ ჩემი საქმე კარგად გამიკეთებია.

— რა შეიძლება იყოს ლექსის ნიჭიერების საზომი, რა განსაზღვრავს მის ხარისხს?

— ბევრი რამ: ემოცია, სათქმელის აქტუალობა... რა თქმა უნდა, ოსტატობა — როგორ აკეთებს ამ ყველაფერს ადამიანი.

ცირა ბარბაქაძე:

„მთავარი მკითხველთან დიალოგი“

დასასრული

მაგალითად, ერთი ასეთია: „იდენტობის პრობლემა: ავტორი და ტექსტი“ (ვწერ მწერლებს და მეცნიერებს); გამოსაცემად მზადდება ნაშრომთა კრებული: „თანამედროვე ქართული კულტურა: ნიშნები, ანალიზი, პერსპექტივა“, მოგამზადებთ კურსები სემინარებში და სხვა.

— ახლა ბევრს საუბრობენ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესზე, ზოგმა პოეზია გარდაცვლილ ჟანრად გამოაცხადა, ზოგმა კი თქვა: პოეზიას ძინავსო. კარგა ხნის წინათ მსგავსი დისკუსიები იმართებოდა რომანის სიკვდილზე, რომ არაფერი ვთქვათ ავტორის პოსტმოდერნულ სიკვდილზე. მგონი, ყველაფერი ეს უკავშირდება ნიცშეს უცნობილეს ფრაზას „ღმერთი მოკვდა“, ან მისი უბრალო ვარიანტი.

— პოეზია ხომ სულის მდგომარეობაა, ჰოდა, ხან — ძინავს და ხანაც — იღვიძებს. სულის პოეტური მდგომარეობა, მე ვფიქრობ, მაღალი ძაბვაა და სულ „ჩართული“ ვერ იქნები, ამიტომ ეპოქები, კულტურები, ინდივიდები განსხვავებულად

გამოხატავენ. ის, რომ „ბევრს ვლაპარაკობთ ლიტერატურულ პროცესებზე“, ნიშნავს, რომ ლიტერატურას დავმორდით, კრიზისია... როგორც სიყვარულზე ლაპარაკი არ არის სიყვარული, ასევე ლიტერატურაზე ლაპარაკი არ ნიშნავს ლიტერატურით ცხოვრებას.

ავტორის სიკვდილი კიდეც სხვა ფილოსოფიაა. ბარტისეული გაგება „ავტორის სიკვდილისა“ ისაა, რომ ავტორი მხოლოდ მედიუმია, გამტარი, ის თავად არაფერს ქმნის, არამედ მხოლოდ ახმოვანებს და რასაც ახმოვანებს, მას არ ეუფლებს. ზოგჯერ პოეტი ზედმეტად იდენტიფიცირდება პოეტურ მესთან. ჩემი აზრით, ეს მდგომარეობა შტამბავს მას, როგორც შემოქმედს. მოკლედ, პოეზია არასდროს მოკვდება, მას ექნება გამოხატვის განსხვავებული ფორმები ყოველთვის, ხანდახან თუ მოგვეჩვენება, რომ მას „ძინავს“ და „მოკვდა“, უბრალოდ, ალბათ დაიღალა ცნობიერება და დროებით პოეზიისგან დასვენება სჭირდება.

ესაუბრა ხათუნა ალხაჯიშვილი

სალომე ბენიძე:

„არასოდეს ვასწორებ ნაწერს“

დასასრული

ჩემთვის კარგია ლექსი, რომელზეც მითქვამს, რა მართალს ამბობს; ლექსი, რომელმაც შეიძლება მოგკლას.

— არცერთ შენს ლექსს თარიღი არ აწერია. ნამის უკვდავყოფა არ გიყვარს?

— გადავწყვიტე, ნიგმში თარიღები არ მიმეთითებინა. შეიძლება ორი წლის წინანდელ ემოციაზე ორი წლის შემდეგ დაწერო და არ მინდა, ვიღაცისთვის ეს კონკრეტულ დღესთან ასოცირდებოდეს. ამისთვის პრინციპული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.

— ახლა რაზე მუშაობ?

— ვფიქრობ, ქალაქების ეპოქა დამთავრებულია. ამ ნიგმის გამოცემა მაშინ გადავწყვიტე, როცა მივხვდი, რომ დღეიდან აღარ დავწერ ქალაქებზე. აღარც ისე, როგორც ვწერდი. ცოტა სხვანაირი ლექსები წამოვიდა. არ ვიცი, სხვისთვის როგორ, მაგრამ თავად ვგრძნობ განსხვავებას.

— რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

— განწყობაში. მარტივად რომ ვთქვა, ტექსტებში აღარ არის იმდენი აეროპორ-



ტი, თვითმფრინავი და ჩემოდანი. აღარც სადმე წასვლის სურვილი მაქვს. მინდა, რომ ვიყო აქ და ეს მომდევნო ნიგმს აუცილებლად დაეტყობა.

ესაუბრა ნანა კობახიძე

არჩილ ბიჭაშვილი

შანი თვალაპირი

მთვარით მაცილებ, მზით მელი, მთვარალს მიშვებ, მიცდი ფხიზელს. ვნებააშლილი წიფელი დედაკაცივით მიმზერს.

ჩადუღებია ხევს ხევი, გასავლელ გზას არ ტოვებს. ვგძნობ, ვერსად ვერ გავქექცვი, მის გამშაგებულ რტოებს.

ალმური ასდის ოცნების, სუნთქვას ფიქრებში ნაბავს. ტანს მოშრიალე ფოთლების შემოსალტვია კაბა.

მთვარით მაცილებ, მზით მელი, მთვარალს მიშვებ, მიცდი ფხიზელს. შენს სურნელს აფრქვევს წიფელი, შენი თვალებით მიმზერს.

უკვე დავმარცხდი და არ მსურს ზავი, არა, არავის ტყვედ არ ვბარდები. სურნელოვანი და მომხიბლავი, მაინც თავისთვის ჰყვავის ვარდები.

ჰყვავის ვარდები, თუმც ჭრიან ლერწებს, მაინც ივსება სიზმრით სურები. დავმარცხდი, ძალა მხოლოდ მე შემწევს, საკუთარ თავის განადგურების.

გვიანი შაჟოღოგა

ოქტომბერი იღვევა, ქარები ფრთებს გაშლის, შემორჩება ხეებზე აქა-იქა ვაშლი. შექუჩდება ღრუბლები, მზეს თვალსაც ვერ მოჰკრავ, მინოლილი ღობეზე იზმორება გოგრა. დამბერტყეთო კაკალი, ხეწნით დაიღალა, ყვავილები დამჭკნარან შეუკონავთ ჩალა. დაუნურავთ ყურძენი გამართულა ჭიგო, რამდენი უშრომია, მისთვის დგას და ფიქრობს. ცალი თვალით კომბოსტო იმზირება ცისკენ და ვარსკვლავთა ღამეულ საგალობლებს ისმენს. ანივლდება ზუმერი და ნერვებზე მომშლის, ოდნავ გვერდებშემპალი ძირზე ყრია კომში. მზესუმზირას გვირგვინი უცნაურად ტოკავს, მიუგდიათ კუთხეში ცარიელი კოკა. თუ დაიწყო წვიმები, ვიცი დიდხანს გასტანს, პომიდორის ლერწები შეაღებება ხარდანს. ჯერ წყნარია ცარგვალი, გადმომყურებს ხომლი, ნოემბერი მოვა და მეჩე მოვა თოვლი.

მე ისევ მოვალ

მე დავბრუნდები და შენ მიმიღებ, რადგან ასეთი ბედი გვეწერა. კვლავ დაეტყობა თრთოლვა ბილიკებს, გაახალისებს მინდვრებს ფერწერა.

მე ისევ მოვალ მხნე და კეთილი, ამაყი მზერა თითქოს მაქეზებს. ამოიშლება ყველა წერტილი, იელვებს ვარდი კვლავ შენს ბაგეზე.

მე დავბრუნდები, შენად მიგულე, მთები დარჩება ისევ რუხები. ისევ გამოვძერწ ღრუბლის ფიგურებს: ია, ყაყაჩო და თავთუხები.

მე ისევ მოვალ ავი, მრისხანე, დაგიბრუნდები, რადგან მეძახი. ყველაფერს შევცვლი, ოღონდ მიბრძანე, სად ბალი იყოს და სად ვენახი.

მე ისევ მოვალ, ისევ დროებით ტკივილს დაგიცხრობ ნაზს და ვნებიანს. მივიწყებული საღამოები თავის მღვიმეში დაბრუნდებიან.

თინა

ძნელია იპოვო გულის სწორი, როცა შუა ასაკს ეთხოვები. ისე გაიარა კაცებს შორის, მზერით დაუზილეს თეძოები.

თავადაც ერთიანად წამოენთო, თვალნი მიენება ქუთუთოებს. ბინთან არაფერი აქვს საერთო, ისეთ მოგონებას აუთოებს.

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რადაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიასა და მსოფლიო ხალხთა პოეტურ თარგმანებზე.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით — ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი, დევიზი (კონვერტს უკეთდება მინანური: „კონკურსისათვის“ და დაუშვებელია მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

(პოეზიაში)

ერთი სპეციალური პრემია — საქართველოს პირველი ლედის — სანდრა-ელისაბედ რულოვისაგან;

პირველი პრემია — 1000 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის

გამგეობისაგან;

ორი მეორე პრემია — 500-500 ლარი — საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვისა და ა(ა)იპ-ი ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისაგან;

ორი მესამე პრემია — 300-300 ლარი — ივ. ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიასაგან“;

(თარგმანებში)

პირველი პრემია — 500 ლარი — საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია

„ალდაგი ბისიასაგან“;

მეორე პრემია — 300 ლარი — სსიპ ახალქალაქის უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისაგან;

გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2012 წლის ოქტომბერში — საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვის პატრონაჟით ჩატარებულ „პოეზიის დღის — შოთაობის“ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე.

საკონკურსო ლექსები და თარგმანები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით, ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებული ლექსები გამოქვეყნდება გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“.

საკონკურსო მასალა, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა და თარგმანისა, უნდა გამოიგზავნოს 2012 წლის 7 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის რაიონი, დასპინძა, თამარის ქუჩა №3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

ტელ.: 5 99 97 95 24

დასასრული

პისტოლეტი, რომელსაც ბებიაჩემი კოიტი-ით იხსენებს, ალბათ კოლტი. არ ვიცი, მე რომ დავიბადე, ბაბუაჩემმა მთელი თავისი იარაღი ტყეში დაფლა. ესროლა და ყური წააცალა დადიანს.

გაქცეულა დადიანი. ბაბუაჩემი კიდევ ზურგზე შეხტომია თავის საყვარელ გლეხს, მამულს, რომელსაც მეორე ნაპირზე გადაუყვანია. მივარდნილა ანრი დადიანის გლეხებთან, დაუშენია ხეებისთვის ტყვია, აუყურია, წამოუყვანია სახლში და ის დიდი ღრმა ჭა გაუთხრევივინებია, ევერ ქვემოთ რომ დგას ახლა სუროთი მთლად დაფარული, საიდანაც დღემდე ვსვამთ წყალს. სამუშაო იარაღებიც იქ დაატოვებინა და გამოყარა თურმე სახლში.

იჩივლა დადიანმა და ბაბუაჩემიც სვანეთში იმალეობოდა კარგა ხანს, მარა ეგ არ იყო მთავარი. დადიანის უფროსი ბიჭი, კოკი, ყაჩაღად იყო გაგვარდნილი. იმის სახელი დღემდე ახსოვს აქეთ ჩემი ხნის ხალხს, ძალიან მაგარი კაცი ყოფილა, მაგარი მსროლელი.

ჩვენი სახლის... ხო, აი, ქვედა, პირველი სართული, იქ სადაც ახლა კუხნაა, ადრე ცარიელი იყო, არც კედელი იყო და სხვა რამე, ხომინჯებზე, ბოძებზე იდგა და იქ მარტო ბუხარი გვექონდა. ეს კოკი კიდევ თურმე ღამ-ღამობით იპარებდა ჩვენ ეზოში, სახლის ქვეშ შეძვრება, მიენებება ბუხარს, აიფარებს ნაბადს და ანრის მოსვლას ელოდება. ალბათ მეზობლებისგან იგებდა, როდის უნდა მოსულიყო.

ერთ ღამესაც მოვიდა ანრი სახლში, შეაყენა კოკიმ თოფი, ძალიან ფრთხილი კაცი იყო ბაბუაჩემი, გაუგია ჩხაკუნ და კოკიმ რო ესროლა, გადავარდა თურმე, ვითომ მოკვდა, ტყვია კი აცდა. დადიანს კანტროლის სროლის დრო აღარ ქონდა, სამეზობლო გააღვიძა გასროლამ, ამიტომ ერთი დაუყვირია:

ხომ მაინც ჩაგაძალე! კოკი ვარ დადიანი, და გაქცეულა.

გავიდა სამი თვე და გეჯეთის მხრიდან შემოსულა კოკი. ორი ფაეტონით უყვარდა კოკის სიარული, პირველში თავისი ბოხ-ოხი ედო, მეორეში თვითონ იჯდა, ორი მაუზერით და ჰაერში ისროდა.

ხიდზე რომ გადმოვიდა და ტყეს შეერია, ორი ცხენოსანი დაედევნა თურმე მის ფაეტონს. მარცხნიდან ბაბუაჩემი, მარჯვნიდან კი ანრის ბიძაშვილი მელიტონ კარტოზია, ლამაზი კაცი იყო მელიტონი, შავულვაშებიანი, ცისფერთვალეა, მენშევიკი ოფიცერი, დახვრიტეს მერე კომუნისტებმა.

შეახტენ და დააღერეს, ანრიმ თავისი კოიტი და 24 კალიბრიანი ზიმსონი, ზოგი იმას ბერლინ-გერმანიასაც ეძახდა, რელსში გადიოდა, მელიტონმა კიდევ სმიტვენსონი, მეეტლეები გაიქცნენ.

ნარბი არ შერხევია დადიანს, გაფითრებულა მარტო, ერთი უთქვამს: არ გამაფუჭო ანრიო და გაჩუმებულა.

სიტყვის კაცი ხაარო? უკითხავს ანრის. ვარო, უპასუხია დადიანს.

მაშინ დაარტყი ხელი და აბა, შენ იცი და შენმა კაცობამო, ხელი გაუწვდია ანრის და ფაეტონიდან ჩამომხტარა.

იმის მერე აღარ შეუწუხებია დადიანს.

ვერ შემოირიგეს კომუნისტებმა კოკი დადიანი და ოთხი წლის მერე, აგერ ჩვენი სახლის მახლობლად, ნანგრევებთან ჩაუსაფრდნენ და ფაეტონში ჩაცხრილეს, თორმეტი კაცი ესროდა თურმე, მაინც გადმოსულა დაცხრილული კოკი ფაეტონიდან, მაუზერი ამოუღია, ძირს დაეცემულა და სიმწრისგან დაუცლია.

ანრი კიდევ გადარჩა. კი, კომუნისტებმა ყველაფერი წაართვეს, მინიდან დაწყებული — ნისქვილით დამთავრებული, მაგრამ არ დაუხვრეტიათ, შვილებსაც მოესწრო და შვილიშვილებსაც.

მოხუცი გაჩერდა, უღვაშებზე მოისვა ხელი და გაზეთში თუთუნის გახვევა დაინყო.

— კიდევ მოყვით რამე რა, — სთხოვა ბიჭმა.

— მოგეონა? მაგი მასეა, ყველა ოჯახის ისტორია ხო ასეთი საინტერესოა, — მოხუცმა გაზეთი დაახვია, უფერული ენა გადმოაგდო, წკლაპუნით გაუსვა ქალაღდს, დაწვება, პირში ჩაიდო, მოუკიდა და ლაპარაკი გააგრძელა, — მელიტონის შვილზე, თენგიზზე მოგიყვები, მაგარი ისტორიაა. სამედიცინო ინსტიტუტი

დაამთავრა თუ არა, თენგიზი და თავისი კურსელები ეგრევე ფრონტზე წაიყვანეს, გამოუცდელი ბიჭები იყვნენ, ახალგაზრდები, ჩავარდნენ ტყვედ და მოხვდნენ დომბასში, კონცლაგერი ჰქონდათ იქ გერმანელებს.

თენგიზი ორივე ფეხში იყო დაჭრილი, შავი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ამიტომ გერმანელებს ებრაელი ეგონათ და გაათრიეს დასახვრეტად. ჯერ რუსულად დაუწყია ყვირილი თენგიზს, ფეხები ტკივა, ესენი კიდევ ურტყამენ, მერე გერმანულად, ბოლოს კი ქართულად დაუძახია მიშველეთო და იქ მყოფი ტყვეების რიგიდან გამოვარდნილა ერთი მაღალი, გამხდარი, მავთ-მიანი კაცი, სცემია თენგიზს, შარვალი ჩაუხდია, გერმანელებისთვის უჩვენებია გადაჭრილი არა აქვსო და ასე გადაურჩენია.

ამ კაცს ერქვა ვახო ჩხარია, ზუგდიდელი იყო. მხიარული და მაგარი თავზეხელაღებული ვინმე ყოფილა. კონცლაგერში ცუდად აქმევდნენ ტყვეებს, ხალხი შიმშილით იხოცებოდა, ეს ჩხარია კი ღამ-ღამობით ჩუმად იპარებოდა ბანაკიდან. ყველაფერი გამოთვლილი ჰქონდა, პროდუქტის შემომტანი დიდი მანქანის ქვეშ ძვრებოდა, ძირზე ეკიდებოდა და გარეთ გადიოდა, მანქანის მოძრაობის მარშრუტი მთლიანად ჰქონდა შესწავლილი. გზაზე ერთი დიდი ბუგაროკი იყო, სადაც მანქანა ყოველთვის ანელებდა სვლას და ნელა გადაბობდებოდა. სწორედ აქ უშვებდა ხელს ჩხარია მანქანას, სოფლებში იპარებოდა და იქიდან საქმლით დატვირთული, მაიკის ქვეშ და ჯიბეებში რომ ჰქონდა დამალული, იმავე გზით როგორც გავიდა, ბრუნდებოდა უკან, იმ ბუგაროკზე სვ-

უხმოდ გავიდა ბარაკიდან, არ გათქვა, არ დააბეზლა და იმ დღის შემდეგ არც ერთ იმ ბარაკის ბიჭს არ მოქცევია ცუდად.

მერე თენგიზს ფეხზე განგრენა დაენყო, ჩხარია ტყვედ ჩავარდნილ და შემდეგში გერმანიაში დარჩენილ ქართველ ექიმს — კაკუბავას დაუკავშირდა, რომელიც დრანდაში ექიმად მუშაობდა და თენგიზი ჰოსპიტალში გადაყვანიდა, სადაც უმკურნალეს და მოარჩინეს.

იქიდან თენგიზი ბერლინში მოხვდა და იქ კი დედამისის გიმნაზიის დროინდელ მეგობარს ანა ფალავას შეხვდა შემთხვევით, რომელმაც ჰოსპიტალში მოანყო ქირურგად. ამ ჰოსპიტლის მთავარი ექიმი იყო ცნობილი გერმანელი პროფესორი და მედიცინის დოქტორი კლაუს ფონ შმიტი.

თენგიზი დაჭრილ და ტყვედ ჩავარდნილ რუს ჯარისკაცებს მკურნალობდა, რომლებსაც გამომჯობინების შემდეგ გერმანელები, უკან, ფრონტზე აგზავნიდნენ, რუსებთან საომრად, წინ გაირეკავდნენ, თვითონ კი უკან მიჰყვებოდნენ, ზუსტად ისე, როგორც რუსები დამნაშავეებისგან და ტყვეთაგან შემდგარ ბრიგადებს.

ერთი საღამოა და მოვარდნენ ჰოსპიტალში გერმანელი ოფიცრები, მოიყვანეს თავისიანი, რომელსაც საშინლად სტკივა მუცელი, ექიმი შმიტი არ იყო იმ დროს და ეცნენ მაინცდამაინც თენგიზს — გინდა თუ არა მოარჩინე ან არა და აქვე დაგხვრიტავთო.

გამოუცდელი ყოფილა მაშინ თენგიზი, დაუნვენია ავადმყოფი და ხელით უსინჯავს მუცელს, ბრმა ნაწლავზე რომ დაადო ხელი, ხველა გაიგო, თავის წინ, კედელზე ჩამოკიდებულ სარკეს გახედა და ზურგს უკან ექიმი შმიტი დაინახა, ჩუმად

რუსებმა ბერლინი რომ აიღეს, თენგიზი სამი დღე კომენდანტად მუშაობდა თურმე, მერე კი გამოჰყოლია რუსებს და 46-ში ჩამოსულა საქართველოში, აქ გაამართლეს, ციხეს გადარჩა და წყალტუბოს სანატორიუმის მთავარ ექიმადაც დაინიშნა.

66-ში თუ 67-ში ხელმეორედ შეხვდა ჩხარიას ქუთაისში.

ხომ გითხარი არ მოგკვდები, ჩამოვალმეთქი, მე უკვდავი ვარ, სიცილით დაუძახია ჩხარიას, რომელსაც საფრანგეთში მოესწრო გადასვლა და იქ ციხეშიც მოხვედრილიყო ორი წლით.

ერთი სათხოვარი მაქვს, უთქვამს ჩხარიას.

რაც გინდა მთხოვეო, უპასუხა თენგიზმა.

სასოფლო უნივერსიტეტში ჩამრიცხე როგორმე, სწავლა მინდა გაეგრძელოო, უთხოვნია იმას და თვითონ გასცინებია საკუთარ სიტყვებზე.

მოუნყვია თენგიზს ჩხარია, მაგრამ იმის მერე აღარ უნახავს, დაუკარგავთ რალაცნაირად ერთმანეთი.

თენგიზი 72-ში მოკვდა, ამდენი რამე გამოიარა და ქართულ კუდაბზიკობას კი გადაყვა. ნალვლის ბუშტის ოპერაცია ჰქონდა გასაკეთებული, თბილისში უნდოდა წამოსვლა, მაგრამ თავისი მეწყვილის და ძველი თანაკურსელის, რომელთან ერთადაც მუშაობდა წყალტუბოს სანატორიუმში, შერცხვა — იტყვის მერე, არ მენდოო, დაუნვა საოპერაციოდ, იმან რალაც ვერ გაუკეთა და მოკვდა თენგიზი.

მოხუცი დადუმდა, ბიჭმა ცას ახედა, ღამე გამტყდარიყო.



ლადო კილასონია
დამწვარი სახლი

ლაშენელებულ მანქანას ააცოცდებოდა, ბანაკში მოდიოდა და თავისიანებს არჩენდა.

ყავდათ ბანაკში ერთი სადისტი ზედამხედველი კარლ რიდლე, ბრაზილიაში თუ სადღაც მაქვს გაიქცა მერე მგონი. ლამაზი კაცი იყო, ქერათმიანი, ღონიერი, ცისფერთვალეა. ჩამოუვლიდა ხოლმე ბანაკს და ხან ვინმეს გალახავდა, ხან ჭრილობაზე დააბიჯებდა ფეხს, ხან სიგარეტს დაანჯავდა.

ერთი ღამეა, ჩხარია საშოვარზეა გასული და შემოვიდა ეს რიდლე თენგიზის და იმათ ბარაკში, გადაავლო თვალი და ამ დროს გაიღო კარი და დაბრუნდა დატვირთული და ორსული ქალივით მუცელდამრგვალებული ჩხარია.

რიდლემ უხმოდ, თითოთ ანიშნა — ახლოს მოინიუო, შუბლზე ავტომატი მიადო და უბრძანა მაიკა აენია. აინია ჩხარიაშეცდომა და გადმოცვივდა იქიდან კარტოფილი, ხილი, ბოსტნეული. გამრა ეს გერმანელი, გაფითრდა, ხმა ვერ ამოიღო, მიხვდა, რომ ეს კაცი ღამ-ღამობით ჩუმად გადის კონცლაგერიდან, მაგრამ კი არ გარბის, საქმელს შოულობს, უკან ბრუნდება და თავისიანებს აქმევს. მოტრიალდა,

რომ შემოსულიყო ოთახში, რომელმაც ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი, ანიშნა ეგ არიო. თენგიზმა დიაგნოზი დასვა, შმიტთან ერთად გაუკეთა ოპერაცია ავადმყოფს, გადაარჩინა და თვითონაც გადარჩა.

ერთხელაც დგას თურმე თენგიზი ბერლინის ერთ-ერთ ქუჩაზე და დაინახა ჩხარია, გრძელი შავი მანტო აცვია და შავ ფეხსაცმელებზე იყურებოდა.

ჩხარია როგორ ხარ? დაუძახა თენგიზმა და იმანაც იცნო.

გადახვივდნენ ერთმანეთს და კარგა ხანი ილაპარაკეს.

ჩხარია მოუყვა, რომ ერთ გერმანელ ქალს მოსწონებია, კონცლაგერიდან დაუხსნია და ბერლინში ჩამოუყვანია, სადაც გერმანული და ფეხსაცმელების განცემა — შეკეთება, ანუ საპოქნიკობა უსწავლია. კარგად ვარ, ვმუშაობო. კაკუბავა გამქრალიყო, ნითელ გერმანელებთან და პარტიზანებთან თუ პაპდოლიესთან ჰქონია კავშირი, ერთ დღესაც გაუქურდია დარანდის ჰოსპიტალი, წაუღია ყველაფერი: ნამლები, ხელსაწყოები და გამქრალა.

შენ რას აპირებო, ჰკითხა თენგიზმა. ნუ გეშინია, აუცილებლად დავბრუნდები სახლში, აქ არ მოგკვდებიო, უპასუხა ჩხარიამ.

— ნადი ეხლა, შვილო, შენები ალბათ გექებენ, — უთხრა მოხუცმა.

— თქვენ?

— მეც წავალ.

ბიჭი წამოდგა:

— იმედია, კიდევ გნახავთ.

— მნახავ, აბა, სად წახვალ, შვილო, — გაეცინა მოხუცს და ბიჭი ფერდობზე დაემშობა.

სახლში ყველას ეძინა.

— სად იყავი? — ჰკითხა ნაბიჯის ხმაზე გამოღვიძებულმა ზუბომ, როდესაც ოთახში შეიპარა ფეხაკრეფით.

— ზემოთ დამწვარი სახლია და... — დაინყო ბიჭმა.

— აააა, ხო, ეგ ოთხი წლის წინ დაენვა სოსოს ბაბუას, გრიმასთან ერთად. არაფრით არ ჩამოვიდა ამ სახლში საცხოვრებლად, იქ ეძინა და იქვე ამოიბუფა, — თქვა ზუბომ და კედლისკენ გადაბრუნდა.

ბიჭმა ფერდობს ახედა, მზის სხივი ვარდისფერ ნერტილად დააჩნდა გამოღვიძებულ ცას, ფურცელზე დაღვრილი წყალივით გაიშალა, გაიზარდა, მეტი და მეტი ადგილი დაიკავა შემდეგ აითქვიფა, გაიჟღინთა, გაჯდა ცაში და გათენდა.

ჯუზეპე ლეონელი იტალიურ ლიტერატურას ასწავლის რომის უნივერსიტეტში Roma Tre. არის ყოველდღიური გაზეთის - La Repubblica - ლიტერატურული კრიტიკის გვერდის ავტორი, ჟურნალ Il Paragone-ს ლიტერატურული განყოფილების მმართველი კომიტეტის წევრი და იტალიის ორი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრემიის - Strega-სა და Viareggio-Rèpaci-ს ჟიურის წევრი.

ის მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მათგან განსაკუთრებულად შეიძლება აღინიშნოს გამოკვლევა ჯოვანი პასკოლის შემოქმედებაზე, მონოგრაფია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის კრიტიკის ისტორიაზე და მონოგრაფიული ნაშრომი ჯორჯო კაპრონის შესახებ.

ჯუზეპე ლეონელი

ლუიჯი პირანდელოს პიესა

„ექვსი პერსონაჟი ავტორის ძიებაში“

პირანდელოს ბიოგრაფები (ფრატილი, ნარდელი) წერენ, რომ მუშები, რომლებიც მწერლის სახლის მოპირდაპირე მხარეს მშენებლობაზე მუშაობდნენ, დროდადრო ჩერდებოდნენ თურმე და გაოცდებულნი, მოწუხებულნივით მისჩერებოდნენ პირანდელოს სამუშაო ოთახის ფანჯრებს: კაცს, რომელიც სანერ მაგიდასთან იჯდა და „საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, ხელს იქნევდა, თვალებს ქაჩავდა, საოცარ გამომეტყველებას იღებდა ხოლმე“. ვინ იცის, რას ფიქრობდნენ, ალბათ, გიჟი ეგონათ დიდი დრამატურგი, რომელიც თავის პერსონაჟებს ელაპარაკებოდა: პირანდელოსათვის ჩვეული (როგორც შემდეგ აღმოჩნდა) ეს საქმიანობა პირველად გაცხადდა 1915 წელს დაბეჭდილ მოთხრობაში „საუბრები პერსონაჟებთან“. როცა მშენებლები გაოცდებულნი შესცქეროდნენ ქუჩიდან, პირანდელი, ალბათ, რომელიმე ჯიუტ პერსონაჟს თუ ეკამათებოდა გაცხარებული, ის არ ეშვებოდა, დაჟინებით დასხვავდა რომანის დაწერას, თავად, ამ დასაწერი რომანის მთავარი გმირი. ვინ იცის, იქნებ დოქტორ ლეანტრო სკოტოსაც ეკამათებოდა? იმ დოქტორ სკოტოს, რომელიც კიდევ უფრო ადრე, 1906 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „პერსონაჟები“ ინგლისელი თეოსოფის, ლიდბატერის ნაშრომით ხელში გვევლინება - 1897 წლით დათარიღებული წიგნით The Astral plane - და კითხულობს მონაკვეთს, რომელიც მოგვიანებით, თითქმის სიტყვითა-სიტყვითაა გაიმეორებული, წყაროს მითითების გარეშე, „მატია პასკალის“ ჯერ კიდევ პირველ გამოცემაში. ჯოვანი მაცია საგანგებო ყურადღებას უთმობს ამ სიტყვებს:

„სულ ახლახან წავიკითხე ერთი წიგნი - წერდა პირანდელი (იმას, რაც თავად ჰქონდა წაკითხული, რომელიმე პერსონაჟს მიანერდა ხოლმე) - რომ ჩვენი ფიქრები და სურვილები ერთმანეთს ერწყმის და რაღაც მოქნილ, პლასტიურ სუბსტანციად ერთიანდება, უხილავ სამყაროში, რომელიც გარს გვერტყმის, შემდეგ კი მასში იძვრნებიან ცოცხალი არსებები, რომელთა გარეგნული იერი მათსავე ბუნებას შეესაბამება. როგორც კი ფორმას შეიძენენ, ეს არსებები ხელიდან უხსლებებიან თავიანთ შემქმნელს, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ და თითოეული მათგანის სიცოცხლის ხანგრძლივობა იმ იდგის, გრძობისა თუ ნადილის ძალასა და სიმძაფრეზეა დამოკიდებული, რომელმაც ამ პერსონაჟს ჩაბჭერა სული“.

მოთხრობაში „პერსონაჟები“ დოქტორი სკოტო უცებ ხურავს წიგნს და მწერალს შეხედავს:

„და - თქვა ბოლოს - თქვენზე უკეთ არავინ იცის, რომ ეს ასეა. და მე, თუნდაც ჯერ კიდევ თქვენზე დამოკიდებული, ამის ნათელი მაგალითი ვარ. ამას ადასტურებს ხელოვნების ყოველი პირმშო. ზოგიერთ პერსონაჟს მეტიხეტად ხანმოკლე სიცოცხლე უნერია, ზოგიერთს კი - მარადიული, ჭეშმარიტი სიცოცხლე ერგება, ნამდვილ სიცოცხლეზე ბევრად უფრო ნამდვილი, ხვდებით, რისი თქმა მსურს? [...]

მიეჩერებოდა დოქტორ სკოტოს, მისი ასეთი განსწავლულობით გაოცებული, და ვეკითხებო:

- მაპატიეთ, მაგრამ, მაინც რას გინდათ, მიაღწიეთ ამ თქვენი თეოსოფიურ-ესთეტიკური მსჯელობით?

- სიცოცხლეს! - შეჰყვირებს ის, მელოდრამატული ფესტიკულაციით. - მინდა, ვიცოცხლო, საშინლად მინდა სიცოცხლე, საკუთარი და სხვათა ბედნიერებისთვის. მაცოცხლეთ, ბატონო ჩემო! გთხოვთ, ღირსეულად მაცოცხლეთ; კეთილი გული მაქვს, დამიჯერეთ! გონებაც მიჭრის, პატიოსანი კაცი ვარ: მართლა ვიმსახურებ, მეც გამიმართლოს. გემუდარებით, მიბოძეთ მარადიული სიცოცხლე“.

პიესის „ექვსი პერსონაჟი ავტორის ძიე-


ბაში“ მთავარი, აკვიატებული თემაც სწორედ ესაა. იგივე თემა დაედო საფუძვლად 1911 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობას „ერთი პერსონაჟის ტრაგედია“. „პერსონაჟებთან საუბრებში“ ხდება ახლად გარდაცვლილი დედის პერსონაჟად გარდაქმნაც, რაც სპირიტისტულ სენანსაც კი მოგვაგონებს. „რომანი, რომელიც უნდა დაინეროს“ - ეუბნება პირანდელი თავის შვილს, სტეფანოს, 1917 წლით დათარიღებულ ერთ წერილში. ამ რომანის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი არსებობს, რომელიც კორადო ალვარომ გამოაქვეყნა 1934 წელს. პიესის წინათქმამი კი, 1925 წელს, თავად პირანდელი წერს, რომ ეს „შესანიშნავი რომანი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის არ დაწერილა. თუმცა, მისი პერსონაჟები, უკვე ცოცხლები, სულჩაბერილები, ბედს არ ეაუბებოდნენ, არ უნდოდათ, უკვალოდ გამჭრალიყვნენ და არ ეშვებოდნენ ავტორს, რომელმაც აღარ იცოდა, როგორ დაედნია მათგან თავი. იგივე წინათქმა, რომელიც პირანდელის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია, გვამცნობს, რომ მწერალს მოულოდნელად დაებადა დრამატული ნაწარმოების შექმნის იდეა:

„სცენაზე ხომ არ დამედგა-მეთქი - გავიფიქრე - ეს უპრეცედენტო ამბავი: ავტორი, რომელიც უარს ამბობს, აცოცხლოს ზოგიერთი თავისი პერსონაჟი, თავისივე ფანტაზიის შვილი? პერსონაჟები, რომლებმაც უკვე ჩაისუნთქეს სიცოცხლე და ახლა ველარ ეგზეზიან სამყაროს მიღმა დარჩენას? ისინი უკვე ჩამომშორდნენ, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, შეუძლიათ მოძრაობა, ლაპარაკი და ამ ბრძოლაში, რომელიც ჩემთან გადახდა სიცოცხლის მოსალოდნელად, უკვე ჩამოყალიბდნენ დრამატულ პერსონაჟებად, რომელთაც დამოუკიდებლად მოძრაობისა და მეტყველების უნარი შესწევთ; დამოუკიდებლად აღიქვამენ საკუთარ თავს; და თუ ის ისწავლეს, ჩემგან როგორ დაიცვან თავი, იმასაც ისწავლიან, სხვებს როგორ გაუმკლავდნენ. მაშ, გავუხსნათ გზა იქითკენ, საითაც ნებისმიერი დრამატული პერსონაჟი ისწრაფვის სიცოცხლის მოსალოდნელად: სცენისაკენ. და ვნახოთ, რა მოხდება“.

„კომედია, რომელიც უნდა გათამაშდეს“ (ასეთია „ექვსი პერსონაჟის“ ქვესათაური), 1920-21 წლებს ზამთარში, რომში, პიეტრალატას ქუჩაზე, პირანდელის ბინაში, დაიწერა. დასრულებისთანავე ნაწარმოები არნალდო ფრატელიის სახლში წაუკითხეს მსმენელთა მცირე ჯგუფს. სწორედ ეს იყო საწახაობის ის ინკარნაცია, რასაც გამოგნებულები მისჩერებოდნენ ქუჩიდან მშენებლები. ფრატელი იხსენებს: „ნაწარმოებმა პირველი სიტყვებიდანვე გაგვიტაცა, შეგვძრა, გავგოგნა; შთამბეჭდავი იყო არა მხოლოდ პიესა, არამედ ისიც, თუ როგორი გატაცებით ვიკითხავდა მას პირანდელი. აღარც ვიცო, ბოლოს ვინ რას ამბობდა: გადარეულბივით ვკამათობდით, პირანდელი კი მშვიდად იჯდა და იღიმებოდა“.

ფრატელიის სახლში გაჩაღებული ცხარე კამათი შეიძლება ჩაითვალოს გენერალურ რეპეტიციად იმისა, რაც 1921 წლის 9 მაისს, თეატრ „ვალეში“, პრემიერაზე, მოხდა. ნარმოდგენის მსვლელობის დროს არ შეწყვეტილა ტაში, სტევენა, ყვირილი. ორი დღის შემდეგ ფრატელი წერდა: „საშინლად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ისინი, ვისაც „მოსწონდა სპექტაკლი და ვინც ლანძღავდა მას. ხმაურმა კულმინაცია მიაღწია, ასეთი რამ თეატრს არ ახსოვდა“. სპექტაკლის შემდეგ მას შემდეგ არ იმლებოდა, ავტორს ელოდა. პირანდელის დიდხანს მოუწია ლოდინი და როცა შენობიდან გამოვიდა ხელკავით თავის ქალმშვილთან ერთად, ხალხი ყვირილით დაესია: „საგაჟეთში!“ - ღრიალებდნენ და ხურდა ფულს ესროდნენ. პირანდელი ძლივს ჩაჯდა ტაქსიში და სწრაფად გამოიდა იქაურობას, თეატრის წინ კი კამათი, ჩხუბი და აყალ-მაყალი დილადაც გაგრძელდა.

ასეთი რეაქცია გამოიწვია მას შემდეგ-



ჯუზეპე ლეონელი


ში, რომელიც სულ სხვა რამეს ელოდა, თავად სცენის მოწყობამაც: მაყურებელს სპექტაკლისთვის საგანგებოდ მომზადებული სცენა კი არ დახვდა, არამედ ისეთი, „როგორცაა თეატრის სცენა დღისით, ყოველგვარი დეკორაციის გარეშე, ბნელი და ცარიელი.“ თუმცა, ცნობილია, რომ მაყურებელმა ძალიან მალე შეიცვალა აზრი. იმავე წლის სექტემბერში, მილანის „მანძონის“ თეატრში ნარმოდგენამ ტრიუმფით ჩაიარა, მოგვიანებით კი, პიესის პარიზულმა დადგამამ, პიტოვის მაგიური რეჟისურით, ჯერ ევროპაში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში გაუთქვა ავტორს სახელი.

თეატრი მოულოდნელად ეჩვენა ბურჟუაზიულ მაყურებელს, რომელიც ნაჩვევი იყო ხელოვნურ, რეალობის ფრაგმენტით (იმით, რასაც ნატურალისტები tranche de vie-ს უწოდებდნენ) შენიღბულ თეატრს. მოქმედი პირები ადამიანები კი არ არიან, არამედ - პერსონაჟები და საკუთარ თავსვე წარმოადგენენ პიესაში, რომელიც „არაა დაყოფილი არც მოქმედებებად, არც სცენებად“. იყო თუ არა ეს - როგორც სძონდი მიიჩნევდა - ეპიკური თეატრის საწყისი, ნაწარმოები, რომელიც საკუთარი სხეულიდან გამოყოფს თავისავე დრამატულ სუბსტანციას, საკუთრივ არისტოტელეს მას, მაყურებელს კი აქცევს დამკვირვებლად, რომელიც ჩართული არაა სცენიურ მოქმედებაში? რაც არ უნდა ვუნდოთ მას, ცხადია, რომ „ექვსმა პერსონაჟმა“ თავად თეატრის აღქმა შეცვალა და თითოეულ ჩვენგანში ის მარადიული ჟრუანტელი შეინარჩუნა, რომელიც ფარდის ყოველ ახდაზე ხელახლა ცოცხლდება. „პირანდელი - წერს ფერგუსონი - თავად ადამიანთა ცხოვრებას ხედავს თეატრალური თვლით [...], თავდაყირა აყენებს თანამედროვე რეალიზმის წესებს; ის სცენას კი არ აღიქვამს, როგორც ერთი ჩვეულებრივი სახლის ოთახს, არამედ პირიქით - მისთვის ჩვეულებრივი სახლის ერთი ოთახიც კი არარეალურია, სცენაა, სადაც უამრავი სხვადასხვა „რეალობა“ სახლობს“. ეს არის თეატრის ბაროკოსული იდეის გადამუშავების წმინდად პირანდელისეული მანერა: სამყაროსა და თეატრის ორმხრივობა, თითქმის ურთიერთანაცვლებადობა, რომლის მიხედვითაც მხოლოდ დროებით ვართ საკუთარი თავის მაყურებელიც და პერსონაჟიც და ორივე როლში, გამუდმებით დავეძებთ ავტორს. ეს იდეაა ჩადებული პიეტრალატას ტაქსიში და ბრწყინვალე სონეტში „ოცნებები და

ზღაპრები, რომლებსაც ვთამაშობ. ქალაღმზეცი კი“. ცხოვრება ნარმოცნილია, როგორც დელირიუმი, რომელშიც მხოლოდ საკუთარ თავს ვატყუებთ, რადგან ყველაფერი, რასაც განვიცდით, რასაც ვნერთ, მხოლოდ ზღაპარია, სიზმარი, ან, თუ გნებავთ - მრავალი წლით ადრე დაწერილი ჯორჯო მანგანელის მოსახრება - ტყუილი, როგორც ლიტერატურა. პირანდელის მკითხველს კარგად ახსოვს მწერლის სიტყვები: „ცხოვრებას ან წერ, ან ცხოვრობ“. როგორც წესი, ამ გამონათქვამში დაპირისპირებას აღიქვამენ ხოლმე: გამოიშველ კავშირს „ან“ ლათინური aut-ის მნიშვნელობით. ანუ, ადამიანს საშუალება ეძლევა, ან იცხოვროს, ან წეროს (ცხოვრებაზე. მაგრამ პირანდელის ეს სიტყვები, ალბათ, სხვაგვარადაც შეიძლება, გავიგოთ: მაკავშირებელი ნაწილაკი, შეიძლება, vel-ს უფრო შესაბამებოდეს: ცხოვრება და ცხოვრებაზე წერა თითქმის ერთი და იგივეა, რადგან ხელოვნება იმდენადვე ყალბი და იმდენადვე ნამდვილია, რამდენადვე თავად ცხოვრება.

ბაროკოსული იდეა, ნარმოდგენილი ნებისმიერი თანამედროვე თეატრის სცენაზე - სასცენო მოწყობილობებით, ლურჯპერანგის მემანქანით, ჩაქურჩის ხმაურითა და მსახიობებით, ნელ-ნელა რომ გროვდება რეპეტიციებზე - ბზინვარებას კარგავს, როგორც მტრიაანი კულისებიდან დანახული სცენა, ბურჟუაზიულდება. სწორედ ეს - ყოველდღიურობაში რაღაც ახლის შემოჭრა, რაღაც ისეთის, რაც უცხო და უჩვეულოა მისთვის, თითქოს უცნობი განზომილება, რომელიც მოულოდნელად მიშვდება და გვენახვება - ახლებს მაყურებელს. აი ისინიც, პერსონაჟები, „ვილაცები“, როგორც მათ კარისკაცი მოიხსენიებს, წამყვანი ექებენ. წამყვანი „ბატონები“-თი მიმართავს მათ. პირანდელის ნებისმიერი მკითხველი შესანიშნავად იცნობს ამ პერსონაჟებს: მამა - ორმოცდაათოდე წლის; დედა - „თითქოს რაღაც აუტანელი სიმძიმისაგან მოკუნტული და მინასთან გასწორებული“; გერი გოგონა - „თვრამეტიოდე წლის“, თავნება და „თითქმის უსიცხვილი“, მომხიბლავი, შოასანი; ოცდათხრის წლის ვაჟი-ვილი - „მამისადმი მოთოკილი სიძულვილითა და დედისადმი ინდიფერენტულობით გრძობებდაშერტილი და გახვეწილი“; და ბოლოს, ბავშვები - ბიჭი და გოგონა.

1921 წლის ტექსტშივე, პერსონაჟებს მუდმივად თან სდევს „უცნაური, მკრთალი, სულ ოდნავ შესამჩნევი სინათლე“, რომელსაც „თითქოს თავად ასხივებენ“. 1925 წლიდან კი ჩნდება ნიღბები: ატრიონტი, რომელიც თეატრის სათავეებთან გვაკავშირებს და რომელიც ამ დროს უკვე სრულიად უჩვეულო იყო. „ნიღბი - წერს პირანდელი პიესაში, ავტორის კომენტარებში - დაგვეხმარება, შევქმნათ შთაბეჭდილება, რომ პერსონაჟები ხელოვნურად არიან შექმნილი, საშუალებას მოგვცემს, თითოეულ მათგანს უცვლელად აღვუბეჭდოთ სახეზე იმ გრძობის გამოხატვლი გამომეტყველება, რომელიც ამ პერსონაჟს ყველაზე მეტად ახასიათებს.“ ამრიგად, პერსონაჟები იქცევიან მარადიულ განსახიერებად მამის სინდისის ქეჯნის, გერის შურისძიების, ვაჟიშვილის სიძულვილისა და დედის ტკივილისა“. დედისა, რომელსაც „სამუდამოდ დარჩება ცვილის ცრემლები ჩალურჯებულ, შემუშპებულ უპეებსა და ლოყებზე“. პირანდელი პიესაში თავს უყრის ძველ ტრადიციულ ელემენტებს, რომლებიც თანამედროვე თეატრის სათავეებში დახვავებულ ძველმანებშია გაბნეუ-



ლუიჯი პირანდელი

ლი. აქვეა მთავარი გმირი ქალის ტიპური ძეცა ფიგურა, თეთრ ტანსაცმელში, „უცნაური, ანცი ქუდი“ და ხელში – ძაღლით, მაშინ, როცა სხვა მსახიობები, ქალები და მამაკაცები, აქა-იქ შემოდინან სცენაზე, „ღია ფერის, ხალისიან ტანსაცმელში“, ლაზღადარობენ, ლაყობენ, ნუნუნებენ, სიგარეტს უკიდებენ ერთმანეთს, ცეკვავენ ფორტეპიანოს მუსიკაზე. ისეა, თითქოს მანანნალას სამოსლი ჩაცმული ოდიოსი შემოდინოდეს ჩვენი დროის რომელიმე ჩვეულებრივ ადგილას, მაგალითად, ბარში, დისკოთეკაზე, ან საავადმყოფოში. 1921 წლის იმ საღამოს შოკური ეფექტი მართლაც შთაბეჭდილად უნდა ყოფილიყო. პირანდელის თავს უყრიდა მასალას, რომელიც იზენს დაინტერესებდა: მოთოკილი ოჯახური ჯოჯოხეთის შემზარავი სურათი, რომელიც ბოლოს კატასტროფაში ამოხედავს. და ეს კატასტროფა თითქოს ზეციდანაა თავს დატყობილი, ღმერთების წყევლასავით. „ანალიტიკური დრამა“ – ასე უწოდებენ მას სიმონი – ტერმინი, რომელიც საუკუნეებს გადასწვდება და სოფოკლეს უერთდება: რომლის ხორცშიც სასხმელადაც, „კლასიკური დრამატურგიის ნესების თანახმად, საჭირო იყო იზენის არა მხოლოდ ოსტატობა, არამედ მისი დამანგრეველი ძალაც“. პირანდელომ – განაგრძობს სიმონი – ნათლად გააცნობიერა ის ნინალმდეგობა, რომელსაც მასალა, მასალის სულიერი თვისობრიობა უწევდა დრამატულ ფორმას. ამიტომაც, პირანდელი კი არ უძღვებოდა და უკუაგებებს ამ ნინალმდეგობას, პირიქით: თემატიკაში ინარჩუნებს მას. ასე დაიბადა ნანარობები, რომელმაც ჩანაცვლა ტიპური და შექმნა შეუძლებელი ნანარობები.

„ექვსი პერსონაჟი“ გენიალური ტრანსპორტიციის ნაყოფია: სიზმარი, რომელიც აქა-იქ, ბნელი ავტობიოგრაფიული მორევიდან ტივტივდება მღვრიე, მტკივანი მატერია, რომლის ხელისხლებაც კი შეუძლებელია. ამბავი, რომელიც მხოლოდ იმ პირობით გვეჩვენება, რომ ვერ ვიცნობთ, „გამოგონილად“ მივიჩნით იგი. „სევდიანი ამბავი, რომლის მოყოლაც შეუძლებელია“ რომელიც (იმის საპირისპიროდ, რასაც მონტალე აღწერს) „ზღაპრად“ გადაიქმნება. ამ ყველაფერში არის რაღაც მანძინისეული: არ ვგულისხმობ მანძინის იმ ამალბულს, სქოლასტიკურ ფიგურას, რომელსაც პრაგა ახსენებს თავის ლექსში – „იტალიის სათავგანთო წმინდა პოეტი / სპეტაკ ზმანებათ მიცემული გორიზი ბერი“; ვგულისხმობ პირქუშ მანძინის, შეპყრობილს მტანჯველი იდეით, რომლის მიღმაც იფარება საბედისწერო ქორნიების ამბავი, ქვეცნობიერის ხატი, დედის სახე – მძაფრი და გაუსაძლისი ლობიდური გრძობის საფუძველზე უკიდურესად სუბლიმირებული. ის, რაც სიტყვა-სიტყვით გვაგონებს იმ ვნებას, რომელიც „ოდიოსის მეფეში“ შავი ჭირის მიზეზად იქცა, გერტრუდას (იგივე უილბლო ლუჩია, რომელმაც გრძობით უბასუხა თავის დონ როდრიგოს) ბნელით მოცულ, აკრძალული სიყვარულის ამბავში გამოიხატა.

„ექვსი პერსონაჟის“ მასალის განვითარება მხოლოდ „შეუძლებელ ნანარობებში“ იყო შესაძლებელი, რომელმაც უბიძგა პირანდელის, თეატრის თეატრი შექმნა. ეს იყო ნლები, როცა ანდრე ფიდი „ყალბი ფულის მჭრელებს“ – პირველ რომანის რომანს – წერდა. ეს მასალა ოჯახურ სამყაროს ამოცავდა, იმას, რაც, ჩეზარე კარბოლის აზრით, პირანდელის მთელი შემოქმედების ჭეშმარიტი პერსონაჟია: ვრცელი, საფრთხილი თემა, რომელიც მარად მოთოკილია, მაგრამ მაინც ფონავს ტიპიკულია ენამჭერობაში, „პოლიციის ოქმების ენით“ ვადმოცემულ, ლამის სადისკტურ, „სატანჯველ მსჯელობებში“. პირანდელის თეატრში ამ მასალას უჭირავს ცხოვრების ადგილი და მასში „ენობრივი ხრიკები თავდაყირა აყენებენ სინამდვილეს, ამასხარავენ მას“. ყალბი ჯოჯოხეთი, რომელიც ნამდვილ ჯოჯოხეთს ნიღბავს: ასეთი ოჯახური ურთიერთობების ხლართია ნარმოდგენილი, მაგალითად, პირანდელის ნანარმოდებში „ასეა. (თუ დაიჯერებთ):“ სიძისა და სიდდრის აბსურდული, „გიჟური“ კავშირი, რომელსაც ფონად მეტიჩარა საჯარო მოხელეებისა და მათი ცოლების არმია სდევს, ქორი, რომელშიც თითოეული მკაცრად აქვს ადგილი მიჩენილი იერარქიის კიბის მისთვის კუთვნილ საფეხურზე.

ეს იმპასი, თუკი ის არსებობს, ბრწყინვალეადა თავიდან აცილებული „ექვსი პერსონაჟი“. ამას პირანდელი უადრესად კარგად გათვლილი ტექნიკური არჩევანით ახერხებს: რეალობა პირისპირ არ გვიდგას. ჩვენს თვალწინ არიან არა ადამიანები, არამედ – პერსონაჟები, არა ცხოვრე-

ბა, არამედ – თეატრი, არა სინამდვილე, არამედ – ფიქცია. იმ ნუთიდან, როდესაც თეატრი საკუთარ თავს წარმოაჩენს სცენაზე, მთლიანად შეითვისებს და განწმენდს ნარმოდგენილ ამბავს, ფანტაზიის გამჭვირვალე, მკაფიო გალეგებად აქცევს მას; ფანტაზიისა, რომელიც ასაზრდოებს და დამაჯერებელს ხდის პერსონაჟების სურეალურ ტრაგედიას. ნარმოდგენის პირველივე ნუთიდან იბადება უჩვეულო თვალსაზრისი, რომელიც აზავებს და აფერმკრთალებს მეტისმეტად ინტიმური მასალის ყოველგვარ სიმძიმეს. თითქოს ეს მასალაც პერსონაჟების ფანტასტიკურ ხასიათს იძენს.

„ექვსი პერსონაჟი“ ნარმოდგენილი ოჯახი სავსეა ავტობიოგრაფიული მინიმუმებით, რომლებიც სიღრმისეულად აქვთ შესწავლილი პირანდელის მკვლევართ. ანდრეა კამილერი პირანდელის ბიოგრაფიაში, რომელიც სულ ახლახანსაა დაწერილი, ამბობს, რომ „დედის კვილიში, მეუღლის მკლავებში რომ შეუსწრებს გერს“, ანტიონეტას – პირანდელის ცოლის – სასონარკვეთილი კვილის ექონი: სულით ავადმყოფი ქალი შვილთან ინცესტურ კავშირში ადანაშაულებდა პირანდელს“. გერი გოგონას პერსონაჟი პირანდელის ქალიშვილს, ლიეტას გვაგონებს, დედას კი უამრავი რამ აქვს საერთო ანტიონიეტას პორტულანოსთან, მწერლის ცოლთან, რომელიც 1919 წელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. ამის შემდეგ სახლი, სადაც ჩხუბი და აყალ-მყალი არ ცხრებოდა, უეცრად დადუმდა. პიესაში „დედა“ საყვედურობს „მამას“, ხელი მკარიო, „მამა“ კი, თავის მხრივ, ბრალს სდებს „დედას“, თავდაუზოგავად ცდილობდა, სიბრალულით მომპყრობოდი, ეს კი „ყველა სისასტიკეზე მეტად ასასტიკებსო“. მნიშვნელოვანია, რომ ლიეტამ, რომელიც დედამ მრავალჯერ დაადანაშაულა მამასთან ინცესტურ ურთიერთობაში, თავის მოკვლა სცადა პატარა რევოლვერით, რომელსაც სახლში ინახავდნენ. დაჟანგულმა იარაღმა არ გაისროლა და „ლიეტა სახლიდან გაიქცა, ტიბრს ეძებდა სასონარკვეთილი. აღარ უნდოდა სიცოცხლე“. მაგრამ გოგონა ცუდად იცნობდა რომის ქუჩებს და მდინარეს ვერ მიავნო. ცხადია, ამ ეპიზოდმა საშინლად გაუმძაფრა პირანდელის დანაშაულის გრძობა როგორც საკუთარი, ასევე თავისი მშობლების ოჯახის ნინაშე და ეს მკაფიოდ აისახა დრამაში: გოგონა წყალში იხრჩობა, ბიჭი კი პისტოლეტიდან გასროლით კვდება. უან მიშელ გარდერი, რომლის სიტყვებიც მოჰყავს კამილერის, ბავშვების სიკვდილზე წერს:

„შემთხვევითი არ არის ბავშვების ასაკი: თოთხმეტი და ოთხი წელი. თოთხმეტი წლისა გარდაიცვალა მწერლის უმცროსი და, ხოლო თავად პირანდელი ოთხი წლის იყო, როცა „დაბრუნებაში“ აღწერილ სცენას შეესწრო. ამ ამბის მეორე დღეს მის ერთ-ერთ უმცროს დას მოულოდნელად დაშლა დაემართა. და ბოლოს: გერი გოგონას შემზარავი ხარხარით, რომლითაც პიესა მთავრდება, პირანდელი სამუდამოდ მიმართავს საკუთარი თავისაკენ ანტიონიეტას – ბრძენი ერინიების – შურისძიებას, რომელმაც სიკვითი გამოისყიდა ნათელმხილველობის შემზარავი ნიჭი“.

დრამა გერი გოგონას „ყურთასმენის ნამლები“ ხარხარით მთავრდება. მწვანე სინათლის ქვეშ, პერსონაჟების „ვეებერთელა, მკვეთრი“ ჩრდილებით შექმნილი ნამყვანი სცენიდან გარბის. ვაჟიშვილი, დედა, მამა უძრავად, „მონუსხულივით“ დგანან სცენის შუაგულში. მალე – გვამცნობს ავტორი – ფარად დაეშვება. სიბნელე შთანთქავს სცენას: პერსონაჟებს, მსახიობებს, ავტორსაც – რომელსაც ამაოდ დაეძებს ყველა, და რომელიც თავად დაეძებს ენით გამოუთქმულ სიმართლეს, ოჯახურ მოზაიკას, რუდუნებით თავმოყრილსა და ხელახლა ჩამოშლილს. პირანდელომ საკუთარი აუტოდაფე დადგა სცენაზე, განასახიერა ის ყველაზე გაბედულ ფიქციაში, რაც კი ოდესმე უნახავს მაყურებელს. დანაშაული, მიტოვება, ინცესტი, სინანული, სასჯელი, კვლავაც ცოცხლობენ და მოძრაობენ, უმსუბუქესად, ექტოპლანაზმასავით – ამ ნებათა განმასახიერებელი პერსონაჟებით – სცენის ფიცარნაზე. ისინი მხოლოდ და მხოლოდ პერსონაჟები არიან, ავტორის მაძიებელი პერსონაჟები და სხვა არაფერი: მაგრამ ამიერიდან თეატრი აღარასოდეს იქნება იგივე, რაც ადრე იყო.

თარგმნა ხათუნა ცხადაძე

ემზარ კვიციანილი პოეზია – სულთა ნათესაობა

დასასრული

ეს ქალი იმდენად ოსტატურად ხლართავდა ინტრიგებს, კაზინოებშიც ისე ხშირად თამაშობდა დიდძალ ფულზე, მონასტრიდან გამოპარულიც (ყველა მოსყიდული ჰყავდა) მდიდრულად მორთულ თავის „პემანის სახლში“ დილაშივე ბუქნაობდა ხან ერთ, ხან მეორე საყვარელთან და მუდამ მშრალზე გამოდიოდა. იგი უძვირფასეს, ნატიფ საჩუქრებს უზავნიდა თავისი ოცნების მამაკაცს და ჯაკომომაც გამოარჩია სხვათაგან – არქუა მედალიონში ჩასმული ოქროსქვეციანი თავისი მინიატურული პორტრეტი.

ხსენებულ ეპიზოდებსა და განსაკუთრებით მარისა და კატარინას კაზინოვასადმი გაზავნილ სამიჯნურო წერილებს როცა კითხულობ, შეუძლებელია არ გაგახსენდეს შადერლო დე ლაკოს „სახიფათო კავშირები“, ასეთსავე ქვენა გრძობებზე დაფუძნებულ სასიყვარულო თავგადასავლებს რომ გვისურათხატებს და მძაფრად გვაგრძობინებს იმავე მეთვრამეტე საუკუნის ევროპის განუყოფელ სურნელს, რასაც თვით დიდი ტალიერიანი მისტიროდა.

და მაინც, გარდა ფელინის ფილმის გრანდიოზული ფინალისა, სადაც კაზინოვა მექანიკურ, დაბრეცილ, ლოყებზეფერადებულ და უაზროდ აკანტურებულ თოჯინასთან ჩახუტებული ყინულზე ტრიალებს, ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება კადრები, როცა შიშველ, თავდაყირა დაყენებულ ულამაზეს მონაზონ ქალს კაზინოვა იქეთ-აქეთ დააქანავებს, ხოლო მასთან ნინასნარ შეთანხმებულ ორგიას იბავე ქალის გავლენიანი საყვარელი კედელზე გართხმული თევზის თვალბინი გაფიცვებული აკვირდება. შეუძლებელია სიტყვიერად გადმოსცე ის განცდა, რასაც უბადლო ხელოვანის ეს გამოგნებელი მიგნება ბადებს.

ფელინის ამ გაუხუნარმა კინემატოგრაფიულმა ხედვამ თუ ხერხმა როგორღაც გამახსენა VI-X საუკუნეებში სხვადასხვა ავტორების მიერ შექმნილი უძველეს ინდურ საგალობელთა კრებული – „ნალადიარი“, რომელშიც, როგორც ჩვენი საუკუნეთესო პოეტი და მთარგმნელი თამაზ ჩხენკელი წერს: „უხვდააა გაბნეული უპანიშადების, მაჰაბჰარატას და პანჩატატრას სენტენციები“.

მრავალთაგან ერთს გამოვარჩევ – ორმოცდამეოთხე საგალობლის ცალკეული ადგილები უნდა ამოვიწერო, სადაც ულამაზეს და უღრმეს მეტაფორათა საკვირველი ჯაჭვია ჩვენს ნინაშე გაკიდული. ძნელია მიხედვრა, ვის ან რას გულისხმობს ბრჭყალებში ჩასმული სტრიქონების უცნობი ავტორი:

ისინი ჭვირვალე წყალში მოცურავე შრომანები არიან, მათი თვალები თითქოს წმინდა ნაკადულში ერთმანეთთან შეხებული ორი თევზია, მათი მზერა შუბის წვესა ჰგავს.

ამას მალევე ენაცვლება ძირითადი, ნარმმართველი ტექსტის არანაკლებ შთამბეჭდავი და სახიერი მეტაფორა:

მე ხომ ვიცი, რომ თვალთა ჭეშმარიტი ბუნება პალმის ნაყოფის მგავსია, რომლის ხორციან მარცვლებს იმის შემდეგ ამოიღებენ, როცა წმინდა წვენი შეიხვრიპება.

უთუოდ ყოველსმეცნობი ნათელმხილველის ძალმოსილებითა და ელვარებით არის აღბეჭდილი მცირე, იდუმალბედაფენილი განმარტება, ამ საგალობელს რომ ერთვის: „შემისას თევზები ერთმანეთისკენ თავებით მოტრიალებიან და, გვერდიდან რომ შეხედო, თვალებს გვანან. ორი ნუშისებურად გრძელი თვალი ბრძოლად გამზადებული ორი თევზის მოგონებას აღძრავს“.

აქ იმაზე ფიქრიც მოგეძალება, რომ ბუნებამ საჭიროდ არ ჩათვალა, თევზებს ქუთუთოები ჰქონოდათ; ისინი თვალებს არასოდეს ხუჭავენ და ისეთი შეგრძნება გაუფლავა – ერთმანეთის პირისპირ დამდგარი ორი თევზის ბრძოლას დასასრული არ ექნება.

საერთოდ კი უნდა ვთქვა – თევზების უცნაური, იდუმალი სამყარო, მათი ძნელად აღსარები ნაირფერობა და განსაცვიფრებელი ქცევები ანდამატივით მიზიდავს, ბევრი რამ მაქვს ნაკითხული მათზე, ჩანიშნული, მაგრამ გაუანტულ ფურცლებს თავი ვეღარ მოვუყარე. ჩემი უკიდურესი

დრომინურულობის ყამს ალბათ ამასაც მივხედავ.

ლიტერატურის, პოეზიის ღრმა მცოდნე, ფორმის სინატიფეზე დაუცხრომელად მზრუნველი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ლირიკოსი ოსიპ მანდელშტამი (მის წასაკითხად არაერთ ევროპელ მწერსაღს უფრო მისახვედრი ენა), თავისი ნააზრევი შუგრო მისახვედრი და მწვავე რომ გახადოს მცირე ზომის მეტად საყურადღებო ესეიში – „გამოხდომა“ – იგავურ ხერხს იყენებს, მოაქვს ტექნიკის სფეროსთან დაკავშირებული უცნაური მაგალითი:

„ერთხელ მოხდა ისე, რომ გადაიღეს თევზის თვალის ფოტო. სურათმა აღბეჭდა რკინიგზის ხიდი და პეიზაჟის რამდენიმე დეტალი, მაგრამ თევზის მხედველობის ოპტიკურმა კანონმა ყოველივე ეს დაუჯერებლად დამახინჯებულად წარმოადგინა. ვთქვათ და, მოხერხდა პროფესორის ანდა პოეტის ერთ-ერთი დამფასებლის პოეტური თვალის ფოტოგრაფირება იმის გასარკვევად თუ როგორ ხედავენ ისინი „თავიანთ“ პუშკინს; წარმოიქმნება იმაზე არანაკლებ მოულოდნელი სურათი, ვიდრე თევზის მხედველობის სამყარო იყო.“

ეს დაუფარავი ირონია უთუოდ გამართლებულია. „მკითხველის წარმოსახვაში პოეტური ქმნილების დამახინჯებას“ მანდელშტამი ჩვეულებრივ ამბად თვლის და ამასთან შერძობება უაზრობად მიაჩნია. „თევზის მხედველობის ოპტიკური კანონი“ ასეთი ძალისა და უზადო გემოვნების პოეტზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა და მის გრძნულ თვალში ყველაფერი ისე ნათლად ჩანდა, როგორც უნდა გამოჩენილიყო.



ოსიპ მანდელშტამი

ამკარად მეტყობა, თვალს როგორ ვეფერები, ველოლიავები; (სულ მახსოვს ჭკუის დასარიგებლად განკუთვნილი გამოთქმა – „თვალის ჩინივით გაუფრთხილდი!“) ყველაზე მეტად მასზე ვარ მიჯაჭვული. იგია ჩემი მასაზრდოებელი, უთვალავი შთაბეჭდილებებით დამტენავი, უხანგრძლივესი დროის მანძილზე თითქმის უცვლელად რომ ინახავს ჩემი დატანჯული მეხსიერება. ერთ ადრინდელ ლექსში (იგი უმრავლესობის მსგავსად, იოლად, ნაუცბათევად არის წამოსროლილი და ბევრი არაფრით გამოირჩევა სხვებისაგან) პირველი, მეტისმეტად მარტივი სტროფი ასე გამოიყურება:

თვალი ჭამს და თვალი სვამს, თვალით ვარ მივრავლი, გავარჯიშებული მაქვს – ყურზე მეტად თვალი.

აქ არაფერია საკუთრივ ჩემი, ახალი და მნიშვნელოვანი, თუმცადა სიმართლეს კი ვამბობ – აუტანლად მძიმე, ჯახიერი ცხრების წნეხქვეშ დატანებული, როცა რაიმეს გამოხატავს ვაპირებ, უპირატესად, თვალზე ვარ დანდობილი და მეჩვენება – ათასში ერთხელ მიმართლებს. ცხადია, არ მანყენდა, რომ მაქვს, იმაზე ფაქიზ, მგრძობიარე სმენა მქონოდა, რაღას ვიზამ, ხვედრს ვერსად გაექცევი.

დასასრულ, ჩვეულებისამებრ კვლავაც უნდა მოვიხადო ბოდიში. ისეთი შეუგნებელიც არა ვარ, კი ვხვდები – ამდენი გადახტომ-გადმოხტომა კარგის მაუწყებელი რომ არ არის, მაგრამ ამ თვისებას ჩემს არსებასა თუ ხასიათში ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული, ევრაფერი მოვეუხერხე, ვერ ამოვიძირკვე. ერთიგვან – როცა თვალზე საყურადღებო რაღაცას ვკითხულობ, გულგრილად არ შემეძლია გვერდის ავლა, ჩემებურად ვეხმარები, თუნდაც ამან დრო დამაკარგვინოს და დამაზარალოს.

დიდი ხანია მინდა დავწერო, მაგრამ თითქოს ამ დღეს ველოდიო...

დღეს რა დღეა?! დღეა ძალიან სევდიანი. ჩაგუბებული ტკივილის. მონატრების.

მწუხარების. დღეს — 20 მარტს — საბოლოოდ გამოვეთხოვე სიყვანვილეს!

ცხოვრებაში დგება ეს წუთები — გშორდებიან ადამიანები, რომლებიც შენი თანატოლნი კი არ იყვნენ, არამედ — გამორჩეული მასწავლებლები. აი, ისეთნი, მოძღვართ რომ უწოდებდი, მათზე რომ იყო დამოკიდებული შენი პიროვნული და პროფესიული ჩამოყალიბება.

ამ მხრივ ცხოვრებამ გამაფოფინა: ჩემი პედაგოგები იყვნენ — ოთარ ჩხეიძე და ერლომ ახვლედიანი:

...19-20 წლისა ვიქნებოდი, ფილოლოგიის ფაკულტეტზე „მხატვრული შემოქმედებისა და კრიტიკის“ ჯგუფის სპეციალობაში სემინარებს ოთარ ჩხეიძე გვიკითხავდა.

კინოსასცენარო განყოფილებაზე — ერლომ ახვლედიანის სახელოსნოში მოვხვდო.

ეს დიდი ხნის წინათ იყო. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ჯერ ბატონი ოთარი გარდაიცვალა... დღეს — ერლომ ახვლედიანი...

და საბოლოოდ გამოვეთხოვე სიყვანვილეს.

ბოლო დროს ბატონ ერლომს ხშირად ვსტუმრობდი.

ვხედავდი, ამ ფუჭ, ცრუ წუთისოფელს ნელ-ნელა, უხმაუროდ, შეუმჩნევლად შორდებოდა. ზუსტად ისე, როგორც ერთხელ ინატრა: მინდა ისე ვიცხოვრო, თითქოს ვარ კიდეც და არცა ვარ. ფეხაკრეფით გავიარო ეს ცხოვრება, თითქოს ვილატას სძინავს და არ გავალვიძო!

ვიდრე დაუძღვრებოდა, მეგობრებთან, ჩვენთან — მის ყოფილ სტუდენტებთან ყოფნა ამხნევებდა. ერთხელ წამოცდა: ახლა ძალიან კარგად ვარ, მაგრამ როცა წახვალთ და მარტო დავრჩები, ისეთი უცნაური სევდა შემომანვება გულზე, მინდა საერთოდ არ ვიყო ამ ქვეყანაზე!

ეს ადრე გვითხრა! მერე თანდათან უღალატა მეხსიერება...

ამ გაზაფხულზე, თუ სულაც გაზაფხული უკვე მიღებული იყო (თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს), რომ ვნახე, ოთარ ჩხეიძის ჩანაწერებიდან 1981 წლის 3 დეკემბერი გავახსენე:

„ზარის ხმა. კარს ვაღებ. გიორგი შენგელაია და ერლომ ახვლედიანი შემომციცინებენ...“

ალარ მეგონა თუ კიდეც გამოჩნდებოდიმეთქი, — ეს გიორგი შენგელაიას შევნიშნავ.

არაო, უარობს, მას მერე ვფიქრობო, ახლა დროა, უნდა შევეუდგეთ „ბორიასის“ გადაღებასაო. თქვენ როგორ გგონიათ, იცინის, ირგვლივ ბორიასის დროა, ცოტა ჩვენც უნდა ვიბორიასოთო...

იმიტომაც დაინერა რო დროამეთქი.. ერლომი იცინის. „ბორიასისა“ ჰყვება, ალტაცებულია, ლამის ზეპირად ჰყვება. ალბათ ახლა წაიკითხეთმეთქი. ეს ორი დღეაო“...

— ბატონო ერლომ, როგორი სიყვარულით წერს თქვენზე და გიორგი შენგელაიაზე, ის დრო თუ გახსოვთ, როცა „ახალ-გაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობის“ სცენარზე მუშაობდით-მეთქი? — თვითონაც არ ვიცი, რამ მაკითხინა და... როცა მეგონა, ვერაფერს მიპასუხებს, რაღა ახსოვს-მეთქი, ერთბაშად გამოცოცხლდა — როგორ არა, როგორ არა, იცნობთ ოთარ ჩხეიძეს, იცით, რა დიდი მწერალიაო?! — ისევე ჩამეკითხა, როგორც მაშინ სტუდენტობისას რომ დავგავალა: იქნებ სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა პორტრეტები შექმნათო! და მე ისე, ვითომცდა არაფერი, წამოვიძახე: ბატონო ერლომ, თუ გნებავთ, ოთარ ჩხეიძეზე დავწერ-მეთქი! — რაო,

ვისზე დანერ, ოთარ ჩხეიძეზე, მერედა იცნობთ ოთარ ჩხეიძესო?! — გაკვირვებული დარჩა.

გახარებულმა მივუგე — ვიცნობ, აბა რა, სპეციალობას მიკითხავს-მეთქი!

ახლაც მითხრა — „ბორიასი“ დიდებული რომანიაო! ... და უცებ დაუმატა: თქვენ იცნობთ ხომ ოთარ ჩხეიძეს?

ვიცნობ-მეთქი, დავეთანხმე. რაკი ბატონი ოთარის გარდაცვალება არ გაახსენდა, ალარ ვუთხარი, გული ეტკინებოდა.

ამ დიალოგმა ერთბაშად გააცოცხლა წარსული:

თავის დროზე წერილი დავწერე, თუ როგორ გადაიღეს „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ და „ბორიასი“ საგანგებოდ ვისაუბრე ბატონ ერლომთან. აღფრთოვანებული იყო: ამ რანგის ნაწარმოები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში არ მეგულებო!

გატაცებთ მელაპარაკებოდა იტრიელთა შესახებ — მათი მსგავსი ქართველია ჩემი იდეალიო! თუ გვინდა საქართველო გადარჩეს, სწორედ ამ ტიპის მოღვაწენი და მეურნეები უნდა გავხდეთ და აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ კომუნისტების მიერ ძალით წართმეული ეროვნული ცნობიერებო!


...და როცა დამცდა — ლამის დღემდე გრძელდება ოთარ ჩხეიძის დევნა-შევიწროება-მეთქი, მომიგო: იმიტომ რომ ძალიან ქართული მოვლენაა ჩვენს დღევანდელ მწერლობაში და ბუნებრივია, მის იდეებსა და მრწამსს ებრძვიანო!

24 წლის აგვისტოს აჯანყებაზეც ვისაუბრეთ. ეს ტრაგედია მის ოჯახსაც შე-

ნინო ჩხიკვიშვილი

ორი მაესტრო

ოთარ ჩხეიძე და ერლომ ახვლედიანი



ეხო — მისი ბიძა, მამის ძმა — სიმონ ახვლედიანი, რუსეთის არმიის ოფიცერი, სწორედ ქაქუცასთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის...

მოკლედ, ბევრი, ძალიან ბევრი შემოძლია გავიხსენო...

შემიძლია, ის ჩანაწერი მთელი სისრულითაც გადმოვიწერო, მაგრამ, ახლა მთავარი ეს არ არის. მთავარი და უცნაური ის გახლავთ, რომ... ერლომ ახვლედიანმა ოთარ ჩხეიძე გაიხსენა.

გამიკვირდა. მაშინ ვერ ამოვხსენი...

ახლა კი... რაღაც მენიშნა — იქნებ ბატონი ერლომი სიცოცხლეშივე იმიტომ მოწყდა ამ წუთისოფელს, რომ იმ სოფლად დაატარებდა უფალი?!

იქნებ, იმ წუთას, როცა ბატონი ოთარი ვუხსენე, ნამდვილად დაინახა იგი?

ვინ იცის? ამაზე უარყოფით პასუხს მხოლოდ ათეისტი თუ გამცემს, იმქვეყნიური ცხოვრებისა რომ არა სჯერა...

მამ, რა დავარქვათ ამას?

მისტიკა! ნამდვილი მისტიკა! ამას ჩვეულებრივი ლოგიკით, ან ლიტერატურული ალუზიებით ვერ ახსნი... ასეთი რამ მხოლოდ იმ ადამიანებს შეიძლება „შემთხვევით“, უფალმა მეექვსე გრძნობა რომ მიანიჭა. ამ გრძნობას კი, ასკეტ ბერთა გარდა, ხშირად გენიალურ მწერლებსაც ანიჭებს სამყაროს შემოქმედი.

ამ გრძნობითვე იყო დაჯილდოებული ბატონი ოთარიც.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებასა და ცხოვრებაში არსებობს ერთი ეპიზოდი. მგო-



მედ იმითაც, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგვარი თანამედროვე მანიფესტია.

ნათქვამის დასადასტურებლად ერთ პატარა ეპიზოდს მოვიტან იმ თავიდან, რომელსაც „სასამართლო“ ეწოდება:

„სასამართლოზე მთელმა სამყარომ მოიყარა თავი, ყველანი აქ იყვნენ. ისინიც აქ იყვნენ, რომელიც ალარ არიან. ისინიც იყვნენ, რომელიც არიან და ისინიც კი იყვნენ რომლებიც იქნებოდა. ამბობენ, ამგვარი სასამართლო ყოველთვის იმართება დღიდან სამყაროს შექმნისა, რომ სიცოცხლე ამ სასამართლოზე ყოფნას ნიშნავს, სადაც არ უნდა ვიყოთ, როგორც არ უნდა ვიყოთ, რაც არ უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენ რაღაც სახით ყოველთვის ვართ ამ სასამართლოზე. თუ არ ვართ, მაშინ მასზე ჩვენი არყოფნით ვართ“.

და იქვე: „მოსამართლე ისეთ ადგილას იჯდა, რომ ვერავინ ხედავდა მას, ის კი ყველას ხედავდა. ის არა მარტო ყველას ხედავდა, არამედ თითოეულ ჩვენგანს ეგონა, რომ ის მის ახლოს იყო. უფრო მეტიც, თითოეულ ჩვენგანს ეგონა, რომ ის სწორედ მის გვერდით იჯდა. უფრო მეტიც, თითოეულ ჩვენგანს ეგონა, რომ ის, მოსამართლე სწორედ მასში იჯდა.“

და ახლა, როცა წინიდან ციტატებს ვინერდი, ვცდილობდი თანამედროვე მწერალთა მხატვრული ტექსტებიდან პატარა, სულ პანანკინტელა ეპიზოდი მაინც გამხსენებოდა, სადაც აშკარა მინიშნებებით, ასე მარტივად და მკაფიოდ იქნებოდა გადმოცემული მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა.

სამწუხაროდ, ვერაფერი გავიხსენე... თუმცა, ახლა ამაზე საუბარს ალარ გავაგრძელებ, რადგან... ჩემი სათქმელი სულ სხვაა — ვცდილობ, როგორმე შესაფერი სიტყვები მოვუქებნო ამ ტკივილს, რომელიც კარგა ხანია თან მდევს მაგრამ...

მაინც... დღემდე სადღაც მიყურებულებო.

ოთარ ჩხეიძე აუდიტორიაში შემოდის და... სიმშვიდევც ისადგურებს, შორს მომზირალს შეუმჩნეველი ღიმილი დასთამაშებს სახეზე — მომავლის საქართველოს თუ ეგებება?!

არ ვიცი, რა დავარქვა ამას? ნუთუ ხილვაა?

ვხედავ ტაბიძის აღმართზე მიმავალ ერლომს, მოხრილს, თავისი განუყრელი დიდი ჩანთით...

უკან მივდევ, ვცდილობ ხმა დავანო, ჩემკენ მოვახედო.

მაესტრო... მაესტრო... ჰეი... მაესტრო!

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ლიტერატურული გაზეთი
გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით